

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე  
2008, №9

შ რ ო მ ი ს

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

1. **სამსახურიდან გათავისუფლებისას კომპენსაციის (გასამრჯელოს) მიღება**
  - ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა
  - მიუღებელი ხელფასისა და ერთდროული დახმარების ანაზღაურება
  - მოსამსახურის შრომითი გასამრჯელოს ცნება
  - სამსახურიდან გათავისუფლებისას გასასვლელი თანხის მოთხოვნის უფლება
  - სახელფასო დავალიანების ანაზღაურება
  - სპეციალური კანონის მიხედვით თანამდებობრივი სარგოს (კომპენსაციის) ანაზღაურება
2. **უხელფასო შვებულება ბავშვის მოვლის გამო**
3. **თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების წესი**
  - მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის წესი
  - მუშაკის დათხოვნის წესი
  - სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის შესახებ
4. **სამსახურში დატოვების უპირატესი უფლება**
5. **სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება**
6. **დისციპლინური სასჯელის დადება შვებულებაში ყოფნის დროს**

# 1. სამსახურიდან გათავისუფლებისას კომპენსაციის (გასამრჯელოს) მიღება

## ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-638-607(კ-07)

7 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ერთჯერადი დახმარების გაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 26 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს კ., ც. და რ. გ-ებმა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრთათვის გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების - სულ - 51 759.6 ლარის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების დეპარტამენტის უფროსის 2003 წლის 26 ივნისის #2544 ბრძანებით რ. გ-ია დანიშნა 111-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მსუბუქი ქვეითი ასეულის მსუბუქი ქვეითი ათეულის მეთაურად და მიენიჭა კაპრალის წოდება. რ. გ-ია ასევე დანიშნული იყო იმავე ბატალიონის (თელავი) საშტაბო და უზრუნველყოფის ასეულის სატრანსპორტო ოცეულის სერჟანტად.

2004 წლის 28 იანვარს მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად რ. გ-ია გარდაიცვალა. ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ რ. გ-ია დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა შესაბამისი დასკვნა.

სამხედრო სამსახურში ყოფნისას რ. გ-იას ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა სულ 461.41 ლარს, რაც დასტურდებოდა სამხედრო ნაწილის 2004 წლის 17 მაისის ცნობით.

«საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 55-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს მიეცემა ერთჯერადი დახმარება ათი წლის ფულადი სარგოების ოდენობით. ამ ნორმიდან გამომდინარე, რ. გ-იას ოჯახს თავდაცვის სამინისტროსაგან ეკუთვნოდა 55 729.2 ლარი (ყოველთვიური ანაზღაურების - 464.41 ლარის ნამრავლი 12 თვესა და 10 წელიწადზე). ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, თანხის მიღებაზე უფლებამოსილია გარდაცვლილის ოჯახი. მოსარჩელები განმარტავენ, რომ არიან შესაბამისად რ. გ-იას მამა, დედა და ძმა. რ. გ-იას საკუთარი ოჯახი არ ჰყოლია.

იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელის აღძვრამდე მოპასუხის მიერ აუნაზღაურდათ გარკვეული თანხა, კერძოდ - 3969.6 ლარი, ეს თანხა უნდა გამოკლებოდა მთლიან თანხას. საბოლოოდ მოსარჩელები ითხოვდნენ მოპასუხისათვის 51 759.6 ლარის დაკისრებას.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა დააზუსტა სარჩელის საფუძველი და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის 2004 წლის იანვარში მოქმედი რედაქცია, რომლის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს მიეცემა ერთჯერადი დახმარება 10 წლის თანამდებობრივი და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოების ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხის მიერ ძირითად თანამდებობრივ სარგოსთან ერთად (68.09 ლარი) გაცემული უნდა ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივლისის #274 ბრძანებულებით დაწესებული თანამდებობრივი განაკვეთის დანამატის (380 ლარის) და სავსე დანამატის 10 წლის ოდენობაც, რადგან აწ გარდაცვლილი რ. გ-ია მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს 111-ე ბატალიონში (წვრთნისა და აღჭურვის ქართულ-ამერიკულ პროგრამაში მონაწილე სამხედრო ნაწილი) და პრეზიდენტის დასახელებული ბრძანებულებით ამ კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეებს დაუწესდათ დანამატი თანამდებობრივ სარგოზე. მითითებული ბრძანებულებით განსაზღვრული დანამატი არის თანამდებობრივი სარგოს შემადგენელი ნაწილი და იგი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო თავდაცვის სამინისტროს მიერ ერთჯერადი დახმარების გაცემისას.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ რ. გ-იას ოჯახის წევრებზე გასაცემი ერთჯერადი დახმარება გაცემულია სწორად - 3969.6 ლარის

ოდენობით, ვინაიდან რ. გ-ის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 32.04 ლარს, ხოლო პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივლისის #274 ბრძანებულებით განსაზღვრული დანამატი, რაზედაც მოსარჩელები მიუთითებენ, მიეკუთვნება სხვა დანამატა კატეგორიას და იგი არ შეიძლება შეტანილი ყოფილიყო თანამდებობრივი სარგოს ოდენობაში. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კანონით განსაზღვრული დამხარების გაცემისას ხელმძღვანელობდა ასევე საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 14 ნოემბრის #796-44 დადგენილებით, რომლის შესაბამისად, ფულადი ანაზღაურება ითვალისწინებს თანამდებობრივი განაკვეთისა და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოს ჯამს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით კ. გ-ის, ც. გ-ისა და რ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელეთათვის 45 600 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივები მდგომარეობს შემდეგში:

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დადუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების სოციალური დაცვის ღონისძიებები, კერძოდ, აღნიშნული გათვალისწინებულია «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილით. მითითებული ნორმის 2004 წლის იანვრისათვის მოქმედი რედაქციის მიხედვით, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დალუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 10 წლის თანამდებობრივი და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოების ოდენობით.

მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას დადუპული სამხედრო მოსამსახურის - რ. გ-ის ოჯახისათვის ერთდროული დახმარება გაცემული უნდა ყოფილიყო დასახელებული ნორმით დადგენილი წესითა და ოდენობით.

აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მოპასუხემ რ. გ-ის ოჯახის წევრებზე ერთჯერადი დახმარების სახით გასცა 3969 ლარი, რომელიც საქმეში არსებული გაანგარიშებით მოიცავს კაპრალ რ. გ-ის წოდებრივი სარგოს (1.03 ლარი) და თანამდებობრივი სარგოს (32.04 ლარი) 10 წლის ოდენობას. აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებული არ არის საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივლისის #274 ბრძანებულებით დაწესებული თანამდებობრივი განაკვეთის დანამატის (380 ლარის) 10 წლის ოდენობა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, თანამდებობრივი განაკვეთი მოცემულ შემთხვევაში უნდა მოიცავდეს, როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2004 წლის 17 მაისის ცნობაში მითითებულ სარგოს - 32.04 ლარს, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივლისის #274 ბრძანებულებით დაწესებული თანამდებობრივი განაკვეთის დანამატს - 380 ლარს.

საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით დადგინდა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების «წვრთნისა და აღჭურვის» ერთობლივი პროგრამის მონაწილე სამხედრო ძალების ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი კმაყოფისა და სხვა სოციალური პირობების საერთო წესებისაგან განსხვავებული სამართლებრივი რეგულაცია. 111-ე ბატალიონი, რომელშიც სამხედრო სამსახურს გადიოდა რ. გ-ია, მონაწილეობდა აღნიშნულ პროგრამაში. ბრძანებულების მე-3 პუნქტი პირდაპირ მიუთითებდა, რომ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების «წვრთნისა და აღჭურვის» ერთობლივი პროგრამის მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახური ითვლებოდა, როგორც სამხედრო სამსახურის გავლის განსაკუთრებული პირობა, რომლისთვისაც, ამავე ბრძანებულების მე-4 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურებს დაუწესდათ თანამდებობრივი სარგოს დანამატი (სადავო შემთხვევაში აღნიშნულ ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 12 თებერვლის #44 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილების შესაბამისად, რ. გ-ის სამხედრო წოდებისა და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად დანამატი შეადგენდა 380 ლარს). აქედან გამომდინარე, ბრძანებულებით დაწესდა არა პრემია, ერთჯერადი გასაცემი ან ხელფასის შემადგენელი რაიმე სხვა კომპონენტი, არამედ დანამატი თანამდებობრივ სარგოზე, რაც მიუთითებდა მის მუდმივ და მრავალჯერად ხასიათზე. მისი დაწესება განპირობებული იყო განსაკუთრებული გარემოებით - საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების «წვრთნისა და აღჭურვის» ერთობლივი პროგრამის მონაწილე სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო მოსამსახურის სამსახურით.

სარჩელის საფუძვლიანობას ადასტურებდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტიც, რომლის მიხედვით, თანამდებობრივი სარგო შეადგენს შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ერთ-ერთ კომპონენტს პრემიასა და კანონის გათვალისწინებულ დანამატებთან ერთად. ამდენად, მითითებული კანონით გათვალისწინებულ დანამატებს წარმოადგენდა არა თანამდებობრივი სარგოს დანამატი, არამედ ისეთი დანამატები, როგორცაა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონით განსაზღვრული კვების თანხა, საველე დანამატი და სხვა. ამავე პუნქტის ბოლო წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ამდენად, კანონმდებელმა დანამატების გაცემა მიაკუთვნა შესაბამისი საჯარო დაწესებულების პრეროგატივას (მისთვის ბიუჯეტის შესახებ კანონით გამოყოფილი თანხების ფარგლებში), ხოლო თანამდებობრივი სარგოსათვის განკუთვნილი ასიგნებები კი პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული შესაბამისი

სახელმწიფო დაწესებულების ბიუჯეტში, ანუ იგი მიეკუთვნება «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის ე.წ. «დაცულ მუხლთა» კატეგორიას.

ამ დასკვნას ამყარებდა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივლისის ბრძანებულების მე-6 პუნქტის ჩანაწერიც, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა «წვრთნისა და აღჭურვის» პროგრამაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა დამატებითი სახელფასო და სხვა სოციალური ღონისძიებებისათვის (მათ შორის, თანამდებობრივი სარგოს დანამატისათვის) საჭირო დამატებით ასიგნებათა გამოყოფის მიზნით წარმოადგინოს წინადადებები «2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და სათანადო ასიგნებები გათვალისწინებული იქნეს მომავალი წლების ბიუჯეტებში.

რაც შეეხებოდა სარჩელით მოთხოვნილ 51 759.6 ლარში შემავალ საველე დანამატის თანხას - 18.26 ლარს, საქალაქო სასამართლოს აზრით, აღნიშნული არ წარმოადგენდა თანამდებობრივი სარგოს ან სამხედრო წოდების სარგოს შემადგენელ კომპონენტს (სწორედ ასეთ გასაცემად მოიაზრებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ხელფასის შემადგენელი კომპონენტი - დანამატი და არა თანამდებობრივი სარგოს დანამატი). შესაბამისად, ამ ნაწილში მოსარჩელეთა მოთხოვნა არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივლისის #274 ბრძანებულებით 2003 წლის 12 აგვისტოდან დამტკიცდა სამხედრო მოსამსახურეთა თანამდებობრივი განაკვეთისათვის დაწესებული დანამატების ნუსხა, რ. გ-ის კი კონტრაქტი თავდაცვის სამინისტროსთან 2003 წლის 23 ივნისამდე ჰქონდა გაფორმებული. 2002 წლის 4 ივლისის ბრძანებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, «წვრთნისა და აღჭურვის» ერთობლივი პროგრამის მონაწილე საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს ფულადი კმაყოფა და სხვა სოციალური პირობები განესაზღვრათ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად. ამავე ბრძანებულებას თან ერთვოდა დანართი #2, საიდანაც ირკვეოდა სერჟანტის თანამდებობრივ სარგოზე დაწესებული დანამატის ოდენობა - 340 ლარი, რაზეც სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა და მოსარჩელეს (რომელიც სერჟანტის თანამდებობაზე მსახურობდა) 380 ლარის გათვალისწინებით დაუკმაყოფილა სარჩელი.

აპელანტის მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დროულად და კანონიერად აუნაზღაურა მოსარჩელეს კუთვნილი თანხა. აღნიშნული თანხის ანაზღაურებისას მოპასუხემ იხელმძღვანელა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონით და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 14 ნოემბრის #796-44 დადგენილებით, რომლის თანახმად, ფულადი ანაზღაურება ითვალისწინებს თანამდებობრივი განაკვეთისა და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოების ჯამს.

გარდა ამისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უარი სადავო თანხის გაცემაზე, რაც სარჩელის წარმოებაში მისაღებად ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა, ასევე, ყურადღება არ მიექცა იმას, რომ ერთჯერადი დახმარების თანხაში კანონი ითვალისწინებდა მხოლოდ თანამდებობრივ სარგოს და არა თანამდებობრივ დანამატებს ან ხელფასის სრულ ოდენობას. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ თავდაცვის სამინისტრო ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მას სხვა სახსრები არ გააჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს, მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერი იყო და შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი, 2004 წლისათვის მოქმედი რედაქციით, ითვალისწინებდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში ერთჯერადი დახმარების გაცემას 10 წლის საზღაურის (ხელფასის) ოდენობით. იმავდროულად, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის იმავე პერიოდში მოქმედი რედაქცია განსაზღვრავდა საჯარო

მოსამსახურის საზღაურის (ხელფასის) შემადგენლობას, რომელიც მოიცავდა: თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურებისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებულ სხვა დანამატებს, თუმცა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე» 2003 წლის 31 დეკემბრის კანონით შეჩერდა 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება. შესაბამისად, შეჩერდა საზღაურის (ხელფასის) შემადგენელი ფულადი კატეგორიების გაცემა. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ იხელმძღვანელა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონითა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 14 ნოემბრის #796-44 დადგენილებით, რომლის მიხედვით, ფულადი ანაზღაურება ითვალისწინებდა თანამდებობრივი და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოების ჯამს. შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების გაცემისას განხორციელდა საზღაურის (ხელფასის), ანუ თანამდებობრივი (32.04 ლარი) და წოდებრივი (1.03 ლარი) სარგოების 10 წლის ოდენობის გაანგარიშება და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურე რ. გ-იას ოჯახზე გაიცა 3969.6 ლარი.

რაც შეეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივლისის #274 ბრძანებულებას, კასატორის მითითებით, დასახელებული ბრძანებულება ძალაში შევიდა რ. გ-იას მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული კონტრაქტის ხელმოწერიდან 2 თვის გასვლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, მასზე ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები ვერ გავრცელდება, ვინაიდან მითითებულ ბრძანებულებას უკუქვევითი ძალა არ მინიჭებია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, კ. გ-იას, ც. გ-იასა და რ. გ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილია და სადავო არ არის, რომ რ. გ-ია დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ასევე დადგენილია, რომ რ. გ-იას ოჯახზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან ერთჯერადი დახმარების სახით გაიცა 3969 ლარი, რომელიც მოიცავდა რ. გ-იას თანამდებობრივი სარგოს (32,4 ლარი) და წოდებრივი სარგოს (1,03 ლარი) 10 წლის ოდენობას. მოცემულ შემთხვევაში სადავოა, აღნიშნულ ერთჯერად დახმარებაში უნდა ყოფილიყო თუ არა გათვალისწინებული «საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების «წვრთნისა და აღჭურვის» ერთობლივი პროგრამის მონაწილე სამხედრო ძალების ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი კმაყოფისა და სხვა სოციალური პირობების განსაზღვრის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივნისის #274 ბრძანებულებით დადგენილი თანამდებობრივ განაკვეთზე დანამატი.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის ან ავადმყოფობით გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადი დახმარების გაცემას 10 წლის საზღაურის ოდენობით. 1999 წლის 24 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით აღნიშნულ ნორმაში სიტყვა «საზღაური» შეიცვალა სიტყვებით: «თანამდებობრივი და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოების», ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონში 2005 წლის 20 აპრილის კანონით განხორციელებული ცვლილებებით დასახელებული ნორმა ამოქმედდა ახალი რედაქციით, კერძოდ, დადგინდა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. აქვე განიმარტა, რომ ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას მართებულად გამოიყენა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის ის რედაქცია, რომელიც მოქმედებდა რ. გ-იას გარდაცვალების დროისათვის - 2004 წლის 28 იანვრის მდგომარეობით და ითვალისწინებდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მისი ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების გაცემას 10 წლის თანამდებობრივი და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოების ოდენობით. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ აღნიშნული კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული თანამდებობრივი სარგო მოცემულ შემთხვევაში მოიცავს როგორც თანამდებობრივ განაკვეთს, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივნისის #274 ბრძანებულებით დაწესებული თანამდებობრივი განაკვეთის დანამატს.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული «თანამდებობრივი სარგოს» სწორად განმარტებისათვის არსებითია იმის გარკვევა, მოიცავს თუ არა აღნიშნული თანამდებობრივი სარგო რაიმე დანამატს. სადავო პერიოდში მოქმედი

«საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარების, სამთავრობო დაცვის სამსახურის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, სამხედრო პროკურატურისა და სამხედრო სასამართლოების სამხედრო და მუშა-მოსამსახურეთა ფულადი ანაზღაურებაზე დანამატებისა და სხვა სოციალური შეღავათების დაწესების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 14 ნოემბრის #796-44 დადგენილების შესაბამისად, ფულადი ანაზღაურება ითვალისწინებდა თანამდებობრივი განაკვეთისა და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოს ჯამს. «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებამ გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ზემოაღნიშნული დადგენილება თავდაცვის სამინისტროს ნაწილში და განსაზღვრა ფულადი სარგოს შემადგენლობა და მისი დაწესების პირობები, კერძოდ, დასახელებული ბრძანებულების მე-9 პუნქტით დადგინდა სამხედრო მოსამსახურეებისათვის ფულადი სარგოების #1 დანართის შესაბამისად და ამავე პუნქტით განისაზღვრა ფულადი სარგოს შემადგენლობა, რომელმაც მოიცვა მხოლოდ თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოები. ზემოაღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებულ #1 დანართში ცვლილებები შევიდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის #47 ბრძანებულებით, რის შედეგადაც ფულადი სარგოების ნუსხას დაემატა მე-3 კომპონენტი - სამხედრო მოსამსახურეთა დანამატების კატეგორია. საგულისხმოა, რომ, მიუხედავად დანართში განხორციელებული ცვლილებისა, ბრძანებულების მე-9 პუნქტი დარჩა უცვლელად, რომლითაც ფულადი სარგო, როგორც აღინიშნა, წარმოდგენილია მხოლოდ ორი კომპონენტით - თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოთი.

«საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების «წვრთნისა და აღჭურვის» ერთობლივი პროგრამის მონაწილე სამხედრო ძალების ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი კმაყოფისა და სხვა სოციალური პირობების განსაზღვრის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივნისის #274 ბრძანებულების მე-4 პუნქტის მიხედვით, ერთობლივი პროგრამის მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეებს დაუწესდათ თანამდებობრივი განაკვეთის დანამატი სამხედრო სამსახურის გავლის განსაკუთრებული პირობებისათვის. აღნიშნულ ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 12 თებერვლის #44 ბრძანებულებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, «წვრთნისა და აღჭურვის» ერთობლივ პროგრამაში მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების ნუსხას დაემატა მე-11 ბრიგადის 111-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი, რომელშიც მსახურობდა რ. გ-ია.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივნისის #274 ბრძანებულების მე-3 პუნქტის მიხედვით, საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების «წვრთნისა და აღჭურვის» ერთობლივი პროგრამის მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებში სამსახური ჩაითვალა სამხედრო სამსახურის გავლის განსაკუთრებულ პირობად, რისთვისაც ამავე ბრძანებულების მე-4 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეებს დაუწესდათ თანამდებობრივი განაკვეთის დანამატი. აღნიშნული დანამატი ვერ განიხილება, როგორც თანამდებობრივი განაკვეთის იდენტური. თავისი არსით მოცემულ ბრძანებულებაში მითითებული «თანამდებობრივ განაკვეთზე დანამატი» განეკუთვნება თანამდებობრივ სარგოზე დაწესებული დანამატების კატეგორიას, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი კი გულისხმობს თანამდებობრივ და წოდებრივ განაკვეთს დანამატების გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში თანამდებობრივ სარგოში დანამატის არსებობის შესაძლებლობას ასევე არ ასაბუთებს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დასახელებულ ნორმაში საუბარია მხოლოდ შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენლობაში შემავალ კომპონენტებზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი კი ცალსახად მიუთითებს 10 წლის თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოს და არა ხელფასის ანაზღაურებაზე. აქვე გასათვალისწინებელია საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება სამხედრო მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური ნორმები არ ეწინააღმდეგება კანონს.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გასაცემ კომპენსაციაში საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივნისის #274 ბრძანებულებით «წვრთნისა და აღჭურვის» პროგრამაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებისათვის დადგენილი თანამდებობრივ განაკვეთზე დანამატის გათვალისწინებას ასევე სრულიად გამორიცხავს საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნულ ბრძანებულებაში 2003 წლის 12 თებერვალს განხორციელებული ცვლილებები, რომლითაც აღნიშნული ბრძანებულების #2 დანართი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და, იმავდროულად, აღნიშნული დანართის შენიშვნაში გთვალისწინებულ იქნა, რომ ერთჯერადი დახმარებების გაანგარიშება განხორციელდებოდა წინამდებარე თანხების, ანუ «წვრთნისა და აღჭურვის» პროგრამაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა თანამდებობრივ განაკვეთებზე დაწესებული დანამატების გარეშე. ამ რედაქციით აღნიშნული #2 დანართი მოქმედებდა მითითებულ ბრძანებულებაში 2004 წლის 5 ნოემბრის ცვლილებების განხორციელებამდე და მოიცავდა სადავო პერიოდს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ რ. გ-ის ოჯახზე ერთჯერადი დახმარება გაცემულია «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და ამ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს კანონი არ დაურღვევია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია კანონის არასწორი განმარტების საფუძველზე, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის თანახმად, არსებობს აღნიშნული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. კ. გ-იას, ც. გ-იასა და რ. გ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სპეციალური კანონის მიხედვით თანამდებობრივი სარგოს (კომპენსაციის) ანაზღაურება**

##### **განჩინება**

#ბს-915-877(23-07)

15 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. წევლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. ქადაგიძე,**

**მ. ვაჩაძე**

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

**საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად**

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

თ. დ-ქმ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა მიუღებელი ხელფასის, საშვებულებო თანხისა და კომპენსაციის ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე 2001 წლის 4 ნოემბერს აირჩიეს აჭარის ა/რ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. 2004 წლის 7 მაისს აჭარის ა/რ-ში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების შემდეგ დათხოვნილ იქნა აჭარის ა/რ-ის პარლამენტი და შესაბამისად, მოსარჩელეს ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება. მოსარჩელის განმარტებით, დათხოვნის მომენტისთვის მას მიუღებელი ჰქონდა აპრილ-მაისის ხელფასი, საშვებულებო კუთვნილი თანხა 45 დღის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, ასევე, კანონით გათვალისწინებული კომპენსაცია, რაც ერთობლივად შეადგენდა 2415 ლარს.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველები:

მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა წერილობით აჭარის ა/რს უმაღლეს საჭოს და მოითხოვა შრომის წიგნაკის დაბრუნება, ასევე მიუღებელი ხელფასისა და კუთვნილი თანხების ანაზღაურება, მაგრამ აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო ყველა წერილს უპასუხოდ ტოვებდა და მხოლოდ სასამართლოს 2005 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით გახდა შესაძლებელი მისგან პასუხის მიღება, რომლის თანახმად, სახელფასო დავალიანების გასასტუმრებელი თანხები არ იქნა გათვალისწინებული 2005 წლის 15 ივნისის ბიუჯეტში.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები:

მოსარჩელის განმარტებით, ამჟამად მოქმედი კანონი «აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ», მასზე ვერ გავრცელდებოდა იმ მიზეზით, რომ კანონს უკუძალა არა ჰქონდა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობდა მოსარჩელის კონსტიტუციით აღიარებული შრომითი უფლებების დარღვევას. მოსარჩელის აზრით, მასზე უნდა გავრცელებულიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის ნორმები, რამდენადაც აღნიშნული კანონის 11.2 მუხლის თანახმად, აჭარის ა/რ ძირითადი კანონების საფუძველზე არჩეულ, დანიშნულ და დამტკიცებულ თანამდებობის პირებზე

ვრცელდებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონი, თუ საქართველოს კონსტიტუციითა და სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგენილი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. დ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე თ. დ-ძე 2001 წლის 4 ნოემბერს აირჩიეს აჭარის ა/რ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. 2004 წლის 7 მაისს აჭარის ა/რ საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების შემდეგ დათხოვნილ იქნა აჭარის პარლამენტი, შესაბამისად, მოსარჩელეს ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი და განმარტა, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მას მიუღებელი ჰქონდა აპრილის თვის ხელფასი, რომელიც შეადგენდა 480 ლარს.

საქალაქო სასამართლოს დასკვნით, აჭარის ა/რ ყოფილი პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა უნდა მომხდარიყო აჭარის ა/რ კანონით, მაგრამ, ვინაიდან აჭარის ა/რ იმდროინდელ პარლამენტს, როგორც საქმის მასალებით და აჭარის ა/რ პროკურატურიდან გამოთხოვილი საქმის მასალებით დადგინდა, აღნიშნული კანონი არ მიუღია, შესაბამისად, ყოფილი პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრაც კანონით არ მომხდარა. «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის თანახმად კი საკითხები, რომლებიც უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო აქტით, დაუშვებელია დარეგულირდეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქალაქო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა 2004 წლის კუთვნილი 45-დღიანი შვებულების ფულადი კომპენსაციით შეცვლის თაობაზე. «აჭარის ა/რ პარლამენტის სტატუსის შესახებ» საქართველოს იმ დროს მოქმედი კანონი არ ითვალისწინებდა პარლამენტის წევრის მიერ გამოუყენებელი შვებულების ფულადი კომპენსაციით შეცვლას, ხოლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 11.2 მუხლის თანახმად, მოსარჩელეზე, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე, არ ვრცელდებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოთხოვნები. ამდენად, საქალაქო სასამართლოს აზრით, მოსარჩელის მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილშიც უსაფუძვლო იყო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. დ-ძემ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოში, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, მან არაერთხელ მიმართა თხოვნით აჭარის ა/რ უზენაეს საბჭოს, მოეხდინათ ხელფასისა და კომპენსაციის საბოლოო გაანგარიშება, მაგრამ მოპასუხე სხვადასხვა მიზეზით თავს არიდებდა აღნიშნული საკითხის არსებითად განხილვას. ამავე დროს, მისთვის ცნობილი გახდა, რომ აჭარის ა/რ კონტროლის პალატის მიერ შემოწმდა აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს საფინანსო საქმიანობა 2002-2004 წწ. მაისის თვის ჩათვლით. შემოწმების მასალებში მითითებული იყო დეპუტატების ხელფასის დავალიანება. მოსარჩელის განმარტებით, კონტროლის პალატის 8.06.06 წ. და აჭარის ა/რ პროკურატურის 22.08.06 წ. პასუხებში აღნიშნული ინფორმაცია მას არ მიუღია. მხოლოდ სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა აჭარის ა/რ-ის პროკურატურიდან შემოწმების მასალების მიღების შესახებ, რაც სასამართლო პროცესზე შესწავლილ იქნა და დადგინდა, რომ ხელფასის დავალიანებამ შეადგინა 744,9 ლარი.

რაც შეეხება ორი თვის კომპენსაციას, აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნული თანხა მას ეკუთვნოდა საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 109-ე მუხლის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის #1/2/301 გადაწყვეტილების V პუნქტის თანახმად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით თ. დ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თ. დ-ძეს მიეცა 2004 წლის აპრილისა და ამავე წლის 8 მაისის ჩათვლით ხელფასი - 295 ლარის ოდენობით, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

აპელანტი თ. დ-ძე 2001 წლის 4 ნოემბერს აირჩიეს აჭარის ა/რ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. 2004 წლის 7 მაისს აჭარის ა/რ-ში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების შემდეგ დათხოვნილ იქნა აჭარის ა/რ-ის პარლამენტი და შესაბამისად, მოსარჩელეს ვადაზე ადრე, 2004 წლის 8 მაისს შეუწყდა უფლებამოსილება. მოწინააღმდეგე მხარემ არ უარყო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე იყო აჭარის ა/რ იმდროინდელი მოწვევის პარლამენტის წევრი, მაგრამ მიუთითა, რომ კანონით არ იყო მოწესრიგებული პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა.



სააპელაციო სასამართლომ აჭარის ა/რ პროკურატურიდან გამოთხოვილი, აჭარის ა/რ კონტროლის პალატის 2005 წლის 16 ივნისის #02-01/38 აქტის საფუძველზე დაასკვნა, რომ აჭარის ა/რ-ის უზენაეს საბჭოში ჩატარდა 2002 წლის 1 ივლისიდან 2004 წლის აგვისტომდე პერიოდის, აჭარის ა/რ დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს 2004 წლის 8 მაისიდან 8 ივლისამდე პერიოდის და აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივლისიდან 2005 წლის 1 აპრილამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსური რევიზია. აღნიშნულ აქტს ხელს აწერდა მთავარი ბუღალტერი ი. ვ-ძე. უწყისში, სადაც აღნიშნული იყო «აჭარის ა/რ პარლამენტი - სენატი», 36-ე ნომრით მოსარჩელის სახელი და გვარი იყო - თ. დ-ძე. «დაკავებულ თანამდებობად» ნაჩვენები იყო «სენატორი», «ძირითად განაკვეთში» აღნიშნული იყო 330,0, მე-5 და მე-6 გარაფაში - «დარიცხულია» IV, V, ჩაწერილია - 220,0 და 75,0, «გასაცემი თანხის» გარაფაში მითითებულია 744,9 ლარი. ამდენად, დადგინდა, რომ თ. დ-ძე 2004 წლის 8 მაისამდე ასრულებდა თავის მოვალეობას და მას «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლის თანახმად, უფლება ჰქონდა სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო. სააპელაციო პალატის დასკვნით, თ. დ-ძის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო, აღნიშნული უწყისის მიხედვით, შეადგენდა 330 ლარს. სადეპუტატო დანამატის შესახებ კი რაიმე მონაცემები არ მოიპოვებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა 45-დღიანი შვებულების ფულადი კონმპენსაციით შეცვლის შესახებ, რამდენადაც იმ დროს მოქმედი «აჭარის ა/რ პარლამენტის სტატუსის შესახებ» და «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონები არ ითვალისწინებდა შვებულების ფულადი კომპენსაციით შეცვლას. ასევე უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოდან დათხოვნის გამო კომპენსაციის მიღების შესახებ, ვინაიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 109.1 მუხლის თანახმად, მას არ გააჩნდა მითითებულ თანამდებობაზე სამ წლამდე მუშაობის საჯარო სამსახურის სტაჟი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის არაობიექტური, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაარღვია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. კონკრეტულ შემთხვევაში, იმ დროს მოქმედი «აჭარის ა/რ პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ» კანონის თანახმად, აჭარის ა/რ ყოფილი პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა უნდა მომხდარიყო აჭარის ა/რ კანონით, რომელიც მიღებული არ ყოფილა, თუმცა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მისი მიღება აუცილებელი იყო. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის მოთხოვნები, რომლის თანახმად, საკითხები, რომლებიც უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო აქტით, დაუშვებელია დარეგულირდეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ამდენად, აჭარის ა/რ ყოფილი პარლამენტის წევრებზე ხელფასის გაცემის, მით უფრო სახელფასო დავალიანების ანაზღაურების არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ასევე ის გარემოება, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 1.3 მუხლის თანახმად, აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი არის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება სპეციალური კანონმდებლობით და მასზე, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის თანახმად, არ ვრცელდება ამავე კანონის 37-ე მუხლი.

კასატორის მოსაზრებით, აჭარის ა/რ კონტროლის პალატის კომპლექსური რევიზიის აქტის #10 დანართზე რაიმე იურიდიული ძალის მინიჭება და მით უფრო, მასზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება, მიზანშეუწონელი და დაუშვებელია, ვინაიდან თვით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული აქტის დანართში, სახელფასო დავალიანების ნაწილში, თანხები მითითებულია ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. გარდა ამისა, «საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ» ინსტრუქციის მე-2 და 32-ე მუხლების თანახმად, ყველა ბუღალტრულ საბუთს, მათ შორის, ხელფასის უწყისს, ხელს აწერს დაწესებულების ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი, ხოლო ზემოაღნიშნული აქტის დანართზე თანდართულ ხელფასის უწყისს არ გააჩნია ნომერი, არ არის დამოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტერის ხელმოწერითა და ბეჭდით, რაც ხელფასის უწყისის შედგენის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს.

კასატორის განმარტებით, საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის «ა» და «გ» პუნქტების თანახმად, ექვემდებარება დასაშვებად ცნობას, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. დ-მემ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონო და უსაფუძვლოა. აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს მთავარი ბუღალტრის მიერ ხელმოწერილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული აჭარის ა/რ კონტროლის პალატის კომპლექსური რევიზიის აქტის თანახმად, მოსარჩელის სახელფასო და საშვებულებო დავალიანებამ შეადგინა 744,9 ლარი. რევიზიის აქტი შედგენილია 2004 წლის იმჟამად მოქმედი «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 42-ე მუხლის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულ თანხაში არ შედიოდა ორთვიანი საკომპენსაციო თანხა, რომელიც მას ეკუთვნოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 109-ე მუხლის თანახმად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა თ. დ-მემ მოითხოვა ხელფასისა და საშვებულებო დავალიანების - 744,9 ლარის, ორთვიანი კომპენსაციის - 960 ლარის, სულ 1704,9 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 7 თებერვლის განჩინებით თ. დ-მის და აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. «ა» პუნქტის საფუძველზე /აბსოლუტური კასაცია/.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. დ-მისა და აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსკ-ის 393.2, 394 «ე» მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

სსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელე თ. დ-მე 2001 წლის 4 ნოემბერს აირჩიეს აჭარის ა/რ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში; 2004 წლის 7 მაისს აჭარის ა/რ-ში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების შემდეგ დათხოვილ იქნა აჭარის ა/რ პარლამენტი და შესაბამისად, მოსარჩელეს ვადაზე ადრე 2004 წლის 8 მაისს შეუწყდა უფლებამოსილება. მოსარჩელე იყო აჭარის ა/რ მოწვევის პარლამენტის წევრი, თუმცა კანონით არ იყო მოწესრიგებული პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების საკითხი.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს კასაციის მოტივს, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონი. სააპელაციო სასამართლომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ თ. დ-მეს უფლება ჰქონდა, სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 1-ლი მუხლი განსაზღვრავს საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის ცნებას. კანონის 1.1. მუხლის თანახმად, საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის 1.3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ა/რ კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ა/რ კონსტიტუციებით. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის «დ» პუნქტის თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს წარმოადგენს აფხაზეთისა და აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მითითებული ნორმა განსაზღვრავს იმ საჯარო მოსამსახურეების სახეებს, რომლებზედაც არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება. კანონის 1<sup>1</sup>-ლი მუხლის თანახმად, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებზე არ ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოქმედება, გარდა 1-ლი, მე-6, მე-9, მე-10, 39-ე, 66-ე, 121-ე მუხლებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი წარმოადგენს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს,

რომელზედაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოქმედება არ ვრცელდება საგამონაკლისო ნორმების გარდა, მაშინ, როცა საჯარო მოსამსახურე არის პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში, ანუ საჯარო მოხელე არის პირი, რომელიც პირდაპირ წარმოადგენს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოქმედების სუბიექტს, ამ კანონის საფუძველზე ხდება მისი თანამდებობაზე დანიშვნა (არჩევა), გათავისუფლება, იმ უფლებებითა და შეღავათებით აღჭურვა, რაც ამავე კანონით საჯარო მოხელისათვის არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილება და სტატუსი რეგულირდება აჭარის ა/რ კონსტიტუციით, აჭარის ა/რ რეგლამენტით და «აჭარის ა/რ პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ» კანონით. სწორედ მითითებული კანონი არეგულირებს და განსაზღვრავს აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის თანამდებობაზე არჩევის (დანიშვნისა) და დათხოვნის წესს. აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა უნდა განხორციელდებოდეს აჭარის ა/რ კანონით, რომელიც მიღებული არ ყოფილა, თუმცა თ. დ-მის მიერ დაკავებული თანამდებობა წარმოადგენდა ანაზღაურებად სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან თ. დ-მის, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირის მიმართ არ ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოქმედება, სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას 1973 წლის შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც არეგულირებდა საქართველოში მცხოვრებ მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან (მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა); კოდექსის მიღების მიზნად განისაზღვრა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, შრომითი უფლებების დაცვის, შრომის სამართლიან ანაზღაურების და სხვ. ხელშეწყობა.

აღნიშნული ნორმატიული აქტი მოქმედებდა 2006 წლის 25 მაისის შრომის კოდექსის ამოქმედებამდე, ვინაიდან მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან იმყოფებოდა 2001-2004 წლებში, მისი შრომითი ანაზღაურების საკითხის მოსაწესრიგებლად გამოყენებულ უნდა იქნას სწორედ მითითებული 1973 წლის შრომის კანონთა კოდექსი.

საკასაციო სასამართლო 1973 წლის შრომის კანონთა კოდექსის 3. «ბ» მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ თანაბარი მუშაობის პირობებში, მუშაკს უფლება აქვს ჰქონდეს თანაბარი ანაზღაურება შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმისა კანონმდებლობით დადგენილი წესით. შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად კი მუშაკისათვის შრომის ანაზღაურება ხდება შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, ის გარემოება, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა არ მოხდა აჭარის ა/რ კანონით, აღნიშნული არ წარმოადგენს თ. დ-მის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რამდენადაც საქართველოს კონსტიტუციით, «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-7 და «ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის» 23-ე მუხლით უზრუნველყოფილი და აღიარებულია შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება.

სრულიად დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 109.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს არ გააჩნდა თანამდებობაზე სამ წლამდე მუშაობის საჯარო სამსახურის სტაჟი /1999 წლის 19 მარტის რედაქცია/, რის გამოც სარჩელი ორი თვის კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 109-ე მუხლის 2004 წელს მოქმედი რედაქცია, კუთვნილი კომპენსაციის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტად არ მიიჩნევა პირს, რომელსაც გააჩნია მუშაობის სამ წლამდე სტაჟი, არამედ მოქმედი რედაქციის თანახმად, დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო მიუხედავად სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობისა, რამდენადაც აღნიშნული ნორმის მოქმედ რედაქციაში რაიმე დათქმა შრომის სტაჟთან დაკავშირებით მითითებული არ არის. ამასთან, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 109-ე მუხლი კომპენსაციის მიღების უფლების მქონე სუბიექტად მიიჩნევა მოხელეს, მაშინ, როცა თ. დ-მის მიერ დაკავებული თანამდებობა იყო სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობა, ამასთან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის დებულებიდან გამომდინარე, კანონის 109-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება მოსარჩელის მიმართ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის თ. დ-მის კასაციის მოტივს სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევის თაობაზე, კერძოდ სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომ არ იმსჯელა და არ გააქარწყლა სააპელაციო საჩივრის მოტივები, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლომ საქმის განხილვისას სარწმუნოდ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები,

მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოება დადგენილ იქნა არასრულყოფილად, შესაბამისად, სახეზეა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მითითებული ნორმით დადგენილი პირობების დარღვევულად მიჩნევის პროცესუალური საფუძველები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვისას დაეყრდნო მხოლოდ აჭარის ა/რ კონტროლის პალატის 2005 წლის 16 ივნისის აქტს, თუმცა ამავე დროს სრულიად უკრიტიკოდ გაიზიარა აღნიშნული მტკიცებულება. ამდენად, სახეზეა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მითითებული ნორმით გათვალისწინებული დანაწესის დარღვევულად მიჩნევის პროცესუალური საფუძველები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე საჭიროებს დამატებით გამოკვლევას, სააპელაციო სასამართლო საქმის ხელახალი განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით და ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე მოიპოვოს მტკიცებულებები და მათი შეფასების შემდეგ გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის შესახებ, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო გამოარკვიოს თუ რა თანხის ოდენობას იღებდნენ აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სხვა წევრები, რათა სარწმუნოდ დაადგინოს, თუ რეალურად რა წარმომადგენდა აჭარის ა/რ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის ხელფასს, რა ძირითად თანხასა და დანამატს იღებდა ამგვარის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, სააპელაციო სასამართლო უნდა მოიპოვოს ხელფასის გაცემის უწყისები, დაკითხოს ბუღალტერი, რომელიც გასცემდა ხელფასს და აღნიშნული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოების - თ. დ-მის რეალური ხელფასის ოდენობის შესახებ. სააპელაციო სასამართლო უნდა განსაზღვროს, თუ რეალურად რა პერიოდის თანხა არის გაცემული მოსარჩელეზე და რა ოდენობის თანხა დარჩა გასაცემი მოსარჩელეზე ხელფასის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძველები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლო საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.4 მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 412-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოსა და თ. დ-მის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **მიუღებელი ხელფასისა და ერთდროული დახმარების ანაზღაურება**

#### **განჩინება**

#ბს-72-72(კ-08)

22 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** მიუღებელი ხელფასისა და ერთდროული დახმარების ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 30 მარტს ვ. გ-ავამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ და მოითხოვა მიუღებელი ხელფასის - 504,4 ლარისა და ერთდროული დახმარების ანაზღაურება 4 თვის ხელფასის ოდენობით შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელე 1974 წლიდან 2005 წლის 27 ივლისამდე მუშაობდა შსს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოში. მუშაობის პერიოდში მიუღებელი დარჩა 1999 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის და 2000 წლის დეკემბრის ხელფასი - 504,4 ლარის ოდენობით.

მოსარჩელის მითითებით, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა შსს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს, მაგრამ დავალიანების ანაზღაურება არ მომხდარა, რითაც მოსარჩელის მოსაზრებით ილახება მისი კანონიერი უფლებები, კერძოდ, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-9 და 37-ე მუხლების შესაბამისად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო ხელფასი, რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. მოპასუხემ აღიარა დავალიანების არსებობა და საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს და კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

მოსარჩელის მითითებით, «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 75-ე მუხლის შესაბამისად შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომელს, რომელიც დათხოვნილია პენსიის მიღების უფლებით, ერთდროული დახმარების სახით ეძლევა უკანასკნელი 4 თვის ხელფასი, ხოლო პენსიის გარეშე დათხოვნისას გამოსასვლელი დახმარება - უკანასკნელი 2 თვის ხელფასის ოდენობით. აღნიშნულის შესაბამისად, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მას უნდა მიეცეს ერთდროული დახმარება 4 თვის ხელფასის ოდენობით, რადგან დათხოვნილია პენსიის მიღების უფლებით. მითითებული დებულების 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე, ხოლო 2006 წლის 23 იანვრის #139 ბრძანებულებით აღნიშნული ნორმის მოქმედება შეჩერდა 2007 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად, 2006 წლის 1 იანვრიდან 23 იანვრამდე დებულების 75-ე მუხლი მოქმედებდა, რის გამოც მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს ერთდროული დახმარება.

ვ. გ-ავას სარჩელი არ ცნო მოპასუხემ და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

მოპასუხის მითითებით, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო არის დამოუკიდებელი ტერიტორიული ორგანო, რომელსაც გააჩნია თავისი ბალანსი და ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მას არ გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი და ამ ეტაპზე არ არსებობს თანხები მოსარჩელის დასაკმაყოფილებლად.

მოპასუხემ არ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა ერთდროული დახმარების ანაზღაურების შესახებ და მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხს არეგულირებს, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 3 დეკემბრის #1082 ბრძანებულების მე-11 პუნქტი, რომლის მოქმედება შეჩერებულია 2008 წლის 1 იანვრამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით ვ. გ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი ხელფასის - 504,4 ლარის და ერთდროული გასასვლელი დახმარების - 4 თვის ხელფასის ანაზღაურება 1365,31 ლარის ოდენობით, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. გ-ავა 1974 წლის 22 ივლისიდან 2005 წლის 27 ივლისამდე მუშაობდა შსს ორგანოებში. შსს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს 2006 წლის 1 ნოემბრის წერილით დასტურდება, რომ 1999-2000 წლებში ვ. გ-ავას სახელფასო დავალიანება შეადგენდა 504,4 ლარს. 2007 წლის 8 მაისის ცნობით დასტურდება, რომ გათავისუფლებისას - 2005 წლის 27 ივნისისათვის ვ. გ-ავას ძირითადი ხელფასი 330 ლარს, ხოლო წოდების თანხა 11,33 ლარს შეადგენდა. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარმოდგენილ იქნა შსს მთავარი სამმართველოს 2006 წლის 11 იანვარს გაცემული წერილი, რომლითაც მოსარჩელეს ეცნობა, რომ მის პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით მისაღები კომპენსაციის გაცემა შეჩერებული იყო და იგი ვერ გაიცემოდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 11.2 მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შსს სამინისტროს თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო ამავე კანონის 14.1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებზე ვრცელდება აღნიშნული კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლის შესაბამისად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო, ხოლო სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, დაწესებულება, რომელშიც მუშაობს თანამშრომელი, პასუხისმგებელია ხელფასის ანაზღაურებაზე. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, მუშას ან

მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას საწარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა იძლევა დათხოვნის დღეს. აღნიშნული საკითხი ანალოგიურად არის მოწესრიგებული ამჟამად მოქმედი შრომის კოდექსითაც და «პოლიციის შესახებ» კანონის 31-ე მუხლითაც, რომლითაც დადგენილია, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებს ხელფასს. შს ორგანოს თანამშრომელისათვის ხელფასის ანაზღაურებას ითვალისწინებს ასევე «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულების 55-ე მუხლი.

სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს ბიუჯეტი ამ ეტაპზე არ ითვალისწინებს წინა წლების დავალიანებების ასანაზღაურებელ თანხებს. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული მოტივი არ წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კანონისმიერ საფუძველს.

საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანად და დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ერთდროული დახმარების ანაზღაურების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 75-ე მუხლში 2004 წლის 10 ივნისს შეტანილ იქნა ცვლილება და განისაზღვრა, რომ შს თანამშრომელს, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილია პენსიის მიღების უფლებით, ერთდროული დახმარების სახით ეძლევა 4 თვის ხელფასი. 2004 წლის 30 დეკემბრის #624 ბრძანებულებით მითითებული ნორმის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე, ხოლო 2006 წლის 23 იანვრის #61 ბრძანებულებით აღნიშნული მუხლის ამოქმედება კვლავ გადაიდო 2007 წლის 1 იანვრამდე. ამდენად, 2006 წლის 1 იანვრიდან 23 იანვრამდე მოცემული მუხლი შეჩერებული არ იყო და მოქმედებდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. გ-ავას ერთჯერადი კომპენსაციის გაცემაზე, რომელიც «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 75-ე მუხლიდან გამომდინარეობდა, უარი ეთქვა 2006 წლის 11 იანვრის წერილით, ანუ იმ პერიოდში, როდესაც იგი შეჩერებული არ იყო.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ მოცემულ დავაზე «საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულების მე-11 პუნქტი უნდა გავრცელდეს და განმარტა, რომ პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ ვ. გ-ავა შს ორგანოებიდან მოცემული აქტის გამოცემამდე, 2005 წლის ივლისში გათავისუფლდა. მას ერთჯერადი კომპენსაციის მიღების უფლება იმ დროს მოქმედი 1997 წლის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 75-ე მუხლის შესაბამისად გააჩნდა და მოსარჩელე 2005 წელს მისი კუთვნილი უფლების რეალიზაციას ითხოვს. ამასთან, მითითებული 2005 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულების მე-11 პუნქტის მოქმედება ამავე აქტის 26-ე პუნქტის თანახმად, თავიდანვე შეჩერებული იყო ჯერ 2007 წლის 1 იანვრამდე, ხოლო შემდეგ 2008 წლის 1 იანვრამდე. ამდენად, ახალ აქტს ვ. გ-ავას სარჩელზე უკუქცევითი ძალა ვერ მიენიჭება იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ იგი აუარესებს მის მდგომარეობას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთჯერადი დახმარების მიღების უფლება შს ორგანოების თანამშრომლებმა ჯერ კიდევ 1997 წლიდან მოიპოვეს, ხოლო მოპოვებული უფლებების გაუარესება და მითუმეტეს მისი გაუქმება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ადამიანთა საყოველთაო აღიარებული უფლებებისა და გარანტიების დაცვის თაობაზე მიღებულ საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს, რომელთანაც მიერთებულია საქართველო და რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების, მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების ურთიერთ-შეჯერების საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შსს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, აპელანტის მოსაზრებით, ვინაიდან 2006 წლის 1 იანვრიდან 23 იანვრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერებული იყო, მოსარჩელის მოთხოვნა გასასვლელი დახმარების ანაზღაურების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. მოსარჩელე შს ორგანოებში მუშაობდა 2005 წლის 27 ივლისამდე. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის #624 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა შეჩერებული იყო მოსარჩელის დათხოვნის დროისთვისაც.

აპელანტის მოსაზრებით, «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, სადავო საკითხის მოწესრიგებისას უპირატესობა უნდა მიანიჭებოდა «საქართველოს შს სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის #1082 ბრძანებულებას, რომლის მე-11 პუნქტი შს ორგანოებიდან დათხოვნილ თანამშრომელთა ერთდროული დახმარების გაცემის საკითხს ახლებურად არეგულირებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. გ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს ვ. გ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი ხელფასის - 504,4 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების - 1365,31 ლარის ანაზღაურება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლო არსებითად დაეთანხმა და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება და მიიჩნია, რომ მათი გამაბათილებელი არგუმენტები აპელანტს არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად დააკისრა დავალიანების ანაზღაურება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რადგან მოსარჩელეს მოპასუხედ დასახელებული ჰყავდა ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველო, რომელთანაც იმყოფებოდა შრომით ურთიერთობებში. საქმის განხილვის მიმდინარეობისას არ დამდგარა მოპასუხის შეცვლის საკითხი, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დასაბუთებულია დავალიანების ანაზღაურების მოვალეობის თბილისის შს მთავარი სამმართველოსათვის დაკისრება, რის გამოც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ამ მიმართებით უნდა შეიცვალოს და ვ. გ-ავას მიმართ დავალიანების ანაზღაურების მოვალეობა უნდა დაეკისროს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შსს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, ვ. გ-ავა შს ორგანოებში მუშაობდა 2005 წლის 27 ივლისამდე, ხოლო მისი შს ორგანოებიდან დათხოვნის მომენტში, როდესაც მას ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმოეშვა საბოლოო ანგარიშსწორების უფლება, «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერებული იყო. შესაბამისად, მითითებული ნორმით გათვალისწინებული უფლება მოსარჩელეს ვერ წარმოეშობოდა და მისი სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამასთან, მითითებული ნორმის მოქმედება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 4 დეკემბრის #669 ბრძანებულების საფუძველზე კვლავ შეჩერებულია 2009 წლის 1 იანვრამდე.

მოწინააღმდეგე მხარეს საკასაციო საჩივარზე შეპასუხება არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის განჩინებით შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ 1974 წლის 22 ივლისიდან 2005 წლის 27 ივლისამდე მუშაობდა ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოში; საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს 2006 წლის 1 ნოემბრის #27/9/6-გ/155 მიმართვით დასტურდება, რომ ვ. გ-ავას მიღებელი აქვს 1999 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის და 2000 წლის დეკემბრის ხელფასი, სულ 504,4 ლარის ოდენობით. ამავე და ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს 2006 წლის 30 ოქტომბრის, 28 თებერვლისა და 11 იანვრის მიმართვებით, ვ. გ-ავას უარი ეთქვა მიუღებელი სახელფასო დავალიანებისა და ერთდროული დახმარების გაცემაზე იმ მოტივით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის #624 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერებული იყო, ხოლო სახელფასო დავალიანების ანაზღაურებისათვის მიმდინარე წლის ბიუჯეტი არ ითვალისწინებდა წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვისათვის საჭირო ასიგნებებს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების დასკვნებს და მიიჩნია, რომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად მართებულად დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა, სახეზე არ არის სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევა,

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გადაწყვეტილების კანონშესაბამობის თაობაზე, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოებმა მართებულად არ გაიზიარეს მოპასუხის არგუმენტი სათანადო ასიგნებების არარსებობის გამო მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და მართებულად არ მიიჩნიეს აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კანონიერ საფუძველად.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვ. გ-ავასათვის გასასვლელი დახმარების ანაზღაურების შესახებ და დაუსაბუთებულად მიიჩნევს კასატორის მიერ წამოყენებულ საკასაციო პრეტენზიას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მოახდინა სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმათა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან შეფარდება. შესაბამისად, სახეზე არ არის სსსკ-ის 393-ე მუხლის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 75-ე მუხლში საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის #213 ბრძანებულებით შევიდა ცვლილება და დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომელს, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილია პენსიის მიღების უფლებით, ერთდროული დახმარების სახით ეძლევა უკანასკნელი 4 თვის ხელფასი. მითითებული ბრძანებულება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს და მოქმედებდა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის #624 ბრძანებულების ამოქმედებამდე, რომლის მე-2 მუხლით მითითებული დებულების 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის #213 ბრძანებულების მიღებითა და ამოქმედებით შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლებს და მათ შორის მოსარჩელეს წარმოეშვათ სამომავლო უფლება – სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევაში ერთდროული დახმარების მიღების შესახებ. შესაბამისად, ამგვარი უფლების არსებობაზე გავლენას ვერ მოახდენს ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის #624 ბრძანებულების მე-2 მუხლით «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკანონმდებლო ცვლილებით ჩამოყალიბებული ახალი რედაქციის ამოქმედების ვადის დათქმა, არცერთ შემთხვევაში არ განაპირობებს არსებული ნორმის შეჩერებას ან უმოქმედობას, რადგანადაც მოქმედი სამართლებრივი აქტები სივრცე – საკანონმდებლო ბაზა არ იცნობს ისეთ იურიდიულ ტერმინს, როგორცაა «უმოქმედო ნორმა» – მისი ალოგიკურობის გამო, ასევე, სამართლებრივი ნონსენსია «შეჩერებული ნორმა». აღნიშნული ვრცელდება ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართაც, რადგან «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 5.3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ ნდობას, რაც თავის მხრივ მოითხოვს კანონის ნორმების სიცხადეს. კანონმდებლობის «არაწინააღმდეგობრიობის» პრინციპი კი განაპირობებს კანონმდებლობას, როგორც ჰარმონიულ ურთიერთობას, რომელიც თავისუფალი იქნება შიდა წინააღმდეგობისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწესებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ისე შეხამების ვალდებულებას, რომ ესა თუ ის მოქალაქე არ აღმოჩნდეს დაუცველი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობისაგან. კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას კანონმდებელი შეზღუდულია ნორმატიული, სოციალური, ლოგიკური, ენობრივი და სხვა ხასიათის შეზღუდვებით, კერძოდ, კანონმდებლის ნორმატიული შეზღუდვა კონსტიტუციიდან და სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციით დაცულ ნორმათა კომპლექსიდან გამომდინარეობს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილებას, რომელიც ეხებოდა კანონის იმ ნორმის შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციის 30.4 და 32-ე მუხლებთან, რომლითაც შეჩერდა უკვე არსებული ნორმის მოქმედება. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ამგვარი ნორმა და სამართლიანად აღნიშნა, რომ «ნორმატიული აქტის მიღებისას კანონმდებელი ვალდებულია სწორად განსაზღვროს მისი მოქმედების სავარაუდო შედეგები. კანონმდებლის პროგნოზი ამ თვალსაზრისით უნდა იყოს დასაბუთებული და გამართლებული, რათა ადგილი არ ჰქონდეს კანონის ამოქმედების ხშირად გადავადებას და ადამიანის უფლებათა მარტოოდენ დეკლარირებას. კანონმდებლის მხრიდან საკანონმდებლო პროცესისადმი ასეთი დამოკიდებულება მიჩნეულ უნდა იქნეს მის ერთ-ერთ კონსტიტუციულ ვალდებულებად». საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ «ამგვარი მიდგომით ეჭვის ქვეშ დგება არა მარტო უფლების რეალიზაცია, არამედ თვით ამ უფლების არსებობაც. ასეთ ვითარებაში, უფლებები ფიქტიურ ხასიათს იძენენ და შინაარსგამოცლილი ხდებიან».

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები საკანონმდებლო აქტის საფუძველზე აღჭურვილნი არიან ნორმათშემოქმედების კომპეტენციით, რაც გამოვლენას ჰპოვებს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების სახით. ნორმატიული



ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის უფლებამოსილი ორგანო განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც შესაბამის ორგანოებს აღჭურავს ასეთი აქტის გამოცემის უფლებამოსილებით. შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსთვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მინიჭებული ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების უფლება მისი კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ელემენტიც არის, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი ფუნქციაა სამართალგამოყენებითი, ნორმაშეფარდებითი საქმიანობა. ადმინისტრაციული ორგანოების ნორმაშემოქმედებითი ხასიათის საქმიანობა მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება და ამ ფუნქციით არის დეტერმინირებული. ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმებს ორგანო - სამართალგამოყენებითი და სამართალდამდგენი - იურიდიული დატვირთვა აქვს; ეს ნორმები ემსახურება სამართალგამოყენების, ანუ აღსრულების მიზანს, რის გამოც, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტები გამოიცემა კანონის აღსრულების მიზნით, ანუ ისინი კანონქვემდებარე აქტებია.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები ჩადებულია საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს კანონში «ნორმატიული აქტების შესახებ» და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ასევე, ცალკეული კანონები შეიცავს სპეციალურ მითითებას, რომ კონკრეტული მმართველობის ორგანო აღჭურვილია, ამავე კანონის საფუძველზე გამოსცეს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ თვით ამ კანონში განისაზღვროს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების «შინაარსი, მიზანი და მოცულობა», ე.ი. თვითონ კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს მომავალში ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განხორციელებული სამართლებრივი მოწესრიგების ჩარჩოები და მიმართულებები ისე, რომ მმართველობის ორგანოს შეეძლოს კანონმდებლის ნების ფარგლებში და შესაბამისად მოქმედება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებაში დამატების შეტანის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის #624 ბრძანებულების მე-2 პუნქტი სამართლებრივი თვალსაზრისით ვაგებულ უნდა იქნას იმგვარად, რომ ნორმაშემოქმედების მომენტში საქართველოს პრეზიდენტის ნამდვილ ნებას წარმოადგენდა დებულების 75-ე მუხლის მოქმედების გადავადება, რამდენადაც ნორმის შეჩერების უფლებამოსილებით ადმინისტრაციული ორგანოები არ არიან აღჭურვილი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთ საქმიანობაში, მათ შორის, ნორმაშემოქმედებითი ფუნქციისას შეზღუდული არიან საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებით.

ამდენად, #624 ბრძანებულების მე-2 პუნქტის ლოგიკური ინტერპრეტაციის საფუძველზე, მოსარჩელის მოთხოვნა ექვემდებარება დაკმაყოფილებას, ვინაიდან ნორმით დადგენილი სიკეთის (უფლების) ამოქმედების გადავადება არ იწვევს ამ უფლების არარსებობას.

ამდენად, საკანონმდებლო ნორმის ინტერპრეტაცია განეკუთვნება რა სასამართლოს იურისდიქციის სფეროს, მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 75-ე მუხლი უნდა გავრცელდეს ვ. გ-ავაზე, მოთხოვნა ერთჯერადი დახმარების გაცემის თაობაზე საფუძვლიანია, რამდენადაც მოსარჩელეს გასასვლელი დახმარების ანაზღაურებაზე უარი ეთქვა ადმინისტრაციული ორგანოს 2006 წლის 11 იანვრის წერილით, როდესაც დებულების 75-ე მუხლი მოქმედებდა. შესაბამისად, არ არსებობდა დახმარების გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. ის გარემოება, რომ ნორმა მოქმედებდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის დახმარების გაცემის თაობაზე მიმართვის, ან ადმინისტრაციული ორგანოდან უარის მიღების დროისათვის, განმსაზღვრელია, რადგან ერთდროული გასასვლელი დახმარების მიღების უფლება წარმოიშვა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის #213 ბრძანებულების მიღებით და არსებობდა დახმარების მისაღებად ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის დროს.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს სადავო საკითხის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის #1082 ბრძანებულების მე-11 პუნქტით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არ არსებობს #1082 ბრძანებულების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი, რადგან მითითებული ბრძანებულება მიღებულ იქნა ვ. გ-ავას სამუშაოდან გათავისუფლების შემდეგ - 2005 წლის 23 დეკემბერს.

«ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უკუძალა არა აქვს. აქტს უკუძალა ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ნორმატიულ აქტს, რომელიც აუარესებს პირის მდგომარეობას, უკუძალა არა აქვს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის #1082 ბრძანებულების გამოყენების წინაპირობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშესაბამობის შესახებ, რის გამოც ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სახელფასო დავალიანების ანაზღაურება**

#### **განჩინება**

#ბს-22-22(23-08)

15 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. წეკპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**ნ. ქადაგიძე**

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

**საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად**

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

ნ. დ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლებისას საბოლოო ანგარიშისა და სხვა გასაცემლების ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე 1996 წლიდან მუშაობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2004 წლიდან ეკავა მე-4 სამმართველოს უფროსის თანამდებობა.

სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები:

«საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის #249 დადგენილების შესაბამისად, ლიკვიდირებულ იქნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - «შრომის ინსპექცია და ნ. დ-მე 2006 წლის 4 იანვრის #02-14 ბრძანებით გათავისუფლდა სამსახურიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96.1. მუხლის საფუძველზე. მოსარჩელემ გათავისუფლებისას მიიღო მხოლოდ ორი თვის კომპენსაცია, ხოლო საბოლოო ანგარიში და ძველი დავალიანებები არ მიუღია. მას მიუღებელი აქვს 1999 წლის 4 თვის სახელფასო დავალიანება - 240 ლარი, სამი თვის საპრემიო დავალიანება - 180 ლარი, სამივლინებო ხარჯები - 225 ლარი და საშვებულებო დავალიანება - 600 ლარი; 1999 წლის იანვრიდან 2000 წლის ივლისამდე პერიოდის ტრანსპორტის კომპენსაცია - 141 ლარი, 2005 წლის 1 აპრილიდან 2006 წლის 1 იანვრამდე პერიოდის დანამატი ნამსახურობისათვის - 1620 ლარი და გამოუყენებელი შვებულებისათვის - 305 ლარი. აღნიშნული დავალიანებები დადასტურებულია შრომის ინსპექციის მიერ 2005 წლის 28 დეკემბერს გაცემული #320 ცნობით.

სარჩელის სამართლებრივი გარემოებები:

შრომის კოდექსის 31.3. მუხლის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებული იყო, ნებისმიერი ანგარიშსწორების დაყოვნებისას ყოველი დღისათვის გადაეხადა დასაქმებულისათვის დაყოვნებული თანხის 0,007 პროცენტი. ამასთან, ამავე კოდექსის მოქმედება ვრცელდებოდა არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა, ანუ მას ჰქონდა უკუქცევითი ძალა.

ამდენად, მოპასუხე ვალდებული იყო, დავალიანების გადახდის დაყოვნებისათვის 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 3 აპრილამდე მოსარჩელისთვის გადაეხადა 2228 ლარი (2555 დღის) 1245 ლარის გადაუხდელობის გამო, 2000 წლის ივნისიდან ტრანსპორტის კომპენსაციის - 141 ლარის დაყოვნებისათვის - 223 ლარი, 3311 ლარის გადაუხდელობის გამო 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 3 აპრილამდე, 455 დღის დაყოვნებისათვის - 1054,5 ლარი, სულ თანხის დაყოვნებისათვის მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა 3505 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით ნ. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1999-2000 წლების მიუღებელი ტრანსპორტის კომპენსაცია - 133,23 ლარი, სამივლინებო ხარჯი - 224,86 ლარი, შრომის ანაზღაურება - 357,20 ლარი, სულ - 715,20 ლარის ანაზღაურება; მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე - 2595,80 ლარის ანაზღაურების ნაწილში უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო, რაც საქალაქო სასამართლომ დასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

«საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის #249 დადგენილების შესაბამისად, ლიკვიდირებულ იქნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - «შრომის ინსპექცია», რის გამოც ნ. დ-მე გათავისუფლდა სამსახურიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96.1. მუხლის საფუძველზე. მოსარჩელემ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 109.1. მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლების გამო, მიიღო ორი თვის თანამდებობრივი სარგოს კომპენსაცია. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის #1/11/04/1627 ცნობა, რომლის შესაბამისად, ნ. დ-მის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენდა 715,20 ლარს.

საქალაქო სასამართლომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო, პრემია და სხვა დანამატები. ამავე კოდექსის 38-ე მუხლის მიხედვით, მოსამსახურეს ასევე ჰქონდა უფლება, მიეღო მივლინების ხარჯები. ამასთან, «საქართველოს რესპუბლიკაში საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლების შესახებ» საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 23 მარტის #167 დადგენილების შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, მიეღო ტრანსპორტის კომპენსაცია. ამდენად, მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა მიუღებელი დავალიანება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 2 მარტს გაცემული #1/11/04/1627 ცნობის შესაბამისად, 715,20 ლარის ოდენობით.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.4. მუხლის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყარო იყო შესაბამისი ბიუჯეტი. «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» 2007 წლის კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანების დაფარვისათვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შესაძლებელი იყო 2007 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებების გამოყენება. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონმა «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის შესაბამისად, შრომის კოდექსისაგან განსხვავებულად მოაწესრიგა საბიუჯეტო ორგანიზაციაში წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანების დაფარვის წესი ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებების გამოყოფით. ამდენად, სასამართლოს დასკვნით, წინა წლების დავალიანების დაფარვის წესი მოწესრიგებული იყო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით და ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-9 მუხლით და აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, შრომის კოდექსის 31.3. მუხლი მოსარჩელის მიმართ ვერ გავრცელდებოდა. ამდენად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, როგორც საბიუჯეტო დაწესებულებას, არ ეკისრებოდა ვალდებულება, საქართველოს შრომის კოდექსის 31.3. მუხლის შესაბამისად, მოსარჩელისთვის აენაზღაურებინა ანგარიშსწორების დაყოვნებისთვის ყოველი დაყოვნებული თანხის 0,007%.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. დ-მემ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება 2595,80 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, შემდეგი მოტივით:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო, იგი გამოტანილი იყო საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა გაუქმებას. შუამდგომლობების სტადიის დამთავრების შემდეგ, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსამართლის მიერ მიღებულ იქნა მოპასუხის მიერ წარდგენილი «უწყისები», მაგრამ არ მიიღო სასამართლოსგარეშე ხარჯების გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს

2006 წლის 7 ნოემბრის განჩინება მსგავს დავაზე, რომეშიც სასარჩელო მოთხოვნა იდენტური იყო მოცემულ დავასთან, მათ შორის, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული საშვებულებო დახმარების და ამავე კანონის 37-ე მუხლით დადგენილი ნამსახური წლებისათვის დანამატის მოთხოვნის ნაწილშიც. ამდენად, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

აპელანტის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნას საფუძვლად დაედო საქართველოს შრომის ინსპექციის მიერ 2005 წლის 28 დეკემბერს გაცემული ცნობა - მოსარჩელის მიმართ 3311 ლარის დავალიანების არსებობის აღიარების შესახებ; შრომის ინსპექციის 2005 წლის 22 ნოემბრის #341 წერილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიმართ, რომლითაც ინსპექცია მიუთითებდა თანამშრომლების მიმართ დავალიანების არსებობას და მოითხოვდა მის დასაფარად თანხების გამოყოფას; შრომის ინსპექციის 2005 წლის 7 დეკემბრის #368 წერილის ასლი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიმართ; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის #01/11/04/1427 წერილის ასლი, რომლითაც სამინისტრომ აცნობა მოსარჩელეს, რომ მათ ბალანსზე ირიცხებოდა 1999-2000 წლების ტრანსპორტის კომპენსაცია, სამივლინებო ხარჯები და შრომის ანაზღაურება, სულ 715,20 ლარის ოდენობით. ამასთან, სასამართლო პროცესზე არ იქნენ მიწვეული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის უფროსი ა. მ-მე და მთავარი ბუღალტერი ლ. ხ-ელი, მით უფრო, რომ ისინი ხელს აწერდნენ არა მარტო ზემოაღნიშნულ ცნობებს, არამედ მოპასუხის მიერ სასამართლოში წარმოდგენილ «უწყისებსაც».

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. დ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაევალა არსებული დავალიანების - 3311 ლარის ანაზღაურება, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის 2005 წლის 28 დეკემბრის #320 ცნობის თანახმად, ნ. დ-მის 1999 წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეების სახელფასო დავალიანება შეადგენდა 240 ლარს, ხოლო ამავე წლის ივნისის, სექტემბრის, დეკემბრის საპრემიო დავალიანება - 180 ლარს, 1999 წლის იანვრიდან 2000 წლის ივლისამდე ტრანსპორტის კომპენსაცია - 141 ლარს, 1999 წლის სამივლინებო ხარჯები - 225 ლარს, საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული საშვებულებო დახმარება - 600 ლარს, ამავე კანონის 37.2. მუხლით გათვალისწინებული დანამატი ნამსახური წლებისათვის 2005 წლის 1 აპრილიდან 2006 წლის 1 აპრილამდე - 1620 ლარს, ამავე კანონის 109-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლებისას კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგო - 1200 ლარს და გამოუყენებელი შვებულების დღეებისათვის - 305 ლარს, სულ - ყველა სახის დავალიანება ნ. დ-მის მიმართ შეადგენდა 4511 ლარს. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის #01/11/04/1427 წერილი, რომლითაც ნ. დ-მეს ეცნობა, რომ მათ ბალანსზე ირიცხებოდა 1999-2000 წლების ტრანსპორტის კომპენსაცია, სამივლინებო ხარჯებისა და შრომის ანაზღაურება, სულ 715,20 ლარის ოდენობით.

სააპელაციო პალატამ გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1. მუხლი და განმარტა, რომ ამავე კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყარო იყო შესაბამისი ბიუჯეტი, ხოლო საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლებოდა გამხდარიყო მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მუშაკის სახელფასო და კანონით გათვალისწინებული სხვა სოციალური გარანტიების დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებოდა იმ ორგანოს, რომელთანაც მუშაკი იმყოფებოდა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში და რომელსაც გააჩნდა მუშაკის მიმართ დავალიანება.

«საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის #249 დადგენილების მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, ლიკვიდირებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - შრომის ინსპექციის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამდენად, ნ. დ-მის მიმართ არსებული დავალიანების ანაზღაურება უნდა დაკისრებოდა ამ უკანასკნელს, ხოლო არსებული დავალიანების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის 2005 წლის 28 დეკემბრის #320 ცნობის მიხედვით, რამდენადაც აღნიშნული გაცემული იყო იმ დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ, რომელთანაც მუშაკი იმყოფებოდა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და არასრულია, რის გამოც იგი ექვემდებარება გაუქმებას. ნ. დ-მე გათავისუფლდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - შრომის ინსპექციის სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან. მას მიეცა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 109-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია ორი თვის თანამდებობრივი სარგოს - 1200 ლარის ოდენობით. «საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის #249 დადგენილების მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, ლიკვიდირებული საქვეუწყებო დაწესებულების - შრომის ინსპექციის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. შრომის ინსპექციის სალიკვიდაციო კომისიის მიერ შედგენილ უფლებამონაცვლისათვის გადაცემულ უწყისებში, რომლითაც განისაზღვრებოდა შრომის ინსპექციის თანამშრომლებზე დარიცხული ანაზღაურება, სამივლინებო ხარჯებისა და ტრანსპორტის კომპენსაცია, ნ. დ-მის კრედიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით იყო შემდეგი მონაცემები: 1999-2000 წლების ტრანსპორტის კომპენსაცია - 133,23 ლარი, სამივლინებო ხარჯი - 224,86 ლარი და შრომის ანაზღაურება 357,11 ლარი, სულ - 715,20 ლარის ოდენობით. ამდენად, საკასაციო საჩივარი ასკ-ის 34-ე მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება დასაშვებად ცნობას. ასევე, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე ნ. დ-მემ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რამაც გამოიწვია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, გადაწყვეტილება მიღებულია საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით. სასამართლომ ასევე არასწორად ჩათვალა, რომ მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება წესრიგდება არა შრომის კანონთა კოდექსით ან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით, არამედ «ბიუჯეტის შესახებ» კანონით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი ასკ-ის 34.3. მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება დასაშვებად ცნობას.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. «ა» პუნქტის საფუძველზე /აბსოლუტური კასაცია/. ამავე განჩინებით ნ. დ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა - კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული საქმის განხილვისა და გადაწყვეტისას არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა კანონი, საპროცესო ნორმები არ დარღვეულა, სწორი შეფასება მიეცა საქმის მასალებს და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 407.2. მუხლის მიხედვით, წარმოდგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადასტურებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, კერძოდ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის 2005 წლის 28 დეკემბრის #320 ცნობის თანახმად, ნ. დ-მის 1999 წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეების სახელფასო დავალიანება შეადგენდა 240 ლარს, ხოლო ამავე წლის ივნისის, სექტემბრის, დეკემბრის საპრემიო დავალიანება - 180 ლარს, 1999 წლის იანვრიდან 2000 წლის ივლისამდე ტრანსპორტის კომპენსაცია - 141 ლარს, 1999 წლის სამივლინებო ხარჯები - 225 ლარს, საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული საშვებულებო დახმარება - 600 ლარს, ამავე კანონის 37.2. მუხლით გათვალისწინებული დანამატი ნამსახური წლებისათვის 2005 წლის 1 აპრილიდან 2006 წლის 1 აპრილამდე - 1620 ლარს, ამავე კანონის 109-ე მუხლის შესაბამისად,

სამსახურიდან გათავისუფლებისას კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგო - 1200 ლარს და გამოუყენებელი შვებულების დღეებისათვის - 305 ლარს, სულ - ყველა სახის დავალიანება ნ. დ-მის მიმართ შეადგენდა 4511 ლარს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის #01/11/04/1427 წერილით, ნ. დ-მეს ეცნობა, რომ მათ ბალანსზე კრედიტორად ირიცხებოდა მისი შრომის ინსპექციაში მუშაობის 1999-2000 წლების ტრანსპორტის კომპენსაცია, სამივლინებო ხარჯებისა და შრომის ანაზღაურება, სულ 715,20 ლარის ოდენობით, რაზეც მონაცემები გადაიცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-7 და «ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის» 23-ე მუხლით უზრუნველყოფილი და აღიარებულია შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლის თანახმად, საჯარო მოხელეს ხელფასი ეძლევა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, განსაზღვრულია საჯარო მოხელისათვის ხელფასის გაცემის პერიოდი, რაც მოიცავს დროს სამსახურში მიღებიდან გათავისუფლებამდე. ამავე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულია, რომ მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი, ხოლო საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება გახდეს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მუშაკის სახელფასო და კანონით გათვალისწინებული სხვა სოციალური გარანტიების დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება იმ ორგანოს, რომელთანაც შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა მუშაკი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის #249 დადგენილების მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, ლიკვიდირებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - შრომის ინსპექციის უფლებამონაცვლედ, რომელთანაც შრომით - სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა მოსარჩელე, განისაზღვრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ნ. დ-მის მიმართ ანაზღაურების დავალიანების ანაზღაურება უნდა დაკისრებოდა ამ უკანასკნელს, ხოლო არსებული დავალიანების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის 2005 წლის 28 დეკემბრის #320 ცნობის მიხედვით, რამდენადაც აღნიშნული გაცემული იყო იმ დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ, რომელთანაც მუშაკი იმყოფებოდა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის 2005 წლის 28 დეკემბრის #320 ცნობის საფუძველიანობა ან, რომ ეს უკანასკნელი გაცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სადავოდ არ გაუხდია, ის გარემოება, რომ სამინისტროს ნ. დ-მის დავალიანების შესახებ სხვა მონაცემები გააჩნია, არ აქარწყლებს შრომის ინსპექციის ცნობის მართლზომიერებას, აღსანიშნავია, რომ სამინისტროს თავად არანაირი გამოკვლევა არ ჩატარებია, რათა დაედგინა მონაცემების შეუსაბამობის საკითხი და კონკრეტული მტკიცებულებები წარედგინა სასამართლოსათვის, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3. მუხლის დებულებიდან გამომდინარე, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ის ამყარებს თავის მოთხოვნას ან შესაგებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშესაბამობის თაობაზე, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძველები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.2. მუხლის საფუძველზე, სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 15 ივლისის განჩინებით სსსკ-ის 260.1. მუხლის საფუძველზე გასწორდა საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 15 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაშვებული უსწორობა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სასამართლო ხარჯების სახით 200 ლარის დაკისრების ნაცვლად დაეკისრა სასამართლო ხარჯის სახით 100 ლარის გადახდა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

### და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სასამართლო ხარჯების სახით დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამსახურიდან გათავისუფლებისას გასასვლელი თანხის მოთხოვნის უფლება

### განჩინება

#ბს-362-349(კ-08) 8 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სახელფასო, სამივლინებო, ტრანსპორტის საკომპენსაციო თანხის, საშვებულებო დახმარების, ნამსახურევი წლების დანამატისა და გასასვლელი დახმარების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-მემ 28.11.06წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 4737 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.01.07წ. გადაწყვეტილებით მ. ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მირიან ბ-მის სასარგებლოდ დაეკისრა - 3537 ლარის გადახდა, სასარჩელო მოთხოვნას - სამსახურიდან გათავისუფლებისას ორი თვის თანამდებობრივი სარგოს - 1200 ლარის ანაზღაურების ნაწილში ეთქვა უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.01.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ბ-მემ სასარჩელო განცხადებაზე უარის თქმის ნაწილში და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ - სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.02.08წ. გადაწყვეტილებით მ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.01.07წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. ბ-მის სარჩელის მოთხოვნა სამსახურიდან გათავისუფლების გამო კომპენსაციის სახით ორი თვის თანამდებობრივი სარგოს - 1200 ლარის ანაზღაურების შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. ბ-მის მოთხოვნა დაკმაყოფილდა - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაეკისრა მ. ბ-მის სასარგებლოდ სამსახურიდან გათავისუფლების გამო კომპენსაციის სახით ორი თვის თანამდებობრივი სარგოს - 1200 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების შრომის ინსპექციის უფროსის 04.01.06წ. #02-14 ბრძანებით #2 სამმართველოს უფროსი მ. ბ-მე, შრომის ინსპექციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლდა 2006 წლის 3 იანვრიდან. ხსენებული კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კანონის მითითებული ნორმით გათვალისწინებული კომპენსაციის მისაღებად აუცილებელია მხოლოდ ის წინაპირობა, რომ მოხელე სამსახურიდან გათავისუფლებული იყოს დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეუა.

ამასთან, კანონი არ ითვალისწინებს ამ სახის კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობას დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებულ იმ მოხელეებზე, რომლებიც დროის გარკვეული მონაკვეთის გავლის შემდეგ დასაქმდებიან იმავე ან სხვა უწყებაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 07.04.08წ. საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.02.08წ. გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა საშვებულებო დახმარების - 600 ლარის ანაზღაურების თაობაზე, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 42-ე მუხლი ითვალისწინებდა მოხელისათვის საშვებულებო დახმარების ანაზღაურებას. თუმცა, აღნიშნული მუხლის მოქმედება 29.12.04წ. შეჩერდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ხოლო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონში 23.12.05წ. კანონით შეტანილი ცვლილების საფუძველზე, 2006 წლის 1 იანვრიდან 42-ე მუხლი საერთოდ გაუქმდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, ვინაიდან მოსარჩელის გათავისუფლება მოხდა 04.01.06წ., მაშინ, როდესაც საშვებულებო დახმარების შესახებ შესაბამისი ნორმა უკვე ძალადაკარგული იყო, საფუძველს მოკლებული იყო მოსარჩელის მოთხოვნა საშვებულებო დახმარების ანაზღაურების თაობაზე, რაც სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა. არასწორად იქნა შეფასებული, აგრეთვე, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მეორე პუნქტის მოსარჩელეზე გავრცელების საკითხი, ვინაიდან აღნიშნული ნორმის მოქმედება 29.12.04წ. შეჩერდა, ხოლო 2006 წლის 1 იანვრიდან 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი შეიცვალა, მუხლი აღარ შეიცავდა მითითებას დანამატზე ნამსახურევი წლებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების მომენტისათვის არ არსებობდა სამართლის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა ნამსახურევი წლების თაობაზე დანამატის ანაზღაურებას. სამინისტროს ასევე დაეკისრა დავალიანების დაფარვა ტრანსპორტის კომპენსაციისათვის საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 23.03.95წ. #167 დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული დადგენილებით არ არის განსაზღვრული თანხის ოდენობა. დადგენილების მე-4 მუხლით ზოგადად წესდება, რომ სამინისტროებსა და უწყებებს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლიათ თავიანთ მუშაკებზე გასცენ სათანადო საკომპენსაციო თანხის გაცემა ან შეუძინონ მათ ერთიანი სამგზავრო ბილითი. აღნიშნული საკომპენსაციო თანხის გაცემა არ არის სავალდებულო ყველა თანამშრომელზე, ვინაიდან ასეთი კომპენსაცია შეიძლება გაიცეს იმ შემთხვევაში, თუ მოხელეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სისტემატურად უხდება მგზავრობის ხარჯების გაწევა. საქმეში არ არის წარმოდგენილი მოსარჩელის მხრიდან გაწეული ხარჯების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. სასამართლოს გადაწყვეტილება ძირითადად ეფუძნება შრომის ინსპექციის ყოფილი უფროსის მიერ გაცემულ ცნობას, რომელიც, კასატორის მოსაზრებით, სამართლებრივად დასაბუთებული არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 17.09.08წ. განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ შრომის ინსპექციის უფროსის 04.01.06წ. #02-14 ბრძანებით ინსპექციის #2 სამმართველოს უფროსი მ. ბ-ძე, შრომის ინსპექციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდა სამსახურიდან 2006 წლის 3 იანვრიდან, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 11.01.06წ. ბრძანებით 2006 წლის 11 იანვრიდან დაინიშნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქვემო ქართლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე. აღნიშნული თანამდებობიდან მ. ბ-ძე მინისტრის 30.10.06წ. ბრძანებით გათავისუფლდა 2006 წლის 1 ნოემბრიდან. 28.11.06წ. სარჩელით მან მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის 28.12.05წ. ცნობის საფუძველზე სახელფასო, სამივლინებო, ტრანსპორტის საკომპენსაციო თანხის, საშვებულებო დახმარების, ნამსახურევი წლების დანამატისა და გასასვლელი დახმარების ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელე უთითებდა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის უფროსის 04.01.06წ. #02-14 ბრძანებით სამსახურიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მისი გათავისუფლებისას, მოპასუხეს არ შეუსრულებია ამავე კანონის 109-ე მუხლის



პირველი პუნქტის მოთხოვნა და მისთვის არ აუნაზღაურებია დაწესებულების ლიკვიდაციის გამო სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელეებისათვის გათვალისწინებული კომპენსაცია – 2 თვის თანამდებობრივი სარგო. არ არის დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს დასკვნა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის პირობების მოსარჩელესთან მიმართებაში არსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს არა მხოლოდ შრომის ინსპექციის უფროსის 04.01.06წ. #02-14 ბრძანების განცხადებით შეფასების, არამედ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 11.01.06წ. #1/კს და 30.10.06წ. #100/კს ბრძანებების ერთობლიობაში შეფასების გზით. მართალია, 04.01.06წ. გამოიცა #02-14 ბრძანება, რომელშიც საუბარია ლიკვიდაციის გამო მ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლებაზე, თუმცა აღნიშნული ბრძანების გამოცემიდან 6 დღეში – 2006 წლის 11 იანვრიდან მ. ბ-მე მინისტრის 11.01.06წ. #1/კს ბრძანებით კვლავ დაინიშნა თანამდებობაზე მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო. მითითებული ნორმით გათვალისწინებული გამოსასვლელი დახმარების გაცემის მიზანია სამსახურიდან გათავისუფლებული პირისათვის სხვა სამსახურის დაწყებამდე არსებობის შენარჩუნების მინიმალური ფინანსური უზრუნველყოფა. აღნიშნული დახმარება უმუშევრად დარჩენილი მოხელის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის ერთ-ერთი პირველადი ღონისძიებაა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატას «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გასასვლელი დახმარების ანაზღაურების საფუძვლის არსებობაზე უნდა ემსჯელა, რამდენადაც 04.01.08წ. ბრძანებას შედეგად არ მოჰყოლია სისტემიდან მოსარჩელის გათავისუფლება და მისი უმუშევრად დარჩენა, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა ხომ არ ჰქონდა ადგილი რეალურად მოსარჩელისათვის ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში ახალი თანამდებობის შეთავაზებას და მისივე თანხმობით, აღნიშნულ ახალ თანამდებობაზე გადაყვანას. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კომპენსაციის დაინიშნულებას კი წარმოადგენს სისტემიდან გათავისუფლებული, სამსახურის გარეშე დარჩენილი მოხელის დახმარება, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება.

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მიერ სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «საქართველოს რესპუბლიკაში საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 28.03.95წ. #167 დადგენილების მე-4 პუნქტის თანახმად სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროებისა და უწყებების მიერ აუცილებლობის შემთხვევაში თავიანთი მუშაკებისათვის სათანადო საკომპენსაციო თანხის გაცემა ან ერთიანი სამგზავრო ბილეთის გაცემა წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას და არა ვალდებულებას. ამასთანავე, საქმეში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მოპასუხემ იკისრა სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, საქმის მასალებით არ დასტურდება აგრეთვე ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიმართ არსებოდა ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურების აუცილებლობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 42-ე მუხლის მოქმედება დროებით იყო შეჩერებული, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად და გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონში 29.12.04წ. კანონით შეტანილი ცვლილება-დამატება, კერძოდ, 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი. «საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ» კანონის 33-ე მუხლის თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და 15 დღეში ქვეყნდება «საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში». 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის ადრინდელი რედაქციით და 42-ე მუხლის მოქმედების შეჩერების არაკონსტიტუციურად და გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან იურიდიულად ძალადაკარგულად ცნობამ გამოიწვია ამ ნორმების ამოქმედება. საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილებით განისაზღვრა ამ ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უკიდურესი ვადა (01.01.06წ.), ვალდებულების შეუსრულებლობა არ ქმნის არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის გამოყენების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარისი საფუძველი საშვებულებო დახმარების, ნამსახურევი წლებისათვის დანამატის მოთხოვნის ნაწილში.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ არის ხანდაზმული. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მთლიანად გაუქმების მოთხოვნის მიუხედავად, საკასაციო საჩივარი საერთოდ არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას დაკმაყოფილებული მოთხოვნის იმ კომპონენტის მიმართ, რომელიც სახელფასო და პრემიალური თანხის დაკმაყოფილებას ეხება. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი

გასამრჯელო (ხელფასი), რაც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასასვლელი დახმარების და ტრანსპორტის საკომპენსაციო თანხის მოპასუხისათვის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოთხოვნის ამ ნაწილში საქმე განხილულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.02.08წ. გადაწყვეტილება გაუქმდეს სამსახურიდან გათავისუფლების გამო კომპენსაციის სახით ორი თვის თანამდებობრივი სარგოს (1200 ლარის) და ტრანსპორტის საკომპენსაციო თანხის (150 ლარის) სულ 1350 ლარის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.02.08წ. გადაწყვეტილება მ. ბ-ძის სასარგებლოდ საშვებულებო დახმარების, ნამსახურევი წლების დანამატის, სახელფასო და საპრემიო დავალიანების, სულ 3387 ლარის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სპეციალური კანონის მიხედვით კომპენსაციის მიღება**

#### **განჩინება**

№ბს-484-463(კ-08)

5 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. სხირტლაძე,**

**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი** - ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

რ. მ-ელმა 2006 წლის 17 თებერვალს სარჩელით მიმართა სასამართლოს, მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მესამე პირების - ფინანსთა სამინისტროსა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის მიმართ და მოითხოვა ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის #872 განკარგულებით „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ» მე-3 მუხლის დებულებათა თანახმად, ფინანსთა სამინისტროს დაევალა სამოქალაქო ავიაციის სისტემაში პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებებისა და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნილი თანხების დაფარვა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის წარდგენის საფუძველზე.

მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ იგი 1958-1994 წლებში მუშაობდა სამოქალაქო ავიაციაში სხვადასხვა ტიპის საჰაერო ხომალდების მეთაურის თანამდებობაზე, ხოლო 1992-1993 წლებში ასრულებდა თბილისის გაერთიანებული ავიარაზმის მე-2 ეკსკადრილისა და სპეციალური სატრანსპორტო ავიაჯგუფის უფროსის მოვალეობებს, აქვს საერთო საფრენოსნო გამოქმუშავების 20568 საათი, წარჩინებული მუშაობისათვის დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით. სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოყენილი მამაცობის, თავდადებისა და მაღალი

პროფესიონალიზმისათვის პრეზიდენტის 1997 წლის 1 ნოემბრის #612 ბრძანებულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ცენტრალური ბიუროს 2005 წლის 20 სექტემბრის დასკვნის თანახმად, მას დაუდგინდა კოხლერული ნევრიტის ტიპის პროფესიული ხასიათის დაავადება - სმენის დაქვეითებით 40%-ით. აღნიშნული დაავადების ნიშნული დაფიქსირებულია სამედიცინო საფრენოსნო კომისიის 1999 წლის 23 მარტის დათვალიერების #41 ოქმსა და შემდგომ წლებში გადაღებულ აუდიოგრამებში, ხოლო 2005 წლის 14 ივლისს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მახვილადის სახელობის შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის #201 შეტყობინების თანახმად, მას დაუდგინდა - პროფესიული ხასიათის ორმხრივი კოხრერული ნევრიტი, სმენის დაქვეითებით. იგივე დიაგნოზი დაუდგინდა 2005 წლის 18 მაისს თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ და მიეკუთვნა მე-2 ჯგუფის ინვალიდობა უვადოდ, 40%-ით შრომისუნარიანობის დაქვეითებით.

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების 33-ე მუხლის შესაბამისად, მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული ზიანისათვის დაზარალებულს დამქირავებელმა უნდა გადაუხადოს ყოველთვიური სარჩო, ამავე ბრძანებულების მე-11 მუხლის თანახმად, რომელიც დაიანგარიშება აღნიშნული ბრძანებულების მე-2 თავით და 2003 წლის 11 ნოემბრის #443 ბრძანებულებით.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ზარალის ასანაზღაურებელი თანხა დაიანგარიშება სახელმწიფო ქონების ბაზაზე შექმნილი ავიაკომპანიის მიერ გაცემული ცნობის შესაბამისად და უნდა შეადგენდეს საჰაერო ხომალდის „ტუ-154-ის» მეთაურის ხელფასს, საშუალოდ 1046 ლარს, საიდანაც მას, როგორც პროფდაავადებულს, ეკუთვნის აღნიშნული თანხის 40%, ე.ი. 418,55 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიმართა ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიას განცხადებით - პროფდაავადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის სარჩოს დანიშვნის მოთხოვნით, რაზეც ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ სალიკვიდაციო კომისიის უფლებამოსილება არ არის დანიშნოს პროფდაავადების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის სარჩო და რეკომენდაცია მისცა მიემართა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამართალმემკვიდრისათვის ან სასამართლოსთვის სარჩელით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მან პროფდაავადება მიიღო საბჭოთა კავშირის ავიაციის სისტემაში მუშაობისას, ხოლო დღეს მომუშავე ავიაკომპანიები არ არიან აეროფლოტის სისტემის სამართალმემკვიდრეები. ასეთ შემთხვევაში კი პრეზიდენტის 09.02.99 #48 ბრძანებულების #42 მუხლის დებულებათა თანახმად, ეს მოვალეობა ეკისრება უფლებამონაცვლეს, «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ივლისის #225 ბრძანებულების თანახმად განხორციელდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ლიკვიდაცია, იგი სტრუქტურული ერთეულის სახით შევიდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში და შესაბამისად, ამ სამინისტროზე გადავიდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამართალმემკვიდრეობის უფლებამონაცვლეობა, ე.ი. უფლებამონაცვლეს წარმოადგენს მოპასუხე - ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებისა და 2002 წლის 26 თებერვლის #872 განკარგულების დებულებათა საფუძველზე დაეკისროს მოპასუხე - ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, როგორც ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს, მის სასარგებლოდ ყოველთვიურად ჯანმრთელობისთვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 418.55 ლარის ოდენობით 2005 წლის 18 მაისიდან უვადოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით რ. მ-ელის სარჩელი მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მესამე პირების - ფინანსთა სამინისტროს, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის მიმართ დაკმაყოფილდა; მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა მოსარჩელე რ. მ-ელის მიმართ პროფდაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მიზნით, 2005 წლის 18 მაისიდან 418 ლარისა და 55 თეთრის ყოველთვიურად გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ რ. მ-ელი 1958-1994 წლებში მუშაობდა სამოქალაქო ავიაციაში სხვადასხვა ტიპის საჰაერო ხომალდების მეთაურის თანამდებობაზე, ხოლო 1992-1993 წლებში ასრულებდა თბილისის გაერთიანებული ავიარაზმის მე-2 ესკადრილისა და სპეციალური სატრანსპორტო ავიაჯგუფის უფროსის მოვალეობებს, აქვს საფრენოსნო გამომუშავების 20568 საათი. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ცენტრალური ბიუროს 2005 წლის 20 სექტემბრის დასკვნის თანახმად, მოსარჩელეს დაუდგინდა კოხრერული ნევრიტის ტიპის პროფესიული ხასიათის დაავადება - სმენის ორმხრივი დაქვეითებით, უვადოდ, პროფესიული შრომისუნარიანობის 40%-ის დაქვეითებით. 2005 წლის 14 ივლისს შრომის, ჯანმრთელობისათვის და სოციალური დაცვის სამინისტროს მახვილადის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის #201 შეტყობინების თანახმად, მას დაუდგინდა

პროფესიული ხასიათის ორმხრივი კოზერარული ნევრიტი, სმენის დაქვეითებით. იგივე დიაგნოზი დაუდგინდა 2005 წლის 18 მაისს თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ. მოსარჩელეს მიეკუთვნა მე-2 ჯგუფის ინვალიდობა უვადაოდ, 40%-ით შრომისუნარიანობის დაქვეითებით.

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების მე-2 მუხლის საფუძველზე, დამპირავებელი მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის, აგრეთვე იმ საწარმოო ტრავმისათვის, რომელიც მოხდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე, სამუშაოზე, ან სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას დამპირავებლის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე. ამავე ბრძანებულების მე-3 მუხლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანი უნდა აუნაზღაუროს დამპირავებელმა, რომელთანაც იგი ზიანის მიყენების დროს შრომის ურთიერთობაში იმყოფებოდა ამ უკანასკნელის ბრალის არსებობის შემთხვევაში. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს პროფდაავადება დაუდგინდა 1999 წელს. ამავე წლის #48 ბრძანებულების 42-ე მუხლის შესაბამისად, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) შემთხვევაში განცხადება უნდა იქნეს შეტანილი მის უფლებამონაცვლე ორგანიზაციაში, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი. სასამართლომ მიუთითა, რ. მ-ელი მუშაობდა სამოქალაქო ავიაციაში სხვადასხვა ტიპის საჰაერო ხომალდების მეთაურის თანამდებობაზე, რომლის დამპირავებელი საბოლოოდ იყო ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია (როგორც საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს სამართალმემკვიდრე).

პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» 2001 წლის 20 ივლისის 1012-რს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტროს 2001 წლის 28 დეკემბრის #10 ბრძანების შესაბამისად შეიქმნა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია», რომლის დებულების პირველი პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი ადმინისტრაცია არ წარმოადგენს პრეზიდენტის 2000 წლის 29 ივნისის #279 ბრძანებულების შესაბამისად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სისტემის სტრუქტურული ერთეულის - სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის #872 განკარგულებით შეიქმნა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია და ამავე განკარგულების მე-3 მუხლის „ბ» პუნქტის თანახმად, ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყო ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ და ამ კატეგორიის მუშაკთა მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხების დაფარვა. სასამართლომ ჩათვალა, რომ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» 2004 წლის 1 თებერვლის #3277-ის კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა» ქვეპუნქტის საფუძველზე შეიქმნა ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო და მისი მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. ამავე კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის (ე.ი. 35-ე მუხლის) საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ, ამასთანავე, მე-9 პუნქტის თანახმად, ლიკვიდაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე, მათი გაუქმების უფლებამოსილება მიენიჭა მათ უფლებამონაცვლე სამინისტროებს. გარდა აღნიშნულისა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის #81 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, განხორციელდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ლიკვიდაცია, მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა სალიკვიდაციო კომისია, მე-14 პუნქტმა კი განსაზღვრა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს უფლებამონაცვლე-ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო. ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს 2004 წლის 11 თებერვლის #3277-ის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის (195) კანონის მე-2 მუხლით მთავრობას დაევა 2 თვის ვადაში უზრუნველყოს: ა) ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება და ქონების ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის გადაცემა, ასევე ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სისტემის უფლებამოსილების შესაბამისი გათვალისწინება ეკონომიკური სამინისტროს დებულებაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით „საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ» კანონში შეტანილი ცვლილებების თაობაზე მთავრობამ 2004 წლის 22 ივნისის გამოსცა #80 განკარგულება, შესაბამისად, კანონში შეტანილ ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია და არც შეუცვლია 35-ე მუხლის მე-8 და მე-9

პუნქტების დებულებები, რაც, სასამართლოს მითითებით, იმას ნიშნავს, რომ 35-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ისევ ჩაითვალოს ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ.

სასამართლომ მიუთითა ასევე, რომ #48 ბრძანებულების მე-11 მუხლის „ა« ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებულს ზიანი უნაზღაურდება ყოველთვიური სარჩოს გადახდით, იმ ვადით, რა ვადითაც დადგენილი აქვს შრომის უნარის ხარისხის დაკარგვა, მიუხედავად იმისა, მინიჭებული აქვს თუ არა ინვალიდობის ჯგუფი. ამავე მუხლის „ბ« ქვეპუნქტის თანახმად, ზიანი ანაზღაურდება იგივე ან იმავე თანრიგის ნებისმიერი სპეციალობის მუშაკის ბოლო 3 თვის სრულად ნამუშევარი ფაქტობრივად მიუღებელი საშუალო ხელფასიდან იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული აქვს შრომის უნარის ხარისხი. მოსარჩელეს შრომის უნარის ხარისხის დაკარგვა 2005 წლის 20 სექტემბრიდან დაუდგინდა 40% საპაერო ხომალდ „ტუ-154-ის« მფრინავის მეთაურის შემადგენლობის საშუალო ხელფასი შეადგენს 1046 ლარს, რომლის 40% 418.55 ლარია.

ზემოაღნიშნულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს და სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორმა მიუთითა, რომ პრეზიდენტის 2000 წლის 29 ივნისის #279 ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულება. აღნიშნული დებულების თანახმად, სამინისტროს სისტემაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 იანვრის #1 ბრძანებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად ლიკვიდირებულ იქნა და «საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის #872 განკარგულების საფუძველზე შეიქმნა ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია.

აღნიშნული განკარგულების საფუძველზე ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროს დაევალა დაეფარა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ, მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებებისა და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხების გადახდა. ამასთან, აღნიშნული ზიანის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების თანახმად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს ზემოხსენებული გარემოებები, მხოლოდ ფინანსთა სამინისტროა ვალდებული, უზრუნველყოს ამ სახის ზიანის ანაზღაურება.

კასატორს საყურადღებოდ მიაჩნია ის გარემოებაც, რომ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2001 წლის 28 დეკემბრის #110 ბრძანებით, დამტკიცებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის დებულება, რომლის თანახმადაც, ავიაციის ფუნქციები გადაეცა სსიპ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას.

კასატორის მითითებით, აღნიშნულ დებულებაში ცალსახად არის აღნიშნული, რომ სსიპ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია არ წარმოადგენს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სისტემის სტრუქტურული ერთეულის სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია რომ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრე დაწესებულება აღარ არსებობს. ასევე, არც ეკონომიკური განვითარების სამინისტროა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამართალმემკვიდრე, რადგან პრეზიდენტის 2000 წლის 29 ივნისის #279 ბრძანებულების საფუძველზე დამტკიცებული „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულება« გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 იანვრის #1 ბრძანებულებით „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულებისა და სტრუქტურის შესახებ».

კასატორის მითითებით „საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის #81 ბრძანებულების „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის ამოქმედებისთვის განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის #81 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, განხორციელდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ლიკვიდაცია, ხოლო „საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, კანონის თანახმად კი ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაცია.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეუძლებლად მიაჩნია კასატორს, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენდეს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფლებამონაცვლეს და სამართალმემკვიდრეს. კასატორი ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის მე-2 მუხლით, მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მატერიალურად პასუხისმგებელია დამქირავებელი, ხოლო 41-ე მუხლის მიხედვით კი, განცხადება შეიტანება დამქირავებლის სახელზე.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კასატორს საფუძველს მოკლებულად მიაჩნია მოსარჩელის მოთხოვნა სამინისტროსათვის, როგორც ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრისათვის, ყოველთვის უნდა ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ასევე არასწორად მიაჩნია კასატორს მოსარჩელის მითითება პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებულ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 42-ე მუხლზე, რადგან აღნიშნულ მუხლში საუბარია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაციაზე (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) და არა ლიკვიდაციაზე. მოცემულ შემთხვევაში როგორც უკვე აღინიშნა, განხორციელდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია და არა რეორგანიზაცია და შესაბამისად, მას სამართალმემკვიდრე ორგანიზაცია არ დარჩენია.

ამასთან, მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილებით „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვის სარჩოს» გაცემის ვალდებულება, ე.ი. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ფაქტობრივად, ისპობა. ამავე დადგენილების პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზიანი ანაზღაურდება, თუ იგი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით და შრომის კოდექსი და სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველს წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის არამართლ-ზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა, არამართლზომიერ მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებლის ბრალი. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ზიანის ფორმალური შემადგენლობის არც ერთი ჩამონათვალი. კასატორი თვლის, რომ მოსარჩელე არ შეიძლება ჩაითვალოს პირად, რომელიც რაიმე სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა სამინისტროსთან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. მ-ელი 1958-1994 წლებში მუშაობდა სამოქალაქო ავიაციაში სხვადასხვა ტიპის საჰაერო ხომალდების მეთაურის თანამდებობაზე, ხოლო 1992-1993 წლებში ასრულებდა თბილისის გაერთიანებული ავიარაზმის მე-2 ესკადრილისა და სპეციალური სატრანსპორტო ავიაჯგუფის უფროსის მოვალეობებს, აქვს საფრენოსნო გამომუშავების 20568 საათი. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ცენტრალური ბიუროს 2005 წლის 20 სექტემბრის დასკვნის თანახმად, მოსარჩელეს დაუდგინდა კოხრეალური ნევრიტის ტიპის პროფესიული ხასიათის დაავადება - სმენის ორმხრივი დაქვეითებით, უვადოდ, პროფესიული შრომისუნარიანობის 40%-ის დაქვეითებით. შრომის, ჯანმრთელობისათვის და სოციალური დაცვის სამინისტროს ს/ს ნ. მახვილამის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამცხეთა-კვლევითი ინსტიტუტის 2005 წლის 14 ივლისის #201 შეტყობინების თანახმად, მას დაუდგინდა პროფესიული ხასიათის ორმხრივი კოხლარული ნევრიტი, სმენის დაქვეითებით; ყოველივე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ სწორად ჩათვალა, რომ რ. მ-ელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების გამო გააჩნია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, რ. მ-ელმა სარჩელით მოითხოვა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების საფუძველზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ ყოველთვიურად ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება 2005 წლის 18 მაისიდან უვადოდ-418,55 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ ამ ბრძანებულების 42-ე პუნქტზე მითითებით სარჩელი საფუძველიანად მიიჩნია, მაგრამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება; მთავრობას დაევალა 2007 წლის 1 მარტამდე შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ ნორმატიული აქტის მიღება; ბრძანებულების პირველი პუნქტი ამოქმედდა 2007 წლის პირველი მარტიდან. მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის» მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდება დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გამოიყენა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილება და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივრის საფუძველიანობა არ შეამოწმა ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თუ მოცემული საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის» თანახმად რ. მ-ელს არ აქვს სარჩოს მიღების უფლება, მაშინ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ სამოქალაქო ავიაციის იმ თანამშრომლების სოციალური უფლებები, რომელთა ჯანმრთელობასაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიადგია ზიანი, სპეციალურადაა დაცული «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» კანონით. ამ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გამო კომპენსაცია ენიშნებათ ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის «ა», «დ<sup>1</sup>», «ე», «ვ» და «ლ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, რომელთა შესაძლებლობების შეზღუდვა დაკავშირებულია სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდთან; ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის «ლ» ქვეპუნქტის თანახმად კი ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეებს. აღნიშნული კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი კი ადგენს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეების შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დადგენის გამო კომპენსაციის გაანგარიშების წესს; ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულია, რომ ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის «ლ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გამო კომპენსაციის ოდენობაა: ა) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში - ამ კანონის 15<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული შესაბამისი კატეგორიებისათვის დადგენილი სახელმწიფო კომპენსაციის 70%; ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში - ამ კანონის 15<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული შესაბამისი კატეგორიებისათვის დადგენილი სახელმწიფო კომპენსაციის 80%. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის ხელახალი განხილვისას ასევე უნდა შეამოწმოს «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» კანონის შესაბამისად რ. მ-ელის სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი;

2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სახელფასო დავალიანების ანაზღაურება; მოსამსახურის შრომითი გასამრჯელოს ცნება**

### **განჩინება**

#ბს-738-710(კ-08)

6 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ცისკაძე**

**ნ. ქადაგიძე**

**სარჩელის საგანი: დავალიანების ანაზღაურება**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 11 დეკემბერს მ. ლ-შიღლიმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხრეთ ოსეთის მესამე სამშვიდობო ბატალიონში, საიდანაც გათავისუფლებულ იქნა, ხოლო საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს უფროსის მიერ გაცემული 2007 წლის 10 დეკემბრის #1831 ცნობის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის მიმართ გააჩნდა სახელფასო დავალიანება - 2729,36 ლარი, კერძოდ, 1998 წლის დავალიანება - 980,24 ლარი და 1999 წლის დავალიანება - 1749,12 ლარი, არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, მოსარჩელეს ხსენებული დავალიანება არ მიუღია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მიუღებელი სახელფასო დავალიანების - 2729,36 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ლ-შიგლის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მ. ლ-შიგლის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების - 2729,36 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების, კერძოდ, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 10 დეკემბრის #1831 ცნობის მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე მ. ლ-შიგლის სასარგებლოდ ერიცხებოდა დავალიანება 2729,36 ლარის ოდენობით, მათ შორის, 1998 წლის - 980,24 ლარი და 1999 წლის - 1749,12 ლარი. ხსენებული სამმართველოს 2007 წლის 26 დეკემბრის #2064 ცნობით დაზუსტებული იყო, რომ აღნიშნული დავალიანება წარმოადგენდა სახელფასო დავალიანებას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, 37-ე მუხლზე, ასევე საქართველოს შრომის კოდექსის 34-ე მუხლზე, რომლის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებული იყო, დასაქმებულთან მოეხდინა საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ იყო განსაზღვრული.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის განმარტება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელი ხელფასის მოთხოვნით წარდგენილი უნდა ყოფილიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, იმ დღიდან, როდესაც იგი გათავისუფლდა სამსახურიდან, ანუ გათავისუფლებიდან ერთი თვის ვადაში.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლზე, ასევე, 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ «საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონზე, რომლის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ასევე აღიარებდა წინა წლებში წარმოქმნილ ფაქტობრივ დავალიანებებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გამოეყენებინათ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანებების დასაფარავად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც



მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმე განიხილა უხეში საპროცესო დარღვევის გარეშე, ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე დააყენა შუამდგომლობა 1131,15 ლარის მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

კასატორის განმარტებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და საქმის წარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის მიზეზი არის ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე მ. ლ-შვილის მიმართ ერიცხება არა მის მიერ მოთხოვნილი 2729,36 ლარი (2007 წლის 10 დეკემბრის #1831 ცნობა), არამედ - 1598,21 ლარი (2008 წლის 3 ივნისის #10-8/1233 ცნობა). სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან დავალიანების 1131,15 ლარის ნაწილში არარსებობის გამო, არ არსებობს ამ სამინისტროს ვალდებულებაც ამ დავალიანების გადახდაზე, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს 1131,15 ლარის ნაწილში.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფინანსურ გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა, ამ ფულად გასაცემელს (ჯილდო, კვების კომპენსაცია, მატერიალური დახმარება) კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდეს დანამატის სტატუსი. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეოთხე პუნქტიდან ირკვევა, რომ დანამატის სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ იმ ფულად თანხებს, რომლებიც დაიანგარიშება ნამსახური წლების მიხედვით. რაც შეეხება ჯილდოს, კვების კომპენსაციასა და მატერიალურ დახმარებას, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე და მესამე პუნქტებიდან გამომდინარე, მათ დანამატის სტატუსი არ აქვს მინიჭებული. ამდენად, ცალსახაა, რომ კვების კომპენსაცია, ჯილდო და მატერიალური დახმარების თანხები არ წარმოადგენს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, ხელფასში შემავალ დანამატებს და ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემლებია.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს ასევე უნდა გამოეყენებინა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნები, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული 2007 წლის 10 დეკემბრის #1831 ცნობა, რადგან არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ამ ცნობაში არსებული თანხების არც შემადგენლობა (შედიოდა თუ არა მასში კვება, ჯილდო, მატერიალური დახმარება) და არც ამავე ცნობის სიზუსტე, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოპოვებული 2008 წლის 3 ივნისის #10-8/1233 ცნობით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიმართ დავალიანება არის არა 2729,36 ლარი, არამედ - 1598,21 ლარი, აქედან, 1998 წლის: კვების კომპენსაცია - 188,80 ლარი, ხელფასი - 357,71 ლარი, 1999 წლის: კვების კომპენსაცია - 566,40 ლარი, ხელფასი - 485,30 ლარი. ამასთან, ხსენებული ცნობები არ შეიძლება ჩაითვალოს ვალის აღიარებად ან ადმინისტრაციულ დაპირებად, ასევე - არც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით. დასახელებული დოკუმენტით მისი გამცემი ორგანო არ აღიარებს მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას და მისი შეფასება ამ სამინისტროს მიერ ვალდებულების აღიარების დამადასტურებელ დოკუმენტად, კანონსაწინააღმდეგა,

ვინაიდან მას საინფორმაციო ხასიათი აქვს, კერძოდ, მოსარჩელეს (განმცხადებელს) მიეცა ამავე სამინისტროში დაცული საჯარო ინფორმაცია მისი მოთხოვნის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 11 ივლისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 25 სექტემბრამდე; დადგინდა მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობის განხილვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში; დადგინდა 1131,15 ლარის მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2008 წლის 30 ოქტომბერს, 12.00 საათზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მ. ლ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის 755,20 ლარის დაკისრების ნაწილში სასარჩელო წარმოება უნდა შეწყდეს მოსარჩელის მიერ ამ ნაწილში სარჩელზე უარის თქმის გამო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. იმავე კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლენაა, რომლის მიხედვითაც მხარეები არა მარტო იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, არამედ მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი. ამასთან, ფიზიკური პირის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო შეწყვეტს საკასაციო საჩივარზე წარმოებას და არ ამოწმებს საკასაციო საჩივარზე უარის თქმის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო-სათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელე მ. ლ-შვილის წარმომადგენლის მიერ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მ. ლ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 755,20 ლარის დაკისრების ნაწილში სარჩელზე უარის თქმის გამო, რასაც მარწმუნებელიც დაეთანხმა, სასარჩელო წარმოება უნდა შეწყდეს და მხარეებს განემარტოთ, რომ ხსენებულ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მ. ლ-შვილისთვის მხოლოდ სახელფასო დავალიანების - 1974,16 ლარის ანაზღაურების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 10 დეკემბრის #1831 ცნობით დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მ. ლ-შვილის სასარგებლოდ ერიცხება დავალიანება 2729,36 ლარის ოდენობით, მათ შორის 1998 წლის - 980,24 ლარი და 1999 წლის - 1749,12 ლარი, ხოლო შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 26 დეკემბრის #2064 ცნობით დაზუსტებულია, რომ ზემოაღნიშნული დავალიანება წარმოადგენს სახელფასო დავალიანებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ხსენებული ცნობების საფუძველზე დააკისრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მ. ლ-შვილის სასარგებლოდ 2729,36 ლარის დავალიანების გადახდა, რაც თბილისის

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2008 წლის 23 აპრილის განჩინებით გაიზიარა და უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საკასაციო საჩივარზე დართულ შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს 2008 წლის 3 ივნისის #10-8/1233 ცნობაზე, რომლის მიხედვით, მ. ლ-შვილის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 1998 წლის: კვების კომპენსაცია - 188,80 ლარს, ხელფასი - 357,71 ლარს, 1999 წლის: კვების კომპენსაცია - 566,40 ლარს, ხელფასი - 485,30 ლარს, სულ - 1598,21 ლარს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და საქმის წარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის მიზეზი არის ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე მ. ლ-შვილის მიმართ ერიცხება არა მის მიერ მოთხოვნილი 2729,36 ლარი (2007 წლის 10 დეკემბრის #1831 ცნობა), არამედ 1598,21 ლარი (2008 წლის 3 ივნისის #10-8/1233 ცნობა) და დავალიანების - 1131,15 ლარის არარსებობის გამო არ არსებობს ამ სამინისტროს ვალდებულებაც ამ დავალიანების გადახდაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ საფუძველს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლი განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძველების შემოწმების წესს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომის ოქმებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მ. ლ-შვილის სასარგებლოდ 2729,36 ლარის დავალიანების გადახდის დაკისრება მოხდა საქმეში წარმოდგენილი შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 10 დეკემბრის #1831 და 26 დეკემბრის #2064 ცნობების საფუძველზე. ამასთან, არც პირველი ინსტანციისა და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მოპასუხის მიერ აღნიშნულ ცნობებში მითითებული თანხა სადავო არ გამხდარა და მხოლოდ საკასაციო სასამართლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს 2008 წლის 3 ივნისის #10-8/1233 ცნობა, რომლის მიხედვით, მ. ლ-შვილის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 1598,21 ლარს. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ საკასაციო საჩივარს ვერ განიხილავს როგორც დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას, რამდენადაც პირველი ორი ინსტანციის სასამართლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღნიშნული საკითხი არ დაუყენებია. საკასაციო წარმოების ეტაპზე კი საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის საფუძველზე მოკლებულია შესაძლებლობას, სადავო გახადოს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში მხარეთა მონაწილეობით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება სადავო თანხების ოდენობის სისწორის შესახებ და ამ მოტივით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს სააპელაციო სასამართლოს ან თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება ახალი მტკიცებულების საფუძველზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს 2008 წლის 3 ივნისის #10-8/1233 ცნობაზე და ხსენებული ცნობით განსაზღვრულ მ. ლ-შვილის მიმართ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არსებული დავალიანების ოდენობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მ. ლ-შვილის სარჩელი მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია და სასამართლოს უნდა გამოეყენებინა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით ან სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელისათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ ვერ გავრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის ერთთვიანი ვადა ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლზე (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას), რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 1

იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას ასევე იმის შესახებ, რომ ჯილდო და მატერიალური დახმარება არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ელემენტებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება, ასევე, კვარტალური ჯილდო და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზეც, რომ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 10 დეკემბრის #1831 და 2007 წლის 26 დეკემბრის #2064 ცნობები არ ადასტურებს ვალის აღიარებას, ვინაიდან ინფორმაციული ხასიათისაა და მოწმობს არა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგება მოსარჩელეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საქართველოს კანონმდებლობა და საქმეზე მიიღო დასაბუთებული და კანონიერი განჩინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება მ. ლ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის სახელფასო დავალიანების - 1974,16 ლარის დაკისრების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით, 399-ე, 372-ე მუხლებით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მ. ლ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის 755,20 ლარის დაკისრების ნაწილში სასარჩელო წარმოება შეწყდეს მოსარჩელის მიერ ამ ნაწილში სარჩელზე უარის თქმის გამო;
3. გაუქმდეს მ. ლ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის 755,20 ლარის დაკისრების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება;
4. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება;
5. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის განჩინება მ. ლ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის სახელფასო დავალიანების - 1974,16 ლარის დაკისრების ნაწილში;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. უხელფასო შევბულება ბავშვის მოვლის გამო**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#ბს-361-348(კ-08)

24 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. ქადაგიძე**

**მ. ცისკაძე**

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 11 იანვარს ი. გ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში წლების მანძილზე მუშაობდა ბუღალტრად. ფეხმძიმობისა და შემდეგ ბავშვის მდგომარეობის გამო, 2004 წლის 22 ნოემბერს მოსარჩელის მიერ გაცემული რწმუნებულების საფუძველზე, მოსარჩელის დედამ - ლ. გ-მემ განცხადებით მიმართა მოპასუხეს - საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას ბავშვის სამი წლის ასაკის მიღწევამდე ი. გ-მისათვის დამატებითი უხელფასო შვებულების გაფორმების შესახებ. 2004 წლის 1 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) მიერ გამოიცა #47 განკარგულება, რომელიც არც მოსარჩელეს და არც მის რწმუნებულს კანონით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებიათ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი შვილთან ერთად დროებით ცხოვრობდა რუსეთში, საიდანაც 2006 წლის 28 ოქტომბერს დეპორტირებულ იქნა. საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების შემდეგ, მოსარჩელემ შეიტყო, რომ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებით მისი შვებულების ვადა განისაზღვრა 2006 წლის 25 ივლისამდე, 2007 წლის 25 ივლისის ნაცვლად, ხოლო 2006 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) #140 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულება, რის საფუძველადაც მითითებული იყო მოსარჩელის მიერ უხელფასო შვებულების შესახებ განცხადების პირადად წარუდგენლობა და იმავე განცხადებაში დაშვებული ხარვეზები, რაც მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია და განმარტა, რომ დედამისი მოქმედებდა მის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, ამდენად, უფლება ჰქონდა მის ნაცვლად დაეწერა განცხადება. აღნიშნულ განცხადებაში საცხოვრებელი ადგილის მიუთითებლობა არ შეიძლებოდა ხარვეზად ჩათვლილიყო, ვინაიდან მოსარჩელის პირადი საქმე ყველა მონაცემით ინახებოდა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) აპარატში. იმავე რწმუნებულის ადმინისტრაციამ კი დაარღვია მოსარჩელის უფლება ბავშვის სამ წლამდე აღზრდისათვის უხელფასო შვებულებით სარგებლობის თაობაზე და მოსარჩელის სურვილის საწინააღმდეგოდ, ბავშვის სამ წლამდე აღზრდისათვის გათვალისწინებული შვებულება უკანონოდ შეუმცირა ორ წლამდე და შვებულების ბოლო ვადად დაუდგინა 2006 წლის 25 ივლისი, 2007 წლის 25 ივლისის ნაცვლად. მოსარჩელის განმარტებით, მან აღნიშნულის თაობაზე არ იცოდა და, შესაბამისად, დადგენილ ვადაში არ გამოცხადდა სამსახურში, რის გამოც საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2006 წლის 4 ოქტომბერს გამოსცა #118 განკარგულება, შრომის შინაგანაწესის დარღვევის გამო, ი. გ-მის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, რაც მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2006 წლის 4 ოქტომბრის #118 და 2006 წლის 20 დეკემბრის #140 განკარგულებების ბათილად ცნობა და 2004 წლის 1 დეკემბრიდან ბავშვის 3 წლის ასაკის მიღწევამდე შვილის მოსავლელად უხელფასო შვებულების მიცემის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა მოითხოვა.

რაიონული სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ უარი თქვა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2006 წლის 4 ოქტომბრის #118 განკარგულების ბათილად ცნობის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნაზე იმ მოტივით, რომ აღნიშნული განკარგულება საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2007 წლის 19 თებერვლის #11 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის განჩინებით შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2006 წლის 4 ოქტომბრის #118 განკარგულების ბათილად ცნობის ნაწილში.

მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) შესაგებელი წარადგინა ახალციხის რაიონულ სასამართლოში, რომლითაც სარჩელი არ ცნო. მოპასუხემ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის

მოთხოვნა «საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის და ნინოწმინდის რაიონებში) 2006 წლის 20 დეკემბრის #140 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულება ეწინააღმდეგებოდა კანონს და არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების და გამოცემის კანონით დადგენილი წესი, ვინაიდან განცხადება, რომლის საფუძველზეც იქნა გამოცემული ზემოხსენებული აქტი, შეიცავდა ხარვეზს, კერძოდ, მასში არ იყო მითითებული განმცხადებლის მისამართი და იგი არ იყო ხელმოწერილი იმავე განმცხადებლის მიერ. ამასთან, არ იყო წარდგენილი განცხადებაზე ხელმოწერილი პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი და ბავშვის დაბადების მოწმობა, რის გამოც ხსენებული განცხადება, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, განუხილველად უნდა ყოფილიყო დატოვებული. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულების გამოცემის უფლება არ ჰქონდა.

შესაგებლის ავტორმა ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზეც და აღნიშნა, რომ ხსენებული სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით ი. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2006 წლის 20 დეკემბრის #140 განკარგულება; სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანა და ი. გ-ძისათვის ბავშვის სამ წლამდე ასაკის მიღწევამდე აღზრდისათვის გათვალისწინებული უხელფასო შვებულების ვადის 2007 წლის 25 ივლისამდე განსაზღვრა დაევალა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. გ-ძე მუშაობდა უფროსი ბუღალტრის თანამდებობაზე. 2004 წლის 22 ნოემბერს ი. გ-ძის დედამ - ლ. გ-ძემ განცხადებით მიმართა სამცხე-ჯავახეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს ი. გ-ძისათვის ბავშვის სამ წლამდე ასაკის მიღწევამდე დამატებითი უხელფასო შვებულების მიცემის თაობაზე. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა 2004 წლის 1 დეკემბერს გამოსცა #47 განკარგულება, რომლითაც ი. გ-ძე უხელფასო შვებულებაში იქნა გაშვებული 2006 წლის 25 ივლისამდე. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2006 წლის 20 დეკემბრის #140 განკარგულებით კი ბათილად იქნა ცნობილი მისივე 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულება.

რაიონულმა სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ი. გ-ძის სახელფასო დავალიანებები უწყისზე ხელმოწერით მიიღო მისმა დედამ - ლ. გ-ძემ. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულება ი. გ-ძეს არ გაგზავნიდა.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2003 წლის 24 ნოემბერს ახალციხის სასოტარო ბიუროს მიერ დამტკიცებული სასოტარო აქტით გამოიცა სპეციალური მინდობილობა, რომლის თანახმადაც ი. გ-ძემ ლ. გ-ძეს მიანდო უფლება, ეწარმოებინა მის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებთან დაკავშირებული მოქმედებები. შესაბამისად, ლ. გ-ძის მიერ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში ი. გ-ძის სახელით შეტანილი განცხადება უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე, უფლებამოსილი პირის მოქმედებად უნდა ჩათვლილიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

რაიონულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხის განმარტება იმის თაობაზე, რომ ლ. გ-ძეს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში არ წარუდგინა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და იგი მოქმედებდა ხსენებული დოკუმენტის გარეშე, ვინაიდან აღნიშნულის თაობაზე მტკიცებულება მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარუდგინა, ხოლო საქმეში წარმოდგენილი იყო ი. გ-ძის ხელფასის უწყისებზე ლ. გ-ძის ხელმოწერა, რაც ადასტურებდა ი. გ-ძის მიერ ლ. გ-ძისთვის უფლებამოსილების მინიჭების ფაქტს.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება, რომ ი. გ-ძის განცხადებაში არ იყო მითითებული მისი საცხოვრებელი ადგილი, არ შეიძლებოდა ადმინისტრაციული აქტის გამოცემის წესის დარღვევად ჩათვლილიყო. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულების ბათილად ცნობა უკანონოდ მიიჩნია.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ უკანონოდ შეუზღუდა ი. გ-ძეს ბავშვის სამი წლის ასაკის მიღწევამდე აღზრდისათვის გათვალისწინებული უხელფასო შვებულებით სარგებლობის პერიოდი, ვინაიდან მოსარჩელე სრულად ითხოვდა შვებულებას, რომელიც 2007 წლის 25 ივლისამდე პერიოდს მოიცავდა. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებით აღნიშნული პერიოდი შემცირდა 2006 წლის 25 ივლისამდე. ბავშვის სამი წლის ასაკამდე აღზრდის გამო უხელფასო შვებულების ოდენობას და პერიოდულობას იმპერატიულად განსაზღვრავდა მხოლოდ ბავშვის დედა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (2004 წლის 1 დეკემბერს მოქმედი რედაქცია). ხსენებული მუხლის თანახმად, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებების გარდა, ქალს

და 159-ე მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულ პირებს, მათი განცხადების თანახმად, ეძლეოდათ დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლეად, ვიდრე ის მიაღწევდა სამი წლის ასაკს და შვებულების განმავლობაში ენახებოდა სამუშაო ადგილი (თანამდებობა).

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში) სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინებით საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში) უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ცვლილების შეტანა დაევა და ი. გ-ძისათვის ბავშვის სამ წლამდე ასაკის მიღწევამდე აღზრდისათვის გათვალისწინებული უხელფასო შვებულების ვადა განისაზღვრა 2007 წლის 27 ივლისამდე და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. გ-ძის სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, დაეთანხმა და მთლიანად გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, სადავო გადაწყვეტილების იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2006 წლის 20 დეკემბრის #140 განკარგულება და დამატებით აღნიშნა, რომ 2004 წლის 1 დეკემბრიდან ჩვილი ბავშვის მოვლის გამო 3-წლიანი უხელფასო დეკრეტული შვებულების მიცემის თაობაზე ი. გ-ძის 2004 წლის 22 ნოემბრის #538 განცხადებით არ დგინდებოდა, რომ ლ. გ-ძესთან ერთად იმავე განცხადებას ხელს არ აწერდა ი. გ-ძე, აგრეთვე, არ დგინდებოდა, რომ ამ განცხადებაზე გაკეთებული ხელმოწერა არ ეკუთვნოდა ი. გ-ძეს. ამასთან, საქმეში არსებული სანოტარო აქტის (რეესტრში რეგისტრაციის #ტ-1-4660) თანახმად, 2003 წლის 24 ნოემბერს ი. გ-ძემ ლ. გ-ძეს მიანიჭა სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. რწმუნებულება გაიცა სამი წლის ვადით, 2006 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით. ამდენად, 2004 წლის 22 ნოემბერს ი. გ-ძის ხელმოწერის არარსებობის შემთხვევაშიც კი, ლ. გ-ძე უფლებამოსილი იყო, ზემოთ მითითებული განცხადებით მიემართა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულისათვის. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება, განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში შეემოწმებინა განცხადების შესაბამისობა ამ კოდექსის 78-ე მუხლთან და მოეთხოვა განმცხადებლისაგან აუცილებელი დამატებითი დოკუმენტები ან ინფორმაცია, განესაზღვრა ვადა მათ წარმოსადგენად და მხოლოდ აღნიშნულ ვადაში დამატებითი დოკუმენტების ან ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში იყო უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, გამოეტანა გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. სააპელაციო სასამართლო მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აპელანტმა ვერ წარუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ 2004 წლის 22 ნოემბრის #538 განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში შეამოწმა, დაადგინა ვადა და მოითხოვა განმცხადებლისგან დამატებითი დოკუმენტების (რწმუნებულების და ა.შ.) ან ინფორმაციის წარდგენა, ხოლო განმცხადებლის მიერ არ იქნა შესრულებული იმავე ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2006 წლის 20 დეკემბრის #140 განკარგულებაში მითითებული გარემოება, რომ ხსენებული #538 განცხადება, რაც საფუძვლად დაედო საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულების გამოცემას, განუხილველად უნდა ყოფილიყო დატოვებული. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულება წარმოადგენდა აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის ბათილად ცნობის წესი განსაზღვრული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4, მე-5 და

მე-6 ნაწილებით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება და მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2006 წლის 20 დეკემბრის #140 განკარგულება არ იყო კანონსაწინააღმდეგო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბავშვის სამ წლამდე აღზრდის გამო უხელფასო შვებულების ოდენობასა და პერიოდულობას განსაზღვრავდა მხოლოდ ბავშვის დედა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის (ძალადაკარგულ იქნა საქართველოს 05/25/2006 #3132 კანონით) 159-ე და 161-ე მუხლებით იმპერატიულად იყო დადგენილი, რომ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება შედგებოდა ორი ნაწილისაგან: ნაწილობრივ ანაზღაურებადი შვებულება, სანამ ბავშვი არ გახდებოდა წლინახევრის; გარდა ამ შვებულებისა, ქალს თავისივე განცხადების საფუძველზე ეძლეოდა დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსაველეად, ვიდრე ბავშვი მიაღწევდა სამი წლის ასაკს. შესაბამისად, განსაზღვრული იყო შვებულებების გამოანგარიშების პერიოდი, კერძოდ, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ნაწილობრივ ანაზღაურებადი შვებულების პერიოდი მოიცავდა დროს, ვიდრე ბავშვი არ გახდებოდა წლინახევრის, ანუ 18 თვის პერიოდს, ხოლო დამატებითი უხელფასო შვებულების პერიოდი მოიცავდა დროს ბავშვის მოსაველეად, ვიდრე ბავშვი მიაღწევდა სამი წლის ასაკს, რაც ასევე გულისხმობდა, რომ დამატებითი უხელფასო შვებულების პერიოდი განსაზღვრული იყო წლინახევრის (18 თვის) ვადით. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ი. გ-მე საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2003 წლის 28 ნოემბრის #50 განკარგულების მიხედვით, იმყოფებოდა უხელფასო შვებულებაში 2003 წლის 1 დეკემბრიდან ერთი წლის ვადით და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 89-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, შეჩერებული ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილება 2004 წლის 1 დეკემბრამდე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. გ-მის შვილი - მ. ი. დაიბადა 2004 წლის 6 სექტემბერს, ხოლო 2004 წლის 22 ნოემბრის განცხადების თანახმად, ი. გ-მე ითხოვდა 3-წლიან უხელფასო დეკრეტულ შვებულებას ბავშვის მოვლის გამო. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ განცხადებასთან ერთად ადმინისტრაციულ ორგანოში განმცხადებელმა წარადგინა შვებულების გაანგარიშებისათვის სავალდებულო დოკუმენტები (ბავშვის დაბადების მოწმობა, საავადმყოფო ფურცელი და ა.შ.). ამ დოკუმენტების დართვის თაობაზე მითითებას არ შეიცავდა არც განცხადება. ამასთან, აპელანტმა დაადასტურა, რომ შესაბამისი დოკუმენტები იმავე რწმუნებულის აპარატში წარდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულება სადავო შვებულების ვადის განსაზღვრის ნაწილში კანონიერი იყო. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანა და ი. გ-მისათვის ბავშვის სამ წლამდე ასაკის მიღწევამდე აღზრდისათვის გათვალისწინებული უხელფასო შვებულების ვადის 2007 წლის 25 ივლისამდე განსაზღვრა დაევალა, იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული და გაუქმებას ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება ი. გ-მემ საკასაციო წესით გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც ი. გ-მის სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა. კასატორმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 159-ე და 161-ე მუხლები და არასწორად მიიჩნია იმპერატიულ მოთხოვნად, რომ მშობიარობის შემდეგ ქალს ჯერ უნდა ესარგებლა 18-თვიანი ნაწილობრივ ანაზღაურებადი შვებულებით, ხოლო შემდეგ ბავშვის 3 წლამდე ასაკის მიღწევამდე დამატებითი უხელფასო შვებულებით. კასატორის განმარტებით, აღნიშნული ნორმით დადგენილი იყო, რომ აღნიშნული შეღავათების გამოყენება დამოკიდებული იყო მხოლოდ დედის ნებაზე.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2006 წლის 20 დეკემბრის #140 განკარგულების კანონიერების შემოწმებისას აღნიშნული ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დროს დაშვებული დარღვევებისათვის მტკიცების ტვირთი კანონიერად იქნა დაკისრებული მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოზე. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულების მიმართ კი აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი გადატანილ იქნა კასატორზე, რაც უკანონოა.



კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ვერ მიუთითა კანონი, რომლის საფუძველზეც მოპასუხე რწმუნებულს უფლება ჰქონდა, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 161-ე მუხლით მინიჭებული ბავშვის სამ წლამდე ასაკის მიღწევამდე აღზრდისათვის გათვალისწინებული დამატებითი უხელფასო შვებულების პერიოდზე უფლება ი. გ-მისათვის შეემცირებინა ბავშვის ორი წლის ასაკამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. გ-მის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 24 აპრილის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 12 ივნისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ივნისის განჩინებით ი. გ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 17 ივლისს, 13.00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა გასაჩივრებულ ნაწილში, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ი. გ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ცვლილების შეტანა დაევა და ი. გ-მისათვის ბავშვის სამ წლამდე ასაკის მიღწევამდე აღზრდისათვის გათვალისწინებული უხელფასო შვებულების ვადა განისაზღვრა 2007 წლის 27 ივლისამდე და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. გ-მის სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ხოლო ი. გ-მემ აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც მისი სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ამდენად, ამ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებულ ნაწილს წარმოადგენს სწორედ ი. გ-მისთვის საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს - აღნიშნული ცვლილების შეტანის შესახებ სარჩელის საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 1997 წლის 15 აგვისტოს #39<sup>ა</sup> განკარგულებით ი. გ-მე დაინიშნა ამავე რწმუნებულის აპარატის უფროსი ბუღალტრის თანამდებობაზე, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ახალციხის სანოტარო ბიუროს მიერ დამტკიცებული 2003 წლის 24 ნოემბრის სანოტარო აქტით ი. გ-მემ დედამისს - ლ. გ-მეს მიანდო უფლება, ეწარმოებინა მის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებთან დაკავშირებული მოქმედებები. 2004 წლის 22 ნოემბერს ი. გ-მის დედამ - ლ. გ-მემ განცხადებით მიმართა სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს ი. გ-მისათვის ბავშვის სამ წლამდე ასაკის მიღწევამდე უხელფასო 3-წლიანი დეკრეტული შვებულების მიცემის თაობაზე. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბერს გამოსცა #47 განკარგულება, რომლითაც ამავე რწმუნებულის აპარატის მთავარ ბუღალტერ ი. გ-მეს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 161-ე მუხლის თანახმად, ბავშვის მოსაველეად მიეცა დამატებითი უხელფასო შვებულება 2006 წლის 25 ივლისამდე. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2006 წლის 4 ოქტომბრის #118 განკარგულებით, 2006 წლის 25 ივლისიდან სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, დროებით არმყოფი მოხელე - ი. გ-მე გათავისუფლდა მთავარი ბუღალტრის თანამდებობიდან. ი. გ-მის შვილი - მ. ი. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2007 წლის 19 თებერვლის #11 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო

რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2006 წლის 4 ოქტომბრის #118 განკარგულება, იმ მოტივით, რომ არ არსებობდა ამავე რწმუნებულის განკარგულება ი. გ-ძის მთავარ ბუღალტრად დანიშვნის შესახებ, ისევე, როგორც მისი უფროსი ბუღალტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში) 2007 წლის 26 მარტის #18 განკარგულებით ამავე რწმუნებულის აპარატის კანცელარიის უფროსს დაევალა ი. გ-ძის შრომის წიგნაკში შესაბამისი აღნიშვნის გაკეთება უფროსი ბუღალტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულება სადავო შვებულების ვადის განსაზღვრის ნაწილში კანონიერია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა იმჟამად მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 159-ე და 161-ე მუხლები და არასწორად მიიჩნია იმპერატიულ მოთხოვნად, რომ მშობიარობის შემდეგ ქალს ჯერ უნდა ესარგებლა 18-თვიანი ნაწილობრივ ანაზღაურებადი შვებულებით, ხოლო შემდეგ ბავშვის 3 წლამდე ასაკის მიღწევამდე - დამატებითი უხელფასო შვებულებით, რადგან აღნიშნული ნორმით დადგენილი იყო, რომ ამ შეღავათების გამოყენება დამოკიდებული იყო მხოლოდ დედის ნებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოცემული დავის წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის (2004 წლის 1 დეკემბერს მოქმედი რედაქცია) 159-ე მუხლის (შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო) პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, ქალს, სურვილისამებრ, თუ მას ჰქონდა არანაკლებ ერთი წლის მუშაობის საერთო სტაჟი, მიეცემოდა ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოვლის გამო, სანამ ბავშვი წლინახევრისა გახდებოდა. ხსენებული კოდექსის 161-ე მუხლის (დამატებითი უხელფასო შვებულება დედებისათვის, რომლებსაც ჰყავდათ სამ წლამდე ასაკის ბავშვები) პირველი და მე-2-3 ნაწილების მიხედვით, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებების გარდა, ქალს და 159-ე მუხლის მესამე ნაწილში აღნიშნულ პირებს, მათი განცხადების თანახმად, ეძლეოდათ დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლეად, ვიდრე ის მიაღწევდა სამი წლის ასაკს და შვებულების განმავლობაში ენახებოდა სამუშაო ადგილი (თანამდებობა). ეს შვებულება შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ ნებისმიერ დროს, ვიდრე ბავშვს შეუსრულდებოდა სამი წლის ასაკი. დამატებითი უხელფასო შვებულება ჩაითვლებოდა მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟში, აგრეთვე, სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის (2004 წლის 1 დეკემბერს მოქმედი რედაქცია) 159-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმით ქალისათვის მინიჭებული უფლების განხორციელება, ბავშვის მოვლის გამო, ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულებით სარგებლობის თაობაზე, სანამ ბავშვი წლინახევრისა გახდებოდა, დამოკიდებული იყო ქალის სურვილზე. გარდა ამისა, აღნიშნული კოდექსის 161-ე მუხლში იმპერატიულად იყო განსაზღვრული ქალის უფლება, რომ ბავშვის მოვლის გამო ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულების გარდა, ბავშვის სამი წლის ასაკამდე აღზრდის გამო, ბავშვის მოსავლეად ესარგებლა დამატებითი უხელფასო შვებულებით. აქედან გამომდინარე, ხსენებული დამატებითი უხელფასო შვებულების ხანგრძლივობისა და პერიოდულობის განსაზღვრა მთლიანად იყო დამოკიდებული ქალზე - ბავშვის დედაზე, რომელსაც უფლება ჰქონდა, მის მიერ მითითებული შესაბამისი თარიღიდან ბავშვის მოსავლეად ესარგებლა დამატებითი უხელფასო შვებულებით ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულებით სარგებლობისათვის დადგენილი ვადის (სანამ ბავშვი წლინახევრისა გახდებოდა) გასვლამდეც, ვიდრე ბავშვი მიაღწევდა სამი წლის ასაკს, ხოლო იმ დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც ქალი მუშაობდა, არ ჰქონდა უფლება, ჩარეულიყო და თავისი შეხედულებისამებრ განესაზღვრა ქალის დამატებითი უხელფასო შვებულების ხანგრძლივობა და პერიოდულობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხემ უკანონოდ შეუზღუდა ი. გ-ძის ბავშვის სამი წლის ასაკის მიღწევამდე აღზრდისათვის გათვალისწინებული უხელფასო შვებულებით სარგებლობის პერიოდი, ვინაიდან მოსარჩელემ კანონით დადგენილი წესით წარდგენილი 2004 წლის 22 ნოემბრის განცხადებით სრულად მოითხოვა ბავშვის სამი წლის ასაკის მიღწევამდე უხელფასო 3-წლიანი დეკრეტული შვებულების მიცემა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის შვილი - მ. ი., აღნიშნული შვებულება მოიცავდა 2007 წლის 25 ივლისამდე პერიოდს და იგი ამ თარიღამდე უნდა გაგრძელებულიყო. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებით კი აღნიშნული პერიოდი შემცირდა 2006 წლის 25 ივლისამდე, ანუ ერთი წლით. ამდენად, ი. გ-ძის საკასაციო საჩივარი და მისი შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ამ მიმართებით ცვლილების შეტანის შესახებ, გამომდინარეობს იმჟამად მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 161-ე მუხლის ნორმიდან და საფუძვლიანია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტსა და მე-3 ნაწილზე, რომელთა მიხედვით, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ხოლო საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. იმავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა დავის წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმები, ასევე არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. გ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. გ-მის სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ დაკმაყოფილდება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ი. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. გ-მის სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ დაკმაყოფილდეს;
4. დაევალოს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონებში) 2004 წლის 1 დეკემბრის #47 განკარგულებაში შეიტანოს ნაწილობრივი ცვლილება და ი. გ-მისათვის ბავშვის სამი წლის ასაკის მიღწევამდე აღზრდისათვის დამატებითი უხელფასო შვებულების ვადა განსაზღვროს 2007 წლის 25 ივლისამდე;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. თანამდებობაზე დანიშნა-გათავისუფლების წესი**

**სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის შესახებ**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

#ბს-825-787(კ-07)

22 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,**

## ნ. ქადაგიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და სტაჟიორად აღდგენა

### საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

რ. კ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და სტაჟიორად აღდგენა.

#### საქმის გარემოებები:

2006 წლის ივლისში მოსარჩელე რ. კ-შვილმა მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩატარებულ სტაჟიორთა კონკურსში და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2006 წლის 31 ივლისის №კ-1/278 ბრძანებით, 6 თვის ვადით დაინიშნა სტაჟიორად კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში. 2006 წლის 8 ნოემბერს მოსარჩელეს უკანონოდ და დაუსაბუთებლად შეუწყდა სტაჟირება, რასაც საფუძვლად დაედო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის - ი. გ-შვილის მოხსენებითი ბარათი.

მოსარჩელეს, სამსახურებრივი დავალების შესრულებისას, დეპარტამენტის უფროს სპეციალისტთან - პ. ო-ავასთან მოუვიდა სიტყვიერი შეკამათება, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ აბრუნებდა დისკეტას (ფლეშ), რომელზეც მოსარჩელის რამდენიმე თვის მუშაობის შედეგები იყო მოთავსებული. მოსარჩელეს პ. ო-ავამ ცილი დასწამა, თითქოს მას უნებართვოდ ჰქონდა გადაწერილი მისი მეგობრის ბიოგრაფიული მონაცემები. აღნიშნულის შემდეგ მოსარჩელეს შეუწყდა სტაჟირება იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენდა კონფლიქტურ პიროვნებას და მისი სამსახურში დატოვება შეუძლებელი იყო.

#### სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

2006 წლის 11 დეკემბერს მოსარჩელემ მიიღო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანება, რომლის თანახმად, მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლის შესაბამისად, შეუწყდა სტაჟირება 2006 წლის 8 ნოემბრიდან.

#### სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელის განმარტებით, «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლის თანახმად, სტაჟირების ვადა იყო 6 თვე, ხოლო ამავე მუხლით გათვალისწინებული იყო სტაჟირების შეწყვეტის საფუძვლები. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა მინისტრი, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის (დაწესებულების) ხელმძღვანელის წინადადებით. რ. კ-შვილისთვის სტაჟირების შეწყვეტის შესახებ ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად მითითებული იყო ზემოაღნიშნული დებულების მე-18 მუხლი, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული, თუ რომელი პუნქტის საფუძველზე შეუწყდა სტაჟირება. ამდენად, გაუგებარია მოსარჩელის გათავისუფლების საფუძველი.

მოსარჩელის აზრით, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას, ვინაიდან მოპასუხემ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაარღვია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის წესი. ამავე კოდექსის 95-ე მუხლით დადგენილი წესით არ ჩააბა იგი მხარედ ადმინისტრაციულ წარმოებაში, როგორც დაინტერესებული პირი. ამასთან, გაუგებარი იყო, მოსარჩელეს «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლის რომელი პუნქტის საფუძველზე შეუწყდა უფლებამოსილება.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა არ ცნო რ. კ-შვილის სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. კ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2006 წლის 8 ნოემბრის №კ1-335 ბრძანება და მოსარჩელე აღდგენილ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის სტაჟიორად, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

#### საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 31 ივლისის ბრძანების თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით რ. კ-შვილი მიიღეს სტაჟიორად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში 6 თვის ვადით, 2006 წლის 1 აგვისტოდან. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის I მოადგილის ნ. თ.ს 2006 წლის 10 ნოემბრის №კ-1/335 ბრძანების თანახმად, მოსარჩელე რ. კ-შვილს შეუწყდა სტაჟირება 2006 წლის

8 ნოემბრიდან, რის სამართლებრივ საფუძველსაც წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის №კ-1/243 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის - ი. გ-შვილის მოხსენებითი ბარათი.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის I ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის II ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის №კ-1/243 ბრძანების მე-18 მუხლის თანახმად, სტაჟირების შეწყვეტის საფუძველი იყო: ა) სტაჟირების პერიოდში არასაკმაოდ მიზეზით 5 დღის განმავლობაში შესაბამის დანაყოფში გამოუცხადებლობა; ბ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება; გ) პირადი განცხადება; დ) ამ წესის მე-19 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.3. მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მითითებულიყო ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზეც გამოიგა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არ იყო მითითებული ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზეც მოხდა მოსარჩელისთვის სტაჟირების შეწყვეტა, მით უფრო, რომ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი, რომელიც საფუძვლად დაედო სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მიუთითებდა, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა არაკომუნიკაბელურ და კონფლიქტურ პიროვნებას, რომელიც არ ითვალისწინებდა უფროსი კოლეგების რჩევა-დარიგებებს, რითაც დეპარტამენტს ხელს უშლიდა მუშაობაში. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოხსენებით ბარათში მითითებული გარემოებები არ შეესაბამებოდა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების სამართლებრივ საფუძველს.

საქალაქო სასამართლომ ასევე გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-ე და 95-ე მუხლები, რომელთა განმარტების საფუძველზეც მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

აპელანტის აზრით, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა გაუქმებას, როგორც უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს წარედგინა მოსარჩელის ქცევის ამსახველი მოხსენებითი ბარათი და დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ხელმოწერილი აქტი, რომელიც ადასტურებდა რ. კ-შვილის მიერ დეპარტამენტის უფროსის გაფრთხილებისა და დავალების მიუხედავად, იმავე ქმედებების განხორციელებასა და დაუმორჩილებლობის ფაქტებს, სასამართლომ აღნიშნული არ გაიზიარა და თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მოსარჩელე ჯეროვნად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს. ამასთან, აღნიშნა, რომ სადავო ბრძანებაში არ იყო მითითებული შესაბამისი ნორმა და არ განხორციელებულა ამ საკითხზე ადმინისტრაციული წარმოება.

აპელანტის განმარტებით, სადავო ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მითითებული იყო «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლი, რომლის I პუნქტის «ბ» ქვეპუნქტი ითვალისწინებდა დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში სტაჟირების შეწყვეტას. ამასთან, ამავე მუხლის II პუნქტის შესაბამისად, სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა მინისტრი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის წინადადებით, რაც განხორციელდა სადავო ბრძანების გამოცემისას. შესაბამისად, ეს არ იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, ვინაიდან სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოხდა «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» 18.1.«ბ» მუხლის საფუძველზე. ამდენად, დარღვეული არ ყოფილა სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ზემოაღნიშნული წესით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარემ - რ. კ-შვილმა არ ცნო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 28 მაისის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგინდად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება. ამასთან, განმარტა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის I მოადგილის 2006 წლის 10 ნოემბრის #კ-1/335 ბრძანებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #კ-1/243 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლის შესაბამისად, რ. კ-შვილს - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის სტაჟიორს შეუწყდა სტაჟირება 2006 წლის 8 ნოემბრიდან, რის საფუძველსაც წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის - ი. გ-შვილის მოხსენებითი ბარათი. მითითებული ბარათის მიხედვით, სტაჟირების გავლის პერიოდში სტაჟიორმა გამოავლინა უარყოფითი თვისებები, აღმოჩნდა არაკომუნიკაბელური და კონფლიქტური პიროვნება, არ ითვალისწინებდა უფროსი კოლეგების რჩევა-დარიგებას, რითაც დეპარტამენტს ხელს უშლიდა მუშაობაში.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» 18.1» მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, სტაჟირების შეწყვეტის საფუძველია დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის წინადადებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ შეიცავდა მითითებას ფაქტობრივ გარემოებებზე, კონკრეტულად, რა დავალება არ შეასრულა ან რა დავალება შეასრულა არაჯეროვნად რ. კ-შვილმა. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვისა და ავტომატიზაციის კათედრის გამგის და სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და გაცემული დახასიათება-რეკომენდაცია, რითაც მოსარჩელე დადებითად ხასიათდებოდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა არსებითად სწორი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძველით:

კასაციის მიზეზი:

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და შესაბამისად, არასწორი სამართლებრივი დასკვნა ჩამოაყალიბა, როცა მიიჩნია, რომ მოსარჩელე ჯეროვნად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ სადავო ბრძანებაში არ იყო მითითებული შესაბამისი ნორმა და არ ჩატარებულა ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც ბრძანების საფუძველში მითითებულია «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს წარედგინა მოსარჩელის ქცევის ამსახველი მოხსენებითი ბარათი და დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ხელმოწერილი აქტი, რომლებიც ადასტურებს რ. კ-შვილის მიერ დეპარტამენტის უფროსის გაფრთხილებისა და დავალების მიუხედავად, იმავე ქმედების განხორციელებასა და დაუმორჩილებლობის ფაქტებს, სასამართლომ აღნიშნული არ გაიზიარა და თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მოსარჩელე ჯეროვნად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს. ამასთან, აღნიშნა, რომ სადავო ბრძანებაში არ იყო მითითებული შესაბამისი ნორმა და არ განხორციელებულა ამ საკითხზე ადმინისტრაციული წარმოება.

კასატორის განმარტებით, სადავო ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მითითებული იყო «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლი, რომლის I პუნქტის «ბ» ქვეპუნქტი ითვალისწინებდა დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში სტაჟირების შეწყვეტას. ამასთან, ამავე მუხლის II პუნქტის შესაბამისად, სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა მინისტრი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის წინადადებით, რაც განხორციელდა სადავო ბრძანების გამოცემისას. შესაბამისად, ეს არ იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, ვინაიდან სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოხდა «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის»

18.1.«ბ» მუხლის საფუძველზე. ამდენად, დარღვეული არ ყოფილა სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ზემოაღნიშნული წესით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. «გ» პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის - რ. კ-შვილის წარმომადგენელმა არ ცნო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. კ-შვილის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2006 წლის 10 ნოემბრის №კ-1/335 ბრძანება და მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების /კერძოდ, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების, მოსარჩელის სტაჟირად აღდგენის ნაწილში/ გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად შეაფასა სადავო აქტის შეუსაბამობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლთან და როგორც უკანონო ბათილად ცნო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.1 მუხლის საფუძველზე, თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ სადავო აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც გაურკვეველია მისი გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი და წინაპირობები, სასამართლოს მხრიდან არ არსებობს სადავო საკითხის არსებითად გადასაწყვეტად შესაბამისი წინამძღვრები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ საჯარო-სამართლებრივ ვალდებულებას - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქმის გარემოებების გამოკვლევის, დასაბუთებისა და კანონმდებლობის შესაბამისად მომზადების, მიღების, გამოცემის თაობაზე, ალტერნატივა არ გააჩნია და სწორედ ამგვარი აქტი ექვემდებარება გასაჩივრების პირობებში სასამართლო ორგანოების მხრიდან სრული სასამართლო კონტროლის განხორციელებას. სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტა სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების პირობებში გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების შემოწმებას კანონიერებისა და დასაბუთებულობის თვალსაზრისით. მოცემულ შემთხვევაში, სადავო აქტის მართლზომიერება ცალსახად ექვემდებარება სამართლებრივ შეფასებას, როგორც კანონსაწინააღმდეგო. ამავდროულად, არ არსებობს სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტის წინაპირობა, რამდენადაც გაურკვეველია ფაქტობრივი მხარე, რ. კ-შვილის სტაჟირების შეწყვეტის ფაქტობრივი მიზეზი, შესაბამისად ობიექტურად შეუძლებელია ამ თვალსაზრისით სასამართლო კონტროლის განხორციელება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანება რ. კ-შვილისათვის სტაჟირების შეწყვეტის შესახებ, ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, კერძოდ, აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელე რ. კ-შვილს შეუწყდა სტაჟირება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ვადად ადრე, 2006 წლის 8 ნოემბრიდან. სადავო ბრძანება გამოიცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია, შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის

დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა მოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი - უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სტაჟირების შეწყვეტის დროს ადმინისტრაციის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პირობებში, აქტის გამოცემის შემთხვევაშიც, ეს უკანასკნელი შეზღუდულია კანონის მოთხოვნის ფარგლებით, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განხორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამასთან, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2. მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლი განსაზღვრავს სტაჟირების შეწყვეტის საფუძველს, კერძოდ: ა) სტაჟირების პერიოდში არასაპატიო მიზეზით 5 დღის განმავლობაში შესაბამის დანაყოფში გამოუცხადებლობა; ბ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება; გ) პირადი განცხადება; დ) ამ წესის მე-19 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა (სამსახურში დანიშვნა).

მოცემულ შემთხვევაში სადავო ბრძანება გამოიცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლის საფუძველზე, თუმცა ბრძანებაში არ არის მითითებული, თუ რომელი პუნქტის საფუძველზე იქნა კონკრეტულად შეწყვეტილი ვადამდე ადრე სტაჟირება რ. კ-შილთან.

საქმის მასალების თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 31 ივლისის ბრძანების თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით რ. კ-შილი მიიღეს სტაჟიორად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში 6 თვის ვადით, 2006 წლის 1 აგვისტოდან. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის I მოადგილის ნ. თ.ს 2006 წლის 10 ნოემბრის #კ-1/335 ბრძანების თანახმად, მოსარჩელე რ. კ-შილს შეუწყდა სტაჟირება 2006 წლის 8 ნოემბრიდან, რის სამართლებრივ საფუძველსაც წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #კ-1/243 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის» მე-18 მუხლი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის - ი. გ-შილის მოხსენებითი ბარათი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ იქნა მოკვლეული ჯეროვნად, შესაბამისად სამსახურებრივი მოკვლევა ჩატარდა არასრულყოფილად, რამდენადაც საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება რ. კ-შილის საქმიანობასთან დაკავშირებით. გაურკვეველია, იქნა თუ არა მოკვლეული საქმის მასალები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები რ. კ-შილის საქმიანობასთან დაკავშირებით, ასრულებდა თუ არა ეს უკანასკნელი სამსახურებრივ მოვალეობას კეთილსინდისიერად, ჩატარდა თუ არა სამსახურებრივი მოკვლევა, საქმეში წარმოდგენილი არ არის თანამშრომელთა ახსნა-განმარტებები რ. კ-შილის დახასიათებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ხოლო ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით,



რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ბრძანებაში არ არის მითითებული მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კონკრეტული გარემოებები, ფაქტები, რომელთა შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზეც მოხდა ბრძანების გამოცემა, რაც წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ არსებით დარღვევას, რაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. აქტში არ არის ასახული, თუ კონკრეტულად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის რომელი პუნქტის საფუძველზე შეუწყდა სტაჟირება რ. კ-შვილს ვადამდე ადრე, ამასთან ბრძანება გამოცემულია 2006 წლის 10 ნოემბერს, თუმცა რ. კ-შვილს სტაჟირება შეუწყდა უკანა რიცხვით, 2006 წლის 8 ნოემბრიდან; სრულყოფილად არ არის დადგენილი ფაქტები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რის გამოც არსებითად არის დარღვეული ადმინისტრაციული აქტის მიღების, მომზადებისა და გამოცემის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული. კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები უგულბებლყოფილ იქნა სადავო ბრძანების გამოცემისას, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, შეეფასებინა და ემსჯელა, არსებობდა თუ არა რეალურად მოსარჩელისათვის ვადამდე ადრე სტაჟირების შეწყვეტის საფუძველი და კონკრეტულად, რომელი ნორმის საფუძველზე შეუწყდა მას სტაჟირება ადმინისტრაციულ ორგანოსთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, კერძოდ, მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ისე, რომ არ შეაჯეროს და არ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება, გამოკვლეულ იქნა თუ არა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ საქმის მასალები სრულყოფილად, ამასთან საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლის გამოყენების წინაპირობა, რამდენადაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 100.2 პუნქტის შესაბამისად, 15 დღის ვადაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს კანონით დაკისრებული ვალდებულება - დაადგინოს კონკრეტული ფაქტი და მხოლოდ შემდეგ მოახდინოს ნორმათშეფარდება, სწორედ ამგვარ პირობებში მოხდენილი იურიდიული კვალიფიკაციის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან ექვემდებარება გადამოწმებას სასამართლოს მხრიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას და დასკვნას საქალაქო სასამართლოს მიერ დავის არსებითად გადაწყვეტის მართებულად მიჩნევის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება ექვემდებარება გაუქმებას. ამავე დროს, რადგანაც სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, საკასაციო

სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე უფლებამოსილია, მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. კ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილება ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე მიაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 32.4, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. რ. კ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2006 წლის 8 ნოემბრის #კ-1/335 ბრძანება და მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან 15 დღის ვადაში;

4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის წესი**

**განჩინება**

#ბს-925-887(კ-07) 20 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ე. ჩ-მემ 2007 წლის 15 იანვარს ხარაგაულის რაიონულ სასამართლოს მიმართა სარჩელით და მოითხოვა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც ი. ა-შვილი დაინიშნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ზვარის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის თანამდებობაზე, ასევე - მოპასუხის დავალდებულება, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის მითითებულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

მოსარჩელემ თავისი მოთხოვნები დაასაბუთა შემდეგნაირად:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 დეკემბრის #12 დადგენილებით დამტკიცდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება, რომლის 25-ე მუხლის თანახმად გამგეობის ტერიტორიული მართვის ორგანოების მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან საჯარო კონკურსის შედეგების მიხედვით. კონკურსი უნდა ჩატარებულიყო შესაბამისი ვაკანსიის გაჩენიდან ერთი კვირის ვადაში, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფდა საკრებულოს მიერ შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისია. კონკურსის ჩატარების წესს ამტკიცებდა საკრებულო.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ შეტანილი ჰქონდა განცხადება, რომელშიც გამოთქვამდა სურვილს რწმუნებულის თანამდებობაზე დანიშვნისათვის მისი კვალიფიკაციის, საქმიანობის, შესაძლებლობის შესაბამისად. განცხადებას თან ერთვოდა ზვარის თემის საკრებულოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის თხოვნა ე. ჩ-მის მითითებულ თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, რომელსაც მოსახლეობის 90 % აწერდა ხელს.

მოპასუხემ, მითითებული ნორმის დარღვევით, კონკურსის გარეშე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ზვარის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის თანამდებობაზე დაინიშნა ი. ა-შვილი. მოსარჩელის მითითებით, კონკურსის ჩატარების შემთხვევაში მას ექნებოდა უპირატესი შანსი მითითებული

თანამდებობის დასაკავებლად, რადგან მას გააჩნდა ხარაგაულის რაიონში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (იყო ზვარის საკრებულოს თავმჯდომარე), მას მხარს უჭერდა ზვარის მოსახლეობაც. ამასთან, ი. ა-შვილისაგან განსხვავებით, რომელსაც მუშაობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა და იყო საშუალო განათლებით, ჰქონდა უმაღლესი განათლება და გააჩნდა სხვადასხვა ჯილდოებიც, მათ შორის - ღირსების ორდენიც.

კონკურსის ჩატარების გარეშე აღნიშნულ თანამდებობაზე ი. ა-შვილის დანიშვნით უკანონოდ შეიზღუდა მისი უფლებები, რის გამოც სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მოსარჩელის აზრით, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. ჩ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2006 წლის 25 დეკემბრის #59 ბრძანება ი. ა-შვილის ზვარის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის კ. გ-შვილის 2006 წლის 25 დეკემბრის #59 ბრძანებით ზვარის თემის რწმუნებულად დანიშნა ი. ა-შვილი ერთი წლის ვადით.

საქართველოს ორგანული კანონის «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» 65<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად 2006 წლის 15 დეკემბრამდე განხორციელდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და რაიონის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სალიკვიდაციო ღონისძიებები და ამავე კანონის 66-ე მუხლის თანახმად მოხდა თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაცია კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე. ამავე კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნით, შეიქმნა ხარაგაულის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა) ორგანოები შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებით. ხარაგაულის საკრებულოს 2006 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით კი შეიქმნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 20 ტერიტორიული ერთეული, მათ შორის, ზვარის თემი. გამგეობის დებულებით განსაზღვრულია სამსახურები, თანამდებობის პირთა დანიშვნის, უფლებამოსილებებისა და მუშაობის ორგანიზაციული წესები. წარმოიშვა ახალი სამტატო ერთეულები, რომლებზეც პირთა დანიშვნა უნდა განხორციელებულიყო დადგენილი წესით.

სადავო ბრძანება სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რომელიც გამოიყვანა ერთჯერადად და მიიღება მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებისა და მის მიერ დადგენილ ფარგლებში. მისი გამოცემის კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ სადავო აქტი გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, რადგან «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანულმა კანონმა ზუსტად განსაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი, ეკონომიკური და ფინანსური საფუძველები, სახელმწიფო გარანტიები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, მათი უფლებამოსილებები და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის საკითხები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, ხოლო ზვარის თემი წარმოადგენს მის ნაწილს, სადაც შექმნილია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანო.

საქართველოს ორგანული კანონის «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი - გამგეობის რწმუნებული არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი წესით ერთი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 დეკემბრის #12 დადგენილებით დამტკიცებული «ხარაგაულის თვითმმართველი ერთეულის გამგეობის» დებულების 23-ე მუხლის თანახმად ტერიტორიული მართვის ორგანოს ხელმძღვანელობს გამგეობის რწმუნებული, რომელსაც ერთი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი, ხოლო 25-ე მუხლში კონკრეტობრივია მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნის წესი, რომლის მიხედვითაც გამგეობის სტრუქტურული (ტერიტორიული) მართვის ორგანოების მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან საჯარო კონკურსის შედეგების მიხედვით. ამ ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად ატარებს საკრებულოს მიერ შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისია. კონკურსი ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურის თანამდებობის დასაკავებლად უნდა გამოცხადდეს შესაბამისი ვაკანსიის გაჩენიდან ერთი კვირის ვადაში. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით «ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ».

აღნიშნული ნორმების ანალიზის შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს არ ჰქონდა უფლებამოსილება ამ პროცედურის დაუცველად მიეღო სადავო ბრძანება, რადგან ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო გადაწყვეტილება და აირჩია მოსამსახურის კონკურსის

წესით დანიშვნის ფორმა, მას უნდა დაეცვა კიდევ ეს წესი, დებულებით განსაზღვრულ წინაპირობებთან ერთად. ამ შემთხვევაში, როცა ნორმატიული აქტით ზუსტად განისაზღვრა, თუ რომელი სამართლებრივი ფორმა უნდა გამოყენებულიყო მოცემული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს აღარ გააჩნდა დისკრეციული უფლებამოსილება - კონკურსის გარეშე დაენიშნა თანამდებობაზე ზვარის თემის რწმუნებული.

სასამართლომ მიუთითა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სახელმწიფო ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების გადაწყვეტილებით ამ დაწესებულებაში გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი, გარდა 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე მუხლში მოცემულია თანამდებობაზე უკონკურსოდ დასანიშნ პირთა შესაძლო ჩამონათვალი, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე (ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული) მოხსენიებული არ არის. გარდა ამისა, რადგან თვითმმართველობის დაწესებულებამ თავისივე დებულებით განსაზღვრა უფლებამოსილების განხორციელებისას ამ დაწესებულებაში ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურის საჯარო კონკურსით დანიშვნის წესი, ვალდებული იყო დაეცვა ეს წესი და ასეთ შემთხვევაში აპელირება ამ კანონის მე-16, 23-ე და 28-ე მუხლებზე არ არის მართებული. არსებული ვაკანსიის გაჩენისთანავე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 31-ე მუხლის თანახმად უნდა გამოეცხადებინა კონკურსი შესაბამის ბეჭდვით ორგანოში, რათა კანდიდატებს ჰქონოდათ შესაძლებლობა გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში შეეტანათ შესაბამისი განცხადება.

სასამართლომ მიუთითა, რომ არ დაიცვა რა კანონმდებლობით დადგენილი წესი, ადმინისტრაციულმა ორგანომ შეზღუდა მოსარჩელის კონსტიტუციური უფლება კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, რადგან მას არ მიეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო კანონმდებლობით გათვალისწინებულ კონკურსში.

სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების შესახებ არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ მოსარჩელის მითითებულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ მას არ გააჩნია უფლებამოსილება, დაავალოს მოპასუხეს მოსარჩელის სადავო თანამდებობაზე დანიშვნა, რომელიც მოპასუხეს მინიჭებული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის განჩინებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ე. ჩ-ძის სარჩელის გამო მოპასუხე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, მესამე პირის ი. ა-შვილის (გ-ძე) მიმართ სარჩელის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. განჩინება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

ე. ჩ-ძის სასარჩელო განცხადების მოთხოვნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის - კ. გ-შვილის გადაწყვეტილების, ი. ა-შვილის ზვარის რწმუნებულად დანიშვნის ბათილად ცნობა, მისი ძალაში შესვლის დღიდან და მოპასუხის დავალდებულება გამოსცეს აქტი ხსენებულ თანამდებობაზე მისი დანიშვნის შესახებ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის დავალდებულების თაობაზე, გამოსცეს აქტი ზვარის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, არ დაკმაყოფილდა, რაც ე. ჩ-ძის მიერ არ გასაჩივრებულა, ანუ გასაჩივრებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2006 წლის 25 დეკემბრის #59 ბრძანება «ი. ა-შვილის ზვარის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის თანამდებობაზე 2006 წლის 25 დეკემბრიდან ერთი წლის ვადით დანიშვნის შესახებ».

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის პრეამბულას, რომლის მიხედვით ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ევროპული ქარტიის შესაბამისად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ, ეკონომიკურ და ფინანსურ საფუძვლებს, სახელმწიფო გარანტიებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესს, მათ უფლებამოსილებებსა და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას.

«ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად გამგებლის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულს ერთი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის შესაბამისად.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ამ დაწესებულებაში გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ნორმები მოიცავს გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესაძლებლობას და არა აუცილებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად გამგეობის რწმუნებულის თანამდებობაზე მოსამსახურე ინიშნება საჯარო კონკურსის შედეგების მიხედვით, მაგრამ ეს ნორმა განხილულ უნდა იქნეს იმავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებთან ორგანულ კავშირში, რომელთა თანახმიდანაც საკრებულოს უნდა შეექმნა საკონკურსო-საატესტაციო კომისია და დაემტკიცებინა კონკურსის ჩატარების წესი, რაც არ განხორციელებულა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 19 მარტის #17 დადგენილებით ცვლილება იქნა შეტანილი და 2006 წლის 13 დეკემბრის #12 დადგენილებით დამტკიცებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების 25-ე მუხლი მთლიანად ამოღებულ იქნა, ამდენად, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას საერთოდ აღარ არსებობდა გამგებლის ვალდებულება - კონკურსის წესით დაენიშნა გამგეობის ტერიტორიული ერთეულის ორგანოების მოხელეები.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სარჩელის დასაშვებობა არ შემოწმებულა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს არ განუსაზღვრავს, თუ რამდენად შეეხო ან საერთოდ შეეხო თუ არა გასაჩივრებული ბრძანება მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ანდაც - უკანონოდ შეზღუდა თუ არა მისი ინტერესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სარჩელის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმე უნდა დაბრუნებოდა ხარაგაულის რაიონულ სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ჩ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2006 წლის 25 დეკემბრის #59 ბრძანების ბათილად ცნობა.

საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ საფუძვლებს:

კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში მოიპოვება მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებანი, რომლითაც ასაბუთებს თავის სასარჩელო მოთხოვნას. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეასრულა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 244-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 დეკემბრის #12 დადგენილებით დამტკიცდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება, რომლის 25-ე მუხლის თანახმად გამგეობის ტერიტორიული მართვის ორგანოების მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან საჯარო კონკურსის შედეგების მიხედვით. კონკურსი უნდა ჩატარებულიყო შესაბამისი ვაკანსიის გაჩენიდან ერთი კვირის ვადაში, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფდა საკრებულოს მიერ შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისია. კონკურსის ჩატარების წესს ამტკიცებდა საკრებულო. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა და არასწორად განმარტა ყველა ის ნორმატიული აქტი, რომლითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაშვებულ საპროცესო დარღვევაზე, რადგან სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა იმ დოკუმენტზე, რაც არ ყოფილა საქმეზე დართული მტკიცებულებად; ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 19 მარტის #17 დადგენილება (რომლითაც ცვლილება იქნა შეტანილი 2006 წლის 13 დეკემბრის #12 დადგენილებით დამტკიცებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაში და ამოღებულ იქნა 25-ე მუხლი) წარმოადგინა მთავარ სხდომაზე, რის გამოც სააპელაციო პალატამ უარი უთხრა მის მიღებაზე. ამის მიუხედავად, გასაჩივრებული განჩინების ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ ეს დოკუმენტი იქცა.

სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით კასატორმა დამატებით მიუთითა, რომ საქმეში მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ მოსარჩელე იყო გამგებელი, აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, წარდგენილი ჰქონდა მხარდამჭერთა სიები. ამიტომ, კასატორის მოსაზრებით, ობიექტური კონკურსის პირობებში მას ი. ა-შვილთან მიმართებით გააჩნდა გადაწყვეტი უპირატესობა ზვარის თემის რწმუნებულად დასანიშნად. სადავო ბრძანების გამოცემით მოხდა კასატორის, როგორც კონკრეტულ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის რეალურად არსებული უფლების დარღვევა, რადგან ი. ა-შვილის უკონკურსოდ დანიშვნის გამო მას გაუკეთდა იგნორირება, დარჩა უპასუხოდ. აღნიშნული გარემოებები ქმნის სარჩელის დასაშვებობის პირობებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს ზვარის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის თანამდებობაზე ი. ა-შვილის დანიშვნის შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2006 წლის 25 დეკემბრის #59 ბრძანების ბათილად ცნობა.

ე. ჩ-მის მიერ აღძრული სარჩელი შეიცავდა მეორე მოთხოვნასაც: მოსარჩელის ზვარის თემის რწმუნებულად დანიშვნის შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას. ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების აღნიშნული ნაწილი მხარეთა მიერ არ გასაჩივრებულა და იგი შევიდა კანონიერ ძალაში. ამდენად, უკანონო სააპელაციო სასამართლოს განჩინება რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მთლიანად გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია. სააპელაციო სასამართლომ ერთის მხრივ, არსებითად იმსჯელა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, მისცა მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანა შესაბამისი დასკვნები; მეორეს მხრივ, კი სააპელაციო სასამართლომ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ სადავოდ ქცეული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს არ აყენებს კასატორის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, რის გამოც საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ გარემოებაზე: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სარჩელის დასაშვებად მიჩნევისათვის არ არის აუცილებელი სახეზე იყოს მოსარჩელის კანონიერი უფლების ან ინტერესის უდავოდ დადასტურებული დარღვევა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, არამედ საკმარისია არსებობდეს დასაბუთებული ეჭვი ამ უფლების ან ინტერესის დარღვევისა, ანდა ამ უფლების უკანონოდ შეზღუდვისა.

კასატორ ე. ჩ-მის მიერ აღძრული სარჩელი ძირითადად იმითაა დასაბუთებული, რომ სადავო ზვარის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის თანამდებობაზე ი. ა-შვილის დანიშვნის შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2006 წლის 25 დეკემბრის #59 ბრძანება გამოიცა სავალდებულოდ ჩასატარებელი საჯარო კონკურსის გარეშე, რითაც მას მოესპო კონკურსში მიღების შესაძლებლობა, რომელშიც, მისივე აზრით, სადავო ბრძანებით თანამდებობაზე დანიშნული ი. ა-შვილი კონკურსენცია ვერ გაუწევდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტზე, რომლის თანახმად საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ასეთ პირობებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 დეკემბრის #12 დადგენილებით დამტკიცებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების 25-ე მუხლის გათვალისწინებით (რომელიც მოქმედებდა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას და ამოღებულ იქნა საქმის სააპელაციო წესით განხილვისას), რომლითაც დადგენილი იყო გამგეობის ტერიტორიული ერთეულის მოსამსახურეთა თანამდებობაზე საჯარო კონკურსით დანიშვნის წესი, არსებობდა სრული სამართლებრივი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ე. ჩ-მის კანონიერი უფლება, მონაწილეობა მიეღო საჯარო კონკურსში ზვარის თემის რწმუნებულის თანამდებობის დასაკავებლად, უკანონოდ შეიძლება შეიზღუდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - რწმუნებულის სტატუსი და უფლებამოსილება განისაზღვრება «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 42-ე მუხლით, რომლის თანახმადაც იგი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი წესით, 1 წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი). «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ამ დაწესებულებაში გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი. რაც შეეხება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 დეკემბრის #12 დადგენილებით დამტკიცებულ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების 25-ე მუხლის 1-ლ პუნქტს, ამ ნორმის თანახმად გამგეობის ტერიტორიული მართვის ორგანოების მოსამსახურენი თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყვნენ საჯარო კონკურსის შედეგების მიხედვით.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია, საქართველოს კონსტიტუცია, «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ევროპული ქარტია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები. ამავე კანონის 42-ე მუხლი, რომელიც რწმუნებულის თანამდებობაზე დანიშვნას ეხება, მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონზეც. შესაბამისად, ხარაგაულის

მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილი იყო ემოქმედა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებითაც.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ იმსჯელოს საკითხზე: ყველა ზემოთ მითითებული სამართლის ნორმის საფუძველზე წარმოადგენდა თუ არა ზვარის თემის რწმუნებულის თანამდებობაზე საჯარო კონკურსის გარეშე ი. ა-შვილის დანიშვნა ხარაგაულის რაიონის გამგებლის დისკრეციულ უფლებამოსილებას, რაც მას ჰქონდა მინიჭებული საკანონმდებლო აქტებით - «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონითა და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება არ საჩივრდება.

#### **მუშაკის დათხოვნის წესი**

##### **განჩინება**

#ბს-1161-1112(კ-07) 8 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ჩინჩალაძე,**

**მ. ცისკაძე**

**სარჩელის საგანი:** ერთდროული დახმარების თანხის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 16 იანვარს ფ. ჭ-უამ სარჩელი აღძრა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზუგდიდის #4 საპრობილის მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოში სხვადასხვა თანამდებობაზე იმუშავა 32 წელი, 8 თვე და 23 დღე. 2006 წლის 23 მარტს ზუგდიდის #4 საპრობილის დირექტორის წარდგინებით და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის #693 კ/შ ბრძანებით გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 95-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო 2006 წლის 25 მაისს, პირადი პატაკითა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის თანხმობით, დათხოვნილ იქნა სასჯელაღსრულების ორგანოებიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების 39-ე მუხლის «ზ» პუნქტის, 43-ე მუხლისა და 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად. ფ. ჭ-უამ სარჩელის აღძვრის დროისათვის იყო პენსიონერი.

მოსარჩელემ განმარტა, რომ ანალოგიური განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რათა გაეცა განკარგულება სათანადო სამსახურებისათვის, მისთვის ანაზღაურებინათ კანონით გათვალისწინებული კომპენსაცია 10 თვის ხელფასის ოდენობით. 2006 წლის 13 ოქტომბერს განხილულ იქნა მისი განცხადება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იურიდიულ განყოფილებაში, ხსენებული განცხადება დაკმაყოფილდა და შესასრულებლად გადაეგზავნა ზუგდიდის #4 საპრობილის.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ 2006 წლის 5 დეკემბერს მიმართა ზუგდიდის #4 საპრობილის ხელმძღვანელობას განცხადებით, თუ რატომ არ სრულდებოდა ან ვინ აფერხებდა კანონით გათვალისწინებულ აღსრულებას. იმავე განცხადების პასუხად მოსარჩელეს აცნობეს, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ეკუთნოდა ერთდროული დახმარების სახით 10 თვის ხელფასი და #4 საპრობილის საფინანსო სამსახური შეეცდებოდა გამოენახა რეზერვის სახით სახსრები (ვაკანსიების

ხარჯზე) 2006 წლის ბოლოსთვის განმცხადებლის კომპენსაციის დასაფარავად, თუმცა მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზუგდიდის #4 საპრობილისათვის კომპენსაციის - 10 თვის ხელფასის დავალიანების ანაზღაურების დაკისრება 2863 ლარის ოდენობით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 თებერვლის განჩინებით მოცემულ საქმეში მოპასუხედ, ნაცვლად ზუგდიდის #4 საპრობილისა, ჩაბმულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და საქმე არსებითად განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით ფ. ჭ-უას სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს დაეკისრა ფ. ჭ-უას სასარგებლოდ 2863 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე. ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღძრულიყო ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ხოლო ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სარჩელი დასაშვებია იყო, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფ. ჭ-უა პირადი პატაკის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 23 მარტის #693 პ/შ ბრძანებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. 2006 წლის 24 მაისს ფ. ჭ-უამ, როგორც ყოფილმა თანამშრომელმა, პატაკით მიმართა იმავე დეპარტამენტის თავმჯდომარეს სასჯელაღსრულების სისტემიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით დათხოვნის თაობაზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2006 წლის 25 მაისის #1440 პ/შ ბრძანებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #4 საპრობილის სარევიმო განყოფილების ყოფილი უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი ფ. ჭ-უა 2006 წლის 15 მარტიდან დათხოვნილ იქნა სასჯელაღსრულების ორგანოებიდან, შეიარაღებული ძალების თადარიგში, «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების 39-ე მუხლის «ზ» პუნქტის, 43-ე მუხლისა და 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 მარტის #2008 ბრძანების თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 25 მაისის #1440 პ/შ ბრძანება ფ. ჭ-უას სასჯელაღსრულების ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ ცნობილ იქნა არაა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის წელთა ნამსახურობა შეადგენდა 32 წელს, 7 თვესა და 28 დღეს და მას გათავისუფლების შემდეგ დაენიშნა პენსია წელთა ნამსახურობის მიხედვით.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ზუგდიდის #4 საპრობილის დერექტორის - გიორგი ვეკუას 2006 წლის 15 დეკემბრის #10/35/4-6914 ცნობაზე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მოსარჩელეს ეკუთვნოდა ერთდროული დახმარების სახით 10 თვის ხელფასი და იმავე საპრობილის საფინანსო სამსახური შეეცდებოდა, გამოენახა რეზერვის სახით სახსრები 2006 წლის ბოლოსათვის, მოსარჩელის კომპენსაციის დასაფარავად.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება იყო ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ მოცემული ქმედება განხორციელდებოდა, რაც შეიძლება გამხდარიყო დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე გათავისუფლდა სამსახურიდან პირადი განცხადებით, რაც «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების 39-ე მუხლის «ზ» პუნქტით სასჯელაღსრულების ორგანოებიდან უმცროს, უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის პირების დათხოვნის ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი იყო.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმოდგენილის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დათხოვნა და გათავისუფლება სხვადასხვა სამართლებრივი დატვირთვით გამოიყენებოდა. სასა-



მართლმადიდებელი ადინიზა, რომ მოსარჩელე ფ. ჭ-უა იმყოფებოდა რა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 95-ე მუხლი ითვალისწინებდა სამსახურიდან გათავისუფლებას საკუთარი ინიციატივით. ზემოაღნიშნული ბრძანებულების მე-6 თავი განსაზღვრავდა სასჯელაღსრულების ორგანოებში სამსახურის შეწყვეტის საფუძვლებს. იმავე ბრძანებულების 34-ე, 36-38-ე, მე-40 და სხვა მუხლებით გათვალისწინებული იყო მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები. ტერმინები - «გათავისუფლება» და «დათხოვნა» იდენტური შინაარსის ცნებები იყო (იხევე, როგორც კანონმდებელი ანალოგიური დატვირთვით იყენებდა გათავისუფლებისა და დათხოვნის ტერმინებს «პროკურატურის შესახებ» ორგანული კანონის 34-ე მუხლსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში).

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ზემოაღნიშნული ბრძანებულების 34-ე მუხლის პირველ პუნქტში გამოყენებული იყო ტერმინი «სამსახურიდან გათავისუფლება», ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტი ტერმინ «გათავისუფლებას» აიგივებდა ტერმინთან «დათხოვნა». ამდენად, «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების 44-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილი იყო პენსიის მიღების უფლებით, ეძლეოდა ერთდროული დახმარების სახით 10 თვის ხელფასი, ხოლო პენსიის გარეშე დათხოვნისას (1 წელზე ნაკლები მუშაობის ან უარყოფითი მოტივით დათხოვნის შემთხვევის გარდა) ეძლეოდა გამოსასვლელი დახმარება ბოლო 5 თვის ხელფასის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ფ. ჭ-უას მოთხოვნა ერთდროული დახმარების სახით 10 თვის ხელფასის - 2863 ლარის ანაზღაურების თაობაზე, საფუძვლიანი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება იყო კანონიერი და შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ პატაკით, რომლითაც ფ. ჭ-უამ 2006 წლის 15 მარტს მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, მოითხოვა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება საკუთარი სურვილით. იმავე პატაკის საფუძველზე იგი «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 95-ე მუხლით გათავისუფლდა 2006 წლის 23 მარტის #693 პ/შ ბრძანებით, რომელიც შეეძლო გაესაჩივრებინა ამ ბრძანების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში, მაგრამ ფ. ჭ-უას აღნიშნული ბრძანება არ გაუსაჩივრებია.

კასატორის განმარტებით, მოსარჩელემ სპეციალურად არ მიუთითა პენსიაზე გასვლა ზემოხსენებულ პატაკში, რადგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით დათხოვნა მას ხელს შეუშლიდა სხვაგან მუშაობის დაწყებაში. 2006 წლის 24 მაისს, უკვე გათავისუფლებულმა ფ. ჭ-უამ მეორედ მიმართა განცხადებით იმავე დეპარტამენტის თავმჯდომარეს სასჯელაღსრულების სისტემიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით დათხოვნის თაობაზე, რაზედაც 2006 წლის 25 მაისს შეცდომით გამოიცა #1440 პ/შ

ბრძანება ფ. ჭ-უას სამხედრო ძალების თადარიგში დათხოვნის შესახებ. აღნიშნული ბრძანება არ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად იქნა ცნობილი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2007 წლის 13 მარტის #2008 ბრძანებით.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ მტკიცებულებად მიიჩნია იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2007 წლის 13 მარტის #2008 ბრძანებით არ არა აქტად ცნობილი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2006 წლის 25 მაისის #1440 კ/შ ბრძანება.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ მოსარჩელის გათავისუფლება სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე მიიჩნია «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების 39-ე მუხლის «ზ» ქვეპუნქტით სასჯელაღსრულების ორგანოებიდან უმცროს, უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის პირების დათხოვნის ერთ-ერთი სამართლებრივ საფუძველად.

კასატორი სადავოდ მიიჩნევს სწორედ იმას, რომ ფ. ჭ-უა არ არის აღნიშნული ბრძანებულებით დათხოვნილი. გარდა არ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ცნობილი 2006 წლის 25 მაისის #1440 კ/შ ბრძანებისა, საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადგენდა მოსარჩელის დათხოვნას აღნიშნული ბრძანებულების 39-ე მუხლის «ზ» ქვეპუნქტით.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს რა ზუგდიდის #4 საპრობილის დირექტორის - გიორგი ვეკუას 2006 წლის 15 დეკემბრის #10/35/4-6914 წერილზე, განმარტავს, რომ სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, სასჯელაღსრულების ორგანოს მხრიდან ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას, რაც დაინტერესებული მხარისათვის გახდა კანონიერი ნდობის საფუძველი. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ პასუხს საფუძველად დაედო შემდგომში არ არა აქტად ცნობილი ბრძანება და ასეთ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ ჰქონდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 იანვრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 4 იანვრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 28 თებერვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინებით იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2008 წლის 17 აპრილს, 11.00 საათზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შემოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზუგდიდის #4 საპრობილის სარეჟიმო განყოფილების ყოფილი უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი ფ. ჭ-უა პირადი პატაკის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 23 მარტის #693 კ/შ ბრძანებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან 2006 წლის 15 მარტიდან. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა 2006 წლის 13 ოქტომბრის წერილით ფ. ჭ-უას აცნობა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილი იყო პენსიის მიღების უფლებით, ერთდროული დახმარების სახით ეძლეოდა 10 თვის ხელფასი. ფ. ჭ-უამ განცხადებებით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესა და ამავე დეპარტამენტის ზუგდიდის #4 საპრობილის დირექტორს და მოითხოვა კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის ანაზღაურება 10 თვის ხელფასის ოდენობით. 2006 წლის 15 დეკემბერს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზუგდიდის #4 საპრობილის დირექტორმა ფ. ჭ-უას აცნობა, რომ მას ეკუთვნოდა ერთდროული დახმარების სახით 10 თვის ხელფასი და იმავე საპრობილის საფინანსო სამსახური შეეცდებოდა გამოენახა რეზერვის სახით სახსრები (ვაკანსიების ხარჯზე) 2006 წლის ბოლოსთვის განმცხადებლის კომპენსაციის დასაფარავად. ხელფასის შესახებ ცნობის მიხედვით, ფ. ჭ-უას 10 თვის ხელფასის ოდენობა შეადგენდა 2863 ლარს. იუსტიციის

სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 მარტის #2008 ბრძანებით არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად იქნა ცნობილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 25 მაისის #1440 პ/შ ბრძანება ფ. ჭ-უას სასჯელაღსრულების ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2006 წლის 25 მაისის #1440 პ/შ ბრძანებით, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #4 საპრობოლის სარეჟიმო განყოფილების ყოფილი უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი ფ. ჭ-უა პირადი პატივის საფუძველზე, 2006 წლის 15 მარტიდან დათხოვნილ იქნა სასჯელაღსრულების ორგანოებიდან, შეიარაღებული ძალების თადარიგში, «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების 39-ე მუხლის «ზ» პუნქტის, 43-ე მუხლისა და 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების 34-ე მუხლზე (სამსახურიდან გათავისუფლება), რომლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურე სამსახურიდან თავისუფლდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი შეეხება მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნას. ხსენებული ბრძანებულების 39-ე მუხლის (ოფიცერთა დათხოვნა თადარიგში) «ა» ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ უმცროს, უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის პირები სასჯელაღსრულების ორგანოებიდან შეიძლება დაითხოვონ სამხედრო ძალების თადარიგში ასაკის გამო - პირები, რომელთაც მიაღწიეს დადგენილ ასაკს, ხოლო ამავე მუხლის «ზ» ქვეპუნქტი - მათი დათხოვნის შესაძლებლობას მათივე პირადი განცხადებით.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ კასატორი სადავოდ ხდის იმას, რომ ფ. ჭ-უა არ არის «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულებით დათხოვნილი და გარდა არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2006 წლის 25 მაისის #1440 პ/შ ბრძანებისა, საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადგენდა მოსარჩელის დათხოვნას აღნიშნული ბრძანებულების 39-ე მუხლის «ზ» ქვეპუნქტით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოპასუხის მიერ ფ. ჭ-უასთან მიმართებაში ორივე შემთხვევაში გამოცემული ბრძანებების სამართლებრივ საფუძველად მითითებულია ფ. ჭ-უას პირადი პატივები, ანუ პირადი განცხადებები და ამჟამად უკვე არარად ცნობილი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2006 წლის 25 მაისის #1440 პ/შ ბრძანება. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქალაქო სასამართლომ, მართალია, დადგენილად მიიჩნია, რომ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 მარტის #2008 ბრძანების თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 25 მაისის #1440 პ/შ ბრძანება ფ. ჭ-უას სასჯელაღსრულების ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ ცნობილ იქნა არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, მაგრამ საქალაქო სასამართლოს არ შეუფასებია აღნიშნული გარემოება, მით უმეტეს, რომ მოცემული საქმის მასალებით არ დასტურდება ფ. ჭ-უას მიერ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 მარტის #2008 ბრძანების გასაჩივრება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების 44-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებდა დათხოვნილთა შეღავათებას და ანაზღაურებას (აღნიშნული მუხლი მოქმედებდა მოცემული დავის წარმოშობის პერიოდში), რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოსამსახურეს, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილი იყო პენსიის მიღების უფლებით, ეძლეოდა ერთდროული დახმარების სახით უკანასკნელი 10 თვის ხელფასი, ხოლო პენსიის გარეშე დათხოვნისას (უარყოფითი მოტივით დათხოვნის შემთხვევის გარდა) - გამოსასვლელი დახმარება უკანასკნელი 5 თვის ხელფასის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის #706 ბრძანებულების 34-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მოცემულ ტერმინებს შორის - «გათავისუფლება» და «დათხოვნა», რაიმე განსხვავება არ არსებობს. პრინციპული განსხვავება ამ ბრძანებულების 34-ე და 39-ე მუხლებს შორის მდგომარეობს არა «გათავისუფლებისა» და «დათხოვნის» ტერმინებში, არამედ «სამსახურიდან გათავისუფლებასა» და «თადარიგში დათხოვნაში», ამასთან, საგულისხმოა, რომ იმავე ბრძანებულების 44-ე მუხლში არ იყო ნახსენები «თადარიგში დათხოვნა». მასში არ იყო მითითებული ტერმინი - «თადარიგში», არამედ ამ მუხლში ზოგადად იყო აღნიშნული სამსახურიდან დათხოვნა. საყურადღებოა ისიც, რომ ხსენებული მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული იყო გამოსასვლელი დახმარების მიღების ორი შემთხვევა, რომელთაგან ერთი დაკავშირებული იყო პენსიის მიღების უფლებით სამსახურიდან დათხოვნასთან,

ხოლო მეორე შემთხვევა - პენსიის გარეშე დათხოვნასთან (უარყოფითი მოტივით დათხოვნის შემთხვევის გარდა), რომლისთვისაც რეგლამენტირებული იყო ერთდროული დახმარების სხვადასხვა ოდენობა, კერძოდ, პირველი მათგანისათვის - უკანასკნელი 10 თვის ხელფასი, ხოლო მეორისათვის - უკანასკნელი 5 თვის ხელფასი. ამდენად, თუ პირი სამსახურიდან დათხოვნილ იქნა კანონით დადგენილი წესით, პირადი განცხადებით და არა ასაკის გამო პენსიასთან დაკავშირებით, მას შეიძლება მისცემოდა ერთდროული დახმარების სახით მხოლოდ უკანასკნელი 5 თვის ხელფასი. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ამ საკითხებზე და არ შეუფასებია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, მოსარჩელე პირადი განცხადებით იქნა გათავისუფლებული (დათხოვნილი), თუ ასაკის გამო.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად კი გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვილოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **4. სამსახურში დატოვების უპირატესი უფლება**

##### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#ბს-38-38(კ-08)

8 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,  
მ. ცისკაძე

**სარჩელის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება, მორალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 2 თებერვალს გ. კ-მემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შეიარაღებული ძალების რიგებში მსახურობდა 1990 წლის 1 აგვისტოდან, ჰქონდა უმაღლესი სამხედრო განათლება, უფროსი ოფიცრის სამხედრო წოდება «მაიორი» და შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურის 15 წლის სტაჟი, მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში, იყო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. შეიარაღებული ძალების რიგებში მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, ქვედანაყოფის რიგითი ოფიცრიდან სწრაფი რეაგირების ძალების შტაბის უფროსი ინსპექტორის თანამდებობამდე (საშტატო კატეგორია «ვიცე-პოლკოვნიკი»).

მოსარჩელემ განმარტა, რომ სამხედრო რიგებში სამსახურის პერიოდში, საბრძოლო მომზადებისა და სამხედრო პროფესიული დონის ასამაღლებლად, როგორც ეროვნულ, ისე - უცხოეთის სამხედრო მოსამსახურეთა მომზადების ცენტრებში გაიარა ტრენინგისა და სწავლების 13 კურსი. მის მომზადებაზე, სწავლებაზე და შენახვაზე გაწეულმა საერთო ხარჯმა 15 წლის განმავლობაში, დაახლოებით, 100000 აშშ დოლარი შეადგინა.

მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა, რომ მან გაიარა სწავლების შემდეგი კურსები: სანკტ-პეტერბურგის სამხედრო-სატრანსპორტო ინსტიტუტი - 1990-1994 წლები; საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში «წითელი ჯვრის» საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2002 წლის მარტში ჩატარებული ტრენინგი, სამხედრო კონფლიქტების ინსტრუქტორის მომზადების პროგრამით; ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით, 2002 წლის ივნის-აგვისტოში ჩატარებული «საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა»; საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის გერმანული ენის შემსწავლელი კურსები; 2002 წლის ოქტომბერი - 2003 წლის მაისი, ნატო-ს ევროპის სამხრეთ-ცენტრალური მიმართულების გაერთიანებული სარდლობის მიერ სწავლებისა და ოპერაციების ოპერატიული დაგეგმვის სემინარი; 2003 წლის თებერვალი - დიდი ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლობის დახმარებითა და მონაწილეობით სამშვიდობო ოპერაციების ინსტრუქტორთა მომზადების კურსი - 2004 წლის მარტი-აპრილი, საქართველო-აშშ-დიდი ბრიტანეთის ერთობლივი სამშვიდობო ოპერაციების საწვრთნელი კურსი; I-II ეტაპი - 2004 წლის მაისი-ივლისი, აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს ტეხასის ქ. ლაკლანდის საჰაერო ბაზასთან არსებული თავდაცვის ენების ინსტიტუტის, ინგლისური ენების ცენტრის, ამერიკულ-ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი; 2004 წლის 14 ივლისი - 2005 წლის ივნისი, აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს საზღვაო-სასაპირანტურო სკოლის სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების ცენტრი, კალიფორნიის შტატი, ქ. მონტერეი; სააღსრულებლო სემინარი თავდაცვაში გადაწყვეტილების მისაღებად - 2005 წლის ივნისი, დაზვერვისა და დემოკრატიის სემინარი, 2005 წლის ივნისი.

მოსარჩელემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ «საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის» პროგრამის უფროსის, აშშ-ს სახმელეთო ძალების ვიცე-პოლკოვნიკ რ. ვ-ერის მიერ 2002 წლის 2 აგვისტოს გაცემული მოწმობის თანახმად, მოსარჩელემ წარმატებით დაასრულა «საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის» პროგრამით გათვალისწინებული და აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს მე-10 სპეციალური დანიშნულების (საჰაერო-სადესანტო) ძალების ჯგუფის მიერ განხორციელებული სწავლების კურსი, რის შედეგადაც მიენიჭა «საქართველოს შეიარაღებული ძალების მომავლის» სტატუსი.

მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად მისი ასეთი კვალიფიკაციისა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანების თანახმად, 14 დეკემბრიდან უპირობოდ დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან. მოსარჩელემ დათხოვნის ბრძანება მიიჩნია უკანონოდ და განმარტა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შტატების შემცირების მოტივით, მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ არ გააფრთხილეს; «სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტის შესაბამისად არ გაუვლია სამხედრო-სამედიცინო შემოწმება, სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად, რის გამოც გაურკვეველი იყო, რომელი თანრიგის რეზერვში ჩაირიცხა იგი; «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის «უ» და «ფ» ქვეპუნქტების თანახმად, შტატების შემცირებისას, სამსახურში დატოვების უპირატესი უფლება გააჩნდა, რაც კადრების ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა გათვალისწინებული; «სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-9 თავის მე-4 პუნქტის მიხედვით, დათხოვნის საკითხი არ შეუთანხმებიათ უშუალო ხელმძღვანელობასთან; თანაბარი პირობების შემთხვევაში სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა გააჩნდა, რადგან კმაყოფაზე ჰყავდა უმუშევარი მეუღლე, სამი არასრულწლოვანი შვილი, მე-2 ჯგუფის ინვალიდი, შრომისუუნარო დედა - პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის ქვრივი; ოჯახში დამოუკიდებელი შემოსავლების მქონე სხვა პირი არ იყო; მოსარჩელეს, სამსახურში

დარჩენილთაგან შეიარაღებულ ძალებში სამსახურის უფრო ხანგრძლივი სტაჟი გააჩნდა; საბრძოლო მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავლილი ჰქონდა სპეციალური მომზადების პროგრამით გათვალისწინებული კურსები, როგორც ეროვნულ, ისე - უცხოეთის ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეთა მომზადების ცენტრებში; ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2005 წლის 10 ნოემბრის #1/2-4405 წერილით წარდგენილი იყო ჯ-3 ოპერატიულ დეპარტამენტში, ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-9 თავის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოფიცერი სამხედრო სამსახურიდან შეიძლება დაეთხოვას «სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» და «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონებით დადგენილ შემთხვევებში, მხოლოდ ხელკვეითობის წესით. მოსარჩელის განმარტებით, ანალოგიურ ქვეყის წესს განამტკიცებდა «საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში საკადრო ორგანოების მუშაობის შესახებ» საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1995 წლის 25 მარტის #07 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, რომლის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ოფიცერთა დათხოვნისას საკადრო ორგანო ვალდებული იყო გაეგო შესაბამისი შტაბების, ჯარების სახეობათა სამსახურის უფროსების აზრი დათხოვნის საკითხებზე, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტი კადრების მუშაკებს ავალბდა, მოემზადებინათ საჭირო მასალები მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ, ოფიცერთან სამხედრო ნაწილის მეთაურის საუბრების ჩასატარებლად და მონაწილეობა მიეღოთ მათში.

მოსარჩელის განმარტებით, კადრების ხელმძღვანელობამ სამსახურიდან დათხოვნის უკანონო გადაწყვეტილება მიიღო შტაბების შემცირების მოტივით, მაშინ, როდესაც, ის შტატი, სადაც მოსარჩელის დანიშვნის საკითხი განიხილებოდა, არ გაუქმებულა. #3264 ბრძანებას საფუძვლად დაედო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 18 მაისის #1/23 არარსებული ბრძანება.

მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. მოსარჩელის განმარტებით, დათხოვნის ბრძანება არა მარტო კანონს ეწინააღმდეგებოდა, არამედ არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადებისა და გამოცემისათვის საჭირო ნორმები, ამასთან, ლახავდა მოსარჩელის კანონიერ უფლებებს და არ აძლევდა მისი განათლებისა და მრავალწლიანი პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, სამშობლოს დაცვის სამსახურში რეალიზების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანების ბათილად ცნობა; «ვიცე-პოლკოვნიკის» საშტატო კატეგორიის თანამდებობაზე 2006 წლის 14 დეკემბრიდან დასანიშნად, ჯ-3 ოპერატიულ დეპარტამენტში შექრებული წარდგინებისათვის კანონიერი მსვლელობის მიცემა; 2005 წლის 14 დეკემბრიდან იძულებით გაცდენილი პერიოდის ხელფასის შეუზღუდავად და საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანების ბათილად ცნობა, კანონიერი მსვლელობის მიცემა გენერალური შტაბის ჯ-3 ოპერატიულ დეპარტამენტში შექრებული წარდგინებისათვის, «ვიცე-პოლკოვნიკის» საშტატო კატეგორიის თანამდებობაზე 2006 წლის 14 დეკემბრიდან დასანიშნად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის იძულებით გაცდენილი პერიოდის ხელფასის 2005 წლის 14 დეკემბრიდან შეუზღუდავად ანაზღაურების დაკისრება, მოპასუხისათვის მორალური ზიანის - 20000 ლარის, საადვოკატო მომსახურების ხარჯების - 500 ლარისა და ადმინისტრაციული დავის პროცესში გაწეული ხარჯების - 50 ლარის ანაზღაურების დაკისრება; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანების ქსეროასლის გაყალბების ფაქტის შემოწმება და შესაბამისი ზომების გატარება; 2006 წლის 3 ივლისიდან სამხედრო წოდების - «ვიცე-პოლკოვნიკის» მინიჭება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით გ. კ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის #1/473 ბრძანებით სწრაფი რეაგირების ძალების ჯ-3 ოპერატიული სამმართველოს უფროსი ინსპექტორი გ. კ-მე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მივიღებულ იქნა აშშ-ში ინგლისური ენის კურსზე, 2004 წლის 14 ივლისიდან 2005 წლის 14 ივლისამდე, ხოლო 2005 წლის 14 ივლისიდან 14 აგვისტომდე - ბალტიის თავდაცვის კოლეჯში, თანამდებობრივი ფულადი სარგოს შენარჩუნებით.

საქალაქო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 2 დეკემბრის #363 ბრძანებით საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით და ჯარების მართვის სტრუქტურების დახვეწის მიზნით, 2004 წლის 2 დეკემბრიდან გაუქმდა სწრაფი რეაგირების ძალების შტაბი, შტატი #8/526-01, 24 სამხედრო მოსამსახურის რიცხოვნობით, სამხედრო ნაწილი #07747, დისლოკაციის ადგილი - ქ. თბილისი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 11 აგვისტოს #107 3/7 ბრძანებით საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელე, რომელიც 2004 წლის ივლისიდან იმყოფებოდა აშშ-ში ინგლისური ენის კურსზე, სასწავლო მივლინებიდან დაბრუნებულად ჩაითვალა 2005 წლის 28 ივნისიდან და მიეცა კუთვნილი შვებულება - 45 დღის ოდენობით, 2005 წლის 29 ივნისიდან 13 აგვისტომდე და აყვანილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის №1 შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგინდად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი სწრაფი რეაგირების ძალების №3 ოპერატიული სამმართველოს უფროსი ინსპექტორი, მაიორი გ. კ-მე საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2005 წლის დეკემბრიდან გათავისუფლდა (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვით და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით) «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის (რეორგანიზაციითა და შტატების შემცირებით) თანახმად.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე გ. კ-მის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანების შესაბამისად იგი კანონსაწინააღმდეგოდ იქნა დათხოვნილი, კერძოდ, არ იქნა გაფრთხილებული შტატების შემცირებით მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. საქალაქო სასამართლომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სამხედრო მოსამსახურეებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგინილი. ბრძანების კანონიერებაზე სასამართლომ იმსჯელა, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე მიღებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის კუთხით.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ. კ-მე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის #107 3/შ ბრძანების შესაბამისად, 2005 წლის 13 აგვისტოდან აყვანილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის №1 შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» მე-9 თავის მე-6 პუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ სამხედრო მოსამსახურის თანამდებობიდან გადაყენება კადრების განკარგულებაში გადაყვანით არ უნდა ყოფილიყო 4 თვეზე მეტი. ამასთან, მითითებული ნორმა ვრცელდებოდა რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით სამსახურიდან დასათხოვნი ოფიცრებზე. სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ პირის თანამდებობაზე დანიშვნის ვალდებულებას. აღნიშნულს არ ითვალისწინებდა ასევე «სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი, შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ, ასევე, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხეს დაევალებოდა მოსარჩელის №3 ოპერატიულ დეპარტამენტში შეჭერებული წარდგინების განხილვა და ვიცე-პოლკოვნიკის საშტატო კატეგორიის თანამდებობაზე დანიშვნა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საჯარო მოსამსახურის, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურის ამა თუ იმ თანამდებობაზე დანიშვნა წარმოადგენდა ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულიად დაუსაბუთებელი იყო მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხისათვის 20000 ლარის, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გაღებული ხარჯის - 50 ლარისა და საადვოკატო მომსახურების სახით - 500 ლარის ანაზღაურების შესახებ, რის გამოც არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. კ-მის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მას საერთოდ არ გაუხდია სადავოდ მისი კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის #107 3/შ ბრძანება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის #1486 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანების მე-15 პუნქტში, რომლის მიხედვით, გ. კ-მის თანამდებობიდან გათავისუფლება განხორციელდა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად და სადავო ბრძანების საფუძველად მითითებული იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 11 აგვისტოს #107 3/შ ბრძანებაზე. რაც, ასევე, მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება შეიცვალა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. კ-ძის სარჩელი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანების ბათილად ცნობისა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე და სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ ნაწილში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც გ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც გ. კ-ძე დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან და მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა წინამდებარე გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა მოსარჩელისათვის იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2005 წლის 19 დეკემბრიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე; გ. კ-ძის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში საქალაქო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც მოხელე ერთი თვით ადრე უნდა გაფრთხილებულიყო დაწესებულებაში შტატების შემცირების გამო მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამავე კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში კი, სამხედრო სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სადავო სამართალურითიერობის დროს მოქმედი «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც კრძალავდა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას, თუ იგი თანახმა იყო სხვა თანამდებობაზე დანიშვნაზე, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მეორე პუნქტის მოქმედება ვრცელდებოდა საჯარო მოხელეებზე, ხოლო მოცემულ შემთხვევაში გ. კ-ძე იყო არა შტატში მყოფი თანამშრომელი - საჯარო მოხელე, არამედ კადრების განკარგულებაში მყოფი შტატგარეშე სამხედრო მოსამსახურე (კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ ბრძანება აპელანტს არ გაუსაჩივრებია). ასეთ პირობებში კი, ადმინისტრაციას არ გააჩნდა შტატგარეშე მოსამსახურისათვის სხვა, ალტერნატიული თანამდებობის შეთავაზების ვალდებულება, რამდენადაც ამგვარი რამ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით შტატგარეშე მოსამსახურეთათვის დადგენილი არ იყო (ამგვარად განმარტა აღნიშნული კანონი საკასაციო სასამართლომ ანალოგიურ საქმესთან დაკავშირებით - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის #ბს-932-891(კ-06) გადაწყვეტილება).

სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება სადავო სამართალურითიერობის დროს მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის გამოყენების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეული კატეგორიის მუშაკებისათვის სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლებას შტატების შემცირების შემთხვევაში. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონი სპეციალურად აწესრიგებდა სამხედრო მოსამსახურეების სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლებსა და წესს, შესაბამისად, არ არსებობდა სასამართლოს მიერ აღნიშნულ საკითხზე საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის გამოყენების საფუძველი. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის «გ» ქვეპუნქტი იმპერატიულად მიუთითებდა რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებისას სამხედრო მოსამსახურეების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ (ადმინისტრაციას რომ არ გააჩნდა უკვე ძალადაკარგული საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის გამოყენების ვალდებულება, გამომდინარეობდა საკასაციო სასამართლოს პრაქტიკიდანაც - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის #ბს-146-157 (კ-07) განჩინება).

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სრულიად უსაფუძვლო იყო გ. კ-ძის მოთხოვნა მორალური ზიანის სახით მოპასუხისთვის 20000 ლარის დაკისრების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული მოთხოვნის არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდა. რაც შეეხებოდა სასარჩელო მოთხოვნას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გაწეული ხარჯების - 50 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ, აღნიშნული მოთხოვნაც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია უსაფუძვლოდ, რადგან 2007 წლის 12 სექტემბრის საოქმო განჩინების მიუხედავად, გ. კ-ძის მიერ არ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული ხარჯების გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებები დედნების სახით.



სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. კ-ძის სარჩელი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანების ბათილად ცნობისა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ, ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო და ხსენებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქალაქო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეული კატეგორიის მუშაკებისათვის სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლებას შტატების შემცირების შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში, სპეციალურ კანონს წარმოადგენდა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონი, ასევე, «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონიც, რომლის მე-15 მუხლის «ფ» პუნქტის (სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროისათვის არსებული რედაქციით) მიხედვით, სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლება გააჩნდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე პირებს. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ გ. კ-ძე 1993 წლის 5 ივლისიდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის «ფ» პუნქტი (სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროისთვის არსებული რედაქციით), რომლის მიხედვითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება და გაერკვია, რატომ არ იყო შესაძლებელი, გ. კ-ძე, რომელიც კადრების განკარგულებაში იმყოფებოდა, დარჩენილიყო სამხედრო სამსახურში, თუნდაც სხვა სამხედრო ნაწილში გადაყვანით, როდესაც კანონის თანახმად, მას ეკუთვნოდა უპირატესი დარჩენის უფლება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, თუკი საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ჩაატარებდა ადმინისტრაციულ წარმოებას და ყოველმხრივ და სრულად გამოიკვლევდა საქმის გარემოებებს, შესაძლო იყო, მას არ მიეღო 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანება გ. კ-ძის სამხედრო ძალებიდან დათხოვნის შესახებ. საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს წარმოადგენდა ის გარემოებაც, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდებოდა და რეალურად მოხდა არა შტატების შემცირება, არამედ პირიქით, მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის მოთხოვნები, ვინაიდან ხსენებული ბრძანების გამოცემისას, ადმინისტრაციულ ორგანოს სათანადოდ არ გამოუკვლევია საქმის ფაქტობრივი გარემოებანი (საერთოდ არ ჩაუტარებია ადმინისტრაციული წარმოება), რის გამოც ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანება და მოპასუხეს უნდა დავალებოდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წინამდებარე გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა სამსახურიდან დათხოვნის დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე იძულებითი განაცდური, ვინაიდან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, ხოლო მოსარჩელის გათავისუფლების ბრძანება ბათილად იყო ცნობილი და ხელფასის გაუყვებლობის საფუძველი არ არსებობდა. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ გ. კ-ძე 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანების გაუქმებამდე იმყოფებოდა კადრების განკარგულებაში, სადაც ხელფასი გაიცემოდა მხოლოდ ორი თვის განმავლობაში, მას უნდა ანაზღაურებოდა იძულებითი განაცდური ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, რადგან თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან კანონმდებლობა დაცული იქნებოდა და ჩატარდებოდა ადმინისტრაციული წარმოება, შესაძლებელი იყო გ. კ-ძე დარჩენილიყო სამხედრო სამსახურში, მით უფრო, რომ «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის «ფ» პუნქტის შესაბამისად, მას ეკუთვნოდა სამხედრო სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებანი და მტკიცებულებანი.

კასატორი დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 2 დეკემბრის #363 ბრძანებით შეიარაღებულ ძალებში განხორციელდა რეორგანიზაცია და შტატების შემცირება, გაუქმდა სწრაფი რეაგირების ძალების შტაბი, შტატი #8/526-01, 24 სამხედრო მოსამსახურის რიცხოვნობით (მათ შორის, გ. კ-ძის შტატიც); 2004 წლის 2 დეკემბრის მდგომარეობით, გ. კ-ძე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის #1/473 ბრძანებით მივლინებული იყო აშშ-ში ინგლისური ენის კურსზე, 2005 წლის 14 ივლისამდე; გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 11 აგვისტოს #107 პ/შ ბრძანებით გ. კ-ძე 2005 წლის 28 ივნისიდან ჩაითვალა მივლინებიდან დაბრუნებულად, მიეცა 45 დღე კუთვნილი შვებულება 29 ივნისიდან 13 აგვისტომდე და იმის გამო, რომ მისი შტატი გაუქმებული იყო, 13 აგვისტოდან აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში; გ. კ-ძეს გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 11 აგვისტოს #107 პ/შ ბრძანება მისი კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ არ გაუსაჩივრებია. კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი გ. კ-ძე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალებიდან, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო. გ. კ-ძემ სასამართლოს მიმართა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების საფუძველზე და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაკისრებოდა ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარება, ანუ მან კანონიერად მიიჩნია მისი სამსახურიდან შტატებისა და რეორგანიზაციით დათხოვნასთან დაკავშირებით არსებული ბრძანება.

კასატორი მიიჩნევს, რომ მის მიერ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების არსებითად გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს მიერ მიღებული უნდა ყოფილიყო სხვაგვარი გადაწყვეტილება.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, იმაზე, რომ თავად ის გარემოება, რომ მოსარჩელე იყო ომის მონაწილე, მსჯელობის საგანი გახდა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში, მას შემდეგ, რაც სააპელაციო სასამართლოს წარედგინა მოსარჩელის შესაბამისი მოწმობა, რაც პროცესუალურ დარღვევას წარმოადგენდა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანების გაუქმების საფუძველი სააპელაციო სასამართლოსათვის გახდა ის, რომ გ. კ-ძე მონაწილეობას დებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, ხოლო «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის «ფ» პუნქტის (სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროისათვის არსებული რედაქციით) მიხედვით, მას სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლება გააჩნდა. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ამგვარი მოტივაცია დაუსაბუთებელი და უკანონოა, შემდეგ გარემოებათა გამო:

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტი ითვალისწინებს რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებით სამხედრო მოსამსახურის დათხოვნას. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 2 დეკემბრის #363 ბრძანებით შეიარაღებულ ძალებში განხორციელდა რეორგანიზაცია და შტატების შემცირება, გაუქმებულ იქნა, როგორც გ. კ-ძის კონკრეტული თანამდებობა, ისე - სწრაფი რეაგირების ძალების შტაბის მთლიანი სამსახური. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» მე-9 თავის მე-6 პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან დასათხოვ ოფიცერს ზღვრული ასაკის, ავადმყოფობის გამო, რეორგანიზაციასთან და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით დათხოვნის წინ ეძლევა კუთვნილი შვებულება, თანამდებობიდან გადაყენება კადრების განკარგულებაში გადაყვანით არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს. როგორც დადგენილია, გ. კ-ძე გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 11 აგვისტოს #107 პ/შ ბრძანებით იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში 13 აგვისტომდე, ხოლო 13 აგვისტოდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო იმყოფებოდა კადრების განკარგულებაში, საიდანაც მითითებული ნორმით განსაზღვრული ოთხთვიანი ვადის ამოწურვის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან, ანუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გ. კ-ძის დათხოვნა განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვით. რაც შეეხება უპირატესი დარჩენის უფლებას, კასატორი განმარტავს, რომ «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის «ფ» პუნქტი არ ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშნვის ვალდებულებას.

კასატორის აღნიშვნით, სასამართლომ არამართებულად მიიჩნია, რომ სამხედრო მოსამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანის შემდეგ ადმინისტრაცია კვლავ ვალდებული იყო, დაესაქმებინა იგი. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების შესაბამისად, კადრების განკარგულებაში აყვანა სამხედრო სამსახურის თავისებურებიდან გამომდინარე, იწვევდა მხოლოდ 2 თვის ფულადი სარგოს გაცემას, ხოლო დანარჩენი დროის განმავლობაში სამსახური არ იყო ვალდებული, გაეცა მასზე ხელფასი. ამდენად, კადრების განკარგულებაში აყვანის შემდეგ ადმინისტრაცია არ იყო ვალდებული, დაესაქმებინა მოსამსახურე და შესაბამისად, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადმინისტრაცია რაიმენაირად ვალდებული იყო, ემსჯელა მოსამსახურის სამსახურში დარჩენის უპირატესობაზე.

კასატორის განმარტებით, სამსახურში დარჩენის უპირატესობის ინსტიტუტის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეამცირებენ 10 შტატიდან 3 შტატს და 10 თანამდებობის პირიდან 1-ს უპირატესობა აქვს დანარჩენ 9-სთან შედარებით იმ თვალსაზრისით, რომ არ მოხვდეს გასათავისუფლებელ 3 შტატში. აღნიშნულ შემთხვევაში, შტატები გაუქმდა მთლიანად. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლი ითვალისწინებდა ომისა და სამხედრო ინვალიდებისათვის სამუშაოზე დარჩენის უპირატესობას და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ნორმა არ შეიძლება სამხედრო სამსახურზე გავრცელდეს, მაშინ არც «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის გამოყენებაა შესაძლებელი სამხედრო სამსახურთან მიმართებაში, ანუ სასამართლოს მსჯელობა ურთიერთსაწინააღმდეგოა და ნებისმიერ შემთხვევაში არ არის მართებული «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის გამოყენება.

კასატორი აღნიშნავს, რომ უკანონო და დაუსაბუთებელია ასევე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ. კ-ძის მიმართ განაცდურის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, ვინაიდან თავად გასაჩივრებული ბრძანების ბათილად გამოცხადებაა უკანონო. დადგენილია, რომ გ. კ-ძეს გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 11 აგვისტოს #107 პ/შ ბრძანება მისი კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ არ გაუსაჩივრებია, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანების გ. კ-ძის ნაწილში ბათილად ცნობის მიუხედავად, ძალაში დარჩა კადრების განკარგულებაში აყვანის ბრძანება, ანუ გ. კ-ძე დარჩა კადრების განკარგულებაში 2005 წლის 13 აგვისტოდან. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის #493 ბრძანებულების 32-ე მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს კადრების განკარგულებაში ყოფნის დროისათვის უნარჩუნდებათ ფულადი სარგო არა უმეტეს ორი თვისა, რაც გ. კ-ძეს უკვე მიღებული აქვს. გარდა ამისა, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მოსარჩელეს აღძრული ჰქონდა სარჩელი გამოსასვლელი დახმარების მიღებაზე და შესაბამისად, რა შედეგიც არ უნდა გამოიღოს მოცემულმა დავამ, სასამართლოს განაცდური ამ თანხითაც უნდა შეემცირებინა. იმ პირობებში, როდესაც სასამართლო აბათილებს დათხოვნის ბრძანებას, ნიშნავს, რომ პირი კვლავ კადრების განკარგულებაში რჩება და ამდენად, კადრების განკარგულებაში მისი ყოფნა თავისთავად გამორიცხავს რაიმე სახის ფულადი თანხების გაცემას, ანუ სასამართლო გადაწყვეტილება აქაც ურთიერთსაწინააღმდეგოა. ამდენად, კადრების განკარგულებაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში განაცდურის დაკისრება ყველა შემთხვევაში უკანონოა, ვინაიდან მოსარჩელეს ამ პერიოდისათვის კუთვნილი თანხა მიღებული აქვს. თავად განაცდურის დაკისრება ყველა შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-7 ნაწილიდან გამომდინარე, უკანონოა მაშინ, როდესაც აქტის გაბათილება ხდება სადავო საკითხის გადაწყვეტლად. სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილი და შესაბამისად, არასწორად გამოიყენა მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

კასატორი აღნიშნავს, რომ გათავისუფლების აქტი ბათილია, თუ შესაბამისი პირის გათავისუფლება არ შეიძლებოდა კანონმდებლობით დადგენილი არც ერთი საფუძვლით ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის მოთხოვნები, ანუ, თუ სასამართლო მართებულად მიიჩნევს «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის გამოყენებას, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რამდენად იქნა სამსახურის მიერ დარღვეული არსებითი ხასიათის პროცედურებიც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 25 იანვრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 13 მარტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 8 მაისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მაიორი გ. კ-ძე 1993 წლის 5 ივლისიდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში და სარგებლობდა «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრული შეღავათებით. გ. კ-ძემ გაიარა სწავლების შემდეგი კურსები: სანკტ-პეტერბურგის სამხედრო-სატრანსპორტო ინსტიტუტი - 1990-1994 წლები; საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში «წითელი ჯვრის» საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2002 წლის მარტში ჩატარებული ტრენინგი, სამხედრო კონფლიქტების ინსტრუქტორის მომზადების პროგრამით; ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით, 2002 წლის ივნის-აგვისტოში ჩატარებული «საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა»; საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის გერმანული ენის შემსწავლელი კურსები; 2004 წლის მარტი-აპრილი - დიდი ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლობის დახმარებითა და მონაწილეობით სამშვიდობო ოპერაციების ინსტრუქტორთა მომზადების კურსი; 2004 წლის მაისი, ივლისი - საქართველო-აშშ-დიდი ბრიტანეთის ერთობლივი სამშვიდობო ოპერაციების საწვრთნელი კურსი; აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს ტენასის ქ. ლაკლანდის საჰაერო ბაზასთან არსებული თავდაცვის ენების ინსტიტუტის, ინგლისური ენების ცენტრის, ამერიკულ-ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი; 2005 წლის ივნისი - აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს საზღვაო-სასაპირანტურო სკოლის სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების ცენტრი, კალიფორნიის შტატი, ქ. მონტერი. «საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის #1/473 ბრძანებით სწრაფი რეაგირების ძალების ჯ-3 ოპერატიული სამმართველოს უფროსი ინსპექტორი გ. კ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მივლინებულ იქნა აშშ-ში ინგლისური ენის კურსზე, 2004 წლის 14 ივლისიდან 2005 წლის 14 ივლისამდე, ხოლო 2005 წლის 14 ივლისიდან 14 აგვისტომდე - ბალტიის თავდაცვის კოლეჯში, თანამდებობრივი ფულადი სარგოს შენარჩუნებით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 2 დეკემბრის #363 ბრძანებით საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით და ჯარების მართვის სტრუქტურების დახვეწის მიზნით, 2004 წლის 2 დეკემბრიდან გაუქმდა სწრაფი რეაგირების ძალების შტაბი, შტატი #8/526-01, 24 სამხედრო მოსამსახურის რიცხოვნობით, სამხედრო ნაწილი 07747, დიბლოკაციის ადგილი - ქ. თბილისი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 11 აგვისტოს #1073/7 ბრძანებით გ. კ-ძე, რომელიც 2004 წლის ივლისიდან იმყოფებოდა აშშ-ში ინგლისური ენის კურსზე, სასწავლო მივლინებიდან დაბრუნებულად ჩაითვა 2005 წლის 28 ივნისიდან და მიეცა კუთვნილი შვებულება - 45 დღის ოდენობით, 2005 წლის 29 ივნისიდან 13 აგვისტომდე და აყვანილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი სწრაფი რეაგირების ძალების ჯ-3 ოპერატიული სამმართველოს უფროსი ინსპექტორი, მაიორი გ. კ-ძე საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2005 წლის 14 დეკემბრიდან გათავისუფლდა (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით) «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის (რეორგანიზაციით და შტატების შემცირებით) თანახმად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 18 მაისის #1/123 ბრძანებით სწრაფი რეაგირების ძალების ჯ-3 ოპერატიული სამმართველოს სამხედრო მოსამსახურე გ. კ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დაინიშნა ამავე სამმართველოში საერთო დაგეგმარების ჯგუფის ოფიცრად - უფროს ინსპექტორად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის «უ» და «ფ» ქვეპუნქტებზე (სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროისათვის მოქმედი რედაქცია), რომელთა მიხედვით, სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად, სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე (სამსახურში) უპირატესი დარჩენის უფლება გააჩნდათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე პირებს, ასევე, უფლება ჰქონდათ, დაუფლებოდნენ ახალ პროფესიას სახელმწიფოს ხარჯზე, აგრეთვე, უფლება ჰქონდათ სამუშაო ადგილის მიხედვით კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, კადრების მომზადებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემაში სწავლების მთელ პერიოდში, უკანასკნელ სამუშაო ადგილზე შრომის ანაზღაურების სატარიფო განაკვეთის 100 პროცენტის შენარჩუნებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ გ. კ-ძე არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლების მონაწილე და შესაბამისად, «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის «უ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბიექტი, მაგრამ საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გ. კ-ძეზე ვერ გავრცელდება აღნიშნული მუხლის «უ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად, სახელმწიფო

დაწესებულებებში მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე (სამსახურში) უპირატესი დარჩენის უფლების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რადგან არ არსებობდა ამ ნაწილით რეგლამენტირებული ნორმის გამოყენების, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 გასაჩივრებული ბრძანების იმ ნაწილში, რომლითაც გ. კ-მე დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან, ბათილად ცნობის, მოსარჩელისათვის იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლი ამავე კანონში 2005 წლის 23 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით 2006 წლის 1 იანვრიდან ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიღებისას იგი საერთოდ აღარ ითვალისწინებდა «უ» ქვეპუნქტს და შესაბამისად - იმ შედეგსაც, რომელიც მანამდე ამ ქვეპუნქტით იყო რეგლამენტირებული.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამსახურში დარჩენის უპირატესობის ინსტიტუტის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, შეამცირებენ 10 შტატიდან 3 შტატს და 10 თანამდებობის პირიდან 1-ს უპირატესობა აქვს დანარჩენ 9-სთან შედარებით იმ თვალსაზრისით, რომ არ მოხვდეს გასათავისუფლებელ 3 შტატში, ამ შემთხვევაში კი, შტატები გაუქმდა მთლიანად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის «უ» ქვეპუნქტის ნორმით განსაზღვრული უფლების რეალიზება იურიდიულად შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში შტატების შემცირება და არა ამ სტრუქტურული ერთეულის სრული გაუქმება, ანუ სამსახურში დარჩენის უპირატესობის უფლების გამოყენებისა და ამ ნორმის პრაქტიკული რეალიზების აუცილებელი პირობა იყო იმ მესამე სუბიექტის არსებობა (სამსახურიდან გასათავისუფლებელ სუბიექტსა და ადმინისტრაციასთან ერთად), რომელთან მიმართებაშიც უნდა მომხდარიყო შესაბამისი პერსონალური მონაცემების შედარება და ამის შედეგად გამოკვეთილიყო ის უპირატესობა (მისი არსებობის შემთხვევაში), რომელიც ამა თუ იმ სუბიექტს ანიჭებდა სამსახურში დარჩენის უპირატესობას, ხოლო, როდესაც კონკრეტული საერთოდ არ არსებობდა, ერთეულის გაუქმების ანუ ლიკვიდაციის გამო, ასეთი მესამე სუბიექტი საერთოდ არ არსებობდა, შეუძლებელი იყო მოცემული სუბიექტის (სამსახურიდან გასათავისუფლებელი სუბიექტის) რაიმე უპირატესობაზე მსჯელობა და უფრო მეტიც, მისი უპირატესობის დადგენა და შესაბამისად, დასახელებული ნორმის ამ სუბიექტის მიმართ გამოყენება.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 2 დეკემბრის #363 ბრძანებით მთლიანად გაუქმდა სწრაფი რეაგირების ძალების შტაბი, შტატი #8/526-01, 24 სამხედრო მოსამსახურის რიცხოვნობით, სამხედრო ნაწილი 07747, დისლოკაციის ადგილი - ქ. თბილისი. ამდენად, ამ შემთხვევაში სახეზე იყო არა სწრაფი რეაგირების ძალების შტაბში შტატების შემცირება, არამედ - ამ შტაბისა და 24 სამხედრო მოსამსახურის #8/526-01 შტატის სრული გაუქმება, რის შედეგადაც სწრაფი რეაგირების ძალების შტაბი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში საერთოდ აღარ არსებობს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მოხდა არა შტატების შემცირება, არამედ მათი სრული გაუქმება, რის გამოც უსაფუძვლო და შეუძლებელია გ. კ-მის მიმართ «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის «უ» ქვეპუნქტის (იმაჟამად მოქმედი რედაქცია) გამოყენება. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას იმის შესახებ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გ. კ-მის სამსახურიდან დათხოვნა განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვით.

საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უკანონო და დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ. კ-მის მიმართ განაცდურის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, ვინაიდან თავად გასაჩივრებული ბრძანების ბათილად გამოცხადება უკანონოა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებაც, რომ გ. კ-მემ სასამართლოს მიმართ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების საფუძველზე და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაკისრებოდა ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის #ბს-393-372(კ-07) განჩინებით გ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და გ. კ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. კ-

მის სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით 2700 ლარის ანაზღაურება, ხოლო დანარჩენ ნაწილში გ. კ-მის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან ზემოაღნიშნულ #ბს-393-372(კ-07) ადმინისტრაციულ საქმეზე იგივე მხარეები მონაწილეობდნენ, რომლებიც მოცემულ საქმეში იღებენ მონაწილეობას, კერძოდ, გ. კ-მე (მოსარჩელე) და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (მოპასუხე), შესაბამისად, გ. კ-მის მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენით, გამოსასვლელი დახმარების მოთხოვნითა და სასამართლოს მიერ ხსენებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, გ. კ-მეს სადავოდ არ გაუხდია სამსახურიდან მისი გათავისუფლების კანონიერება და მოითხოვა რა გამოსასვლელი დახმარება, ამით ფაქტობრივად, დაეთანხა სამსახურიდან მის გათავისუფლებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ მოითხოვდა გამოსასვლელ დახმარებას. ამის თაობაზე კასატორიკ მართებულად მიუთითებს საკასაციო საჩივარში, როდესაც აღნიშნავს, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელი გამოსასვლელი დახმარების მიღებაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. კ-მის სარჩელი არის უსაფუძვლო, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. კ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. კ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **5. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება**

#### **განჩინება**

#ბს-81-81(კ-08)

16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ცისკაძე,**

**ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** სამუშაოზე აღდგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2004 წლის 24 დეკემბერს ნ. გ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხის -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის #1007/კ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე. მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2004 წელს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ სამინისტროში დაიკავა დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობა. დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა კეთილსინდისიერად.

მიუხედავად აღნიშნულისა, 2004 წლის 10 დეკემბერს ჩაჰბარდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის #1007/კ ბრძანება, უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანის თაობაზე. მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული ბრძანება მისთვის მოულოდნელი იყო, ვინაიდან მოსარჩელისათვის არ უცნობებიათ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ზაკ-ის 95-ე მუხლის შესაბამისად, რადგან ბრძანებით უარესდებოდა მისი

სამართლებრივი მდგომარეობა. ზაკ-ის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, რომლებიც არ იქნება გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2004 წლის 10 დეკემბრის #1007კ ბრძანება არ შეესაბამება ზაკ-ის 52-ე მუხლის მეორე ნაწილს, რომლის თანახმად, თითოეულ ადმინისტრაციულ აქტში უნდა მიეთითოს იმ ორგანოზე, რომელშიც შეიძლება ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება, მისამართი და საჩივრის წარმოდგენის ვადა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის #1007კ ბრძანების ბათილად ცნობას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ნ. გ-შვილის სასარჩელო განცხადება საქმის მასალებთან ერთად გადაეზავნა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს. მოპასუხის წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ნ. გ-შვილის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 10 დეკემბრის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #1007კ ბრძანებით ნ. გ-შვილის მიერ არაერთგზის იქნა უგულვებელყოფილი სამსახურებრივი მოვალეობები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ დადგენილ იქნა, რომ მთავარი სპეციალისტი ნ. გ-შვილი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ორგანიზებული პროგრამების ყოველ მეცადინეობას ესწრებოდა, მათ შორის იმ პერიოდშიც, როდესაც შრომისუუნარობის გამო, არ ცხადდებოდა სამსახურში. ასევე დადგინდა, რომ მთავარი სპეციალისტი ნ. გ-შვილი სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებდა არაჯეროვნად და ზერელედ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, მთავარი სპეციალისტის ქმედებები კვალიფიცირდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტით, რის გამოც საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ნ. გ-შვილი სამი თვის ვადით გადაყვანილ იქნა დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის სპეციალისტის თანამდებობაზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ხდებოდა ბრალულად და არაჯეროვნად, შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნისას მოსარჩელე მონაწილეობდა ტრენინგებში და ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიმართ გააჩნდა ზერელე დამოკიდებულება. მოსარჩელის განმარტება, რომ იმყოფებოდა ამბულატორიულ მკურნალობაზე და შეეძლო პერიოდულად გადაადგილება და შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნისას ტრენინგებში მონაწილეობის მიღება, სასამართლომ არ გაიზიარა. მართალია, შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნა არ ნიშნავს პირის უუნარობას და მას შესაძლებელია შეეძლოს გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე, მაგრამ შრომისუუნარობის ფურცელი, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 89-ე მუხლის «გ» პუნქტის თანახმად, სამსახურებრივ ურთიერთობათა შეჩერების საფუძველია, რასაც თავისი სამართლებრივი შედეგები მოჰყვება.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის #1007კ ბრძანება ადმინისტრაციული აქტია და ამდენად, სამინისტრო ვალდებული იყო დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება და ბრძანება ბათილად ეცნო ზაკ-ის მე-60 და ასკ-ის 32-ე მუხლების თანახმად და მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება მუშაკის სამსახურში მიღების ან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არის ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად მიმართულია საჯარო შრომითი ურთიერთობის წამოშობის ან შეწყვეტისაკენ. ამდენად, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებისა და სამსახურში მიღების ბრძანება ადმინისტრაციული გარიგების დადებისაკენ მიმართული მოთხოვნებია. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული გარიგება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ურთიერთობას წარმოადგენს ადმინისტრაციული გარიგება, ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის საჯარო შრომითი ურთიერთობა, ხოლო დავის საგანს ადმინისტრაციული გარიგების დადება. მართალია, მინისტრის ბრძანება ზაკ-ის მეორე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის ყველა ელემენტს შეიცავს, რომ ბრძანება, გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ინდივიდუალურ-სამართლებრივი ხასიათისაა, მაგრამ, ვინაიდან ბრძანება ეხება შრომით სამართლებრივ ურთიერთობას, წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ აქტს არამედ დაკავშირებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისკენ და ზაკ-ის მეხუთე თავის რეგულირების სფეროს განეკუთვნება.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მინისტრის ბრძანება შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ეხება და სწორედ აღნიშნულის გამო, სარჩელის განხილვა ექვემდებარება ასკ-ის მეორე მუხლის

პირველი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტით განსჯად ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას. ზაკ-ის 65-ე მუხლის თანახმად, კერძო სამართლის ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. ამდენად, მოსარჩელის არგუმენტი, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის #1007კ ბრძანების გამოცემისას დარღვეულია ზაკ-ის 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი, ასევე 95-ე მუხლის მეორე და მეხუთე ნაწილები, არამართებულია. ზაკ-ის 53-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის მტკიცებულებათა დასაბუთებისათვის მათ შემდგომ შესწავლასა და გამოკვლევას. 95-ე მუხლით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყებაში დაინტერესებული პირის მონაწილეობა. მოსარჩელის მიმართ დისციპლინური გადაცდომის გამო სამინისტროს მიერ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - სამი თვის ვადით ჩამოკვეითება, რაც ადმინისტრაციულ აქტად ვერ მიიჩნევა, ამდენად სამინისტრო ბრძანების გამოცემის მომენტისათვის ადმინისტრაციულ წარმოებას ვერ დაიწყებდა მოცემული საკითხის გადასაწყვეტად. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობანი, რაც, წესრიგდება ამ კანონით, რეგულირდება შესაბამისი ნორმებით.

მოსარჩელე განეკუთვნება სახელმწიფო მოხელეს - საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რეესტრის შესაბამისად, რომელიც 2004 წლის 10 დეკემბრის 1007კ ბრძანებით სამი თვით გადაყვანილ იქნა დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის სპეციალისტის თანამდებობაზე «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის თანახმად. ვინაიდან საჯარო სამსახურის შესახებ კანონი არ არეგულირებს დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის მიმართ წერლობითი ახსნა-განმარტების ჩამორთმევას, აღნიშნული საკითხი მოწესრიგდა შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლით, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური სახდელის დადებამდე, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს ახსნა-განმარტება.

საქმეზე დართული მტკიცებულებების თანახმად, მოსარჩელეს 2004 წლის 6 დეკემბერს გაეგზავნა სამსახურებრივი ბარათი, სადაც განემარტა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების შესახებ და მოეთხოვა დისციპლინურ დარღვევაზე ახსნა-განმარტება, მოსარჩელის მიერ აღნიშნულ დარღვევაზე წარმოდგენილ იქნა 2004 წლის 7 დეკემბრის განცხადება. ამდენად, მოპასუხის მიერ დაცულია შკკ-ის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამავე კოდექსის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეიძლება იყოს უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა, არა უმეტეს ერთი წლის ვადით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ზაკ-ის მე-60 მუხლი აწესრიგებს მხოლოდ ადმინისტრაციული აქტის და არა ადმინისტრაციული გარიგების ბათილად გამოცხადებას, ამდენად მოსარჩელის მიმართ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის 1007/კ ბრძანების - სამი თვის ვადით დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის სპეციალისტის თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ, ბათილად ცნობა დაუშვებელია ზაკ-ის მე-60 მუხლისა და ასკ-ის 32-ე მუხლის გამოყენებით.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-შვილმა. აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, «ადმინისტრაციული ორგანო უფლებმოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე, რომლებიც არ იქნა მოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. გასაჩივრებული ბრძანების შემთხვევაში კი დარღვეულია აღნიშნული ნორმა, გადაწყვეტილება მიღებულია ისე, რომ არ იქნა შესწავლილი ის გარემოებები, ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება.

აპელანტის განმარტებით, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის #2004/კ ბრძანება არ არის ადმინისტრაციული აქტი და იგი წარმოადგენს გარიგებას.

ადმინისტრაციული გარიგების დეფინიცია კი მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციული გარიგების დადებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები და საქართველოს ოზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეხუთე თავით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები. გასაჩივრებული ბრძანებით მისი ქმედებები კვალიფიცირებულია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დაედო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი კი მიეკუთვნება არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ კანონმდებლობას და მის საფუძველზე გამოცემული მინისტრის ბრძანებაც ადმინისტრაციული აქტია.



აპელანტის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, მინისტრის ბრძანება, რომლითაც საჯარო მოხელეს დაეკისრა დისციპლინური სასჯელი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტია თუ ადმინისტრაციული გარიგება.

ასევე არამართებულია გასაჩივრებულ ბრძანებაში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტზე მითითება, ვინაიდან მოპასუხეს არ წარმოუდგენია არც ერთი მის მიერ კანონის დარღვევით შესრულებული წერილი ან შეუსრულებელი სამუშაოს დამადასტურებელი მტკიცებულება.

აპელანტის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მისთვის უნდა ეცნობებინათ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. უფრო მეტიც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის ფორმას. ამასთან, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის #1007/კ ბრძანების რეკვიზიტები არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის თანახმადაც, თითოეულ ადმინისტრაციულ აქტში უნდა მიეთითოს იმ ორგანოზე, რომელშიც შეიძლება ადმინისტრაციული აქტით გასაჩივრება. მისი მისამართი და საჩივრის (ან სარჩელის) წარდგენის ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით ნ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის #1007/კ ბრძანება; აღნიშნულ სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ სათანადო სამედიცინო დოკუმენტი დადასტურებული მუშაკის დროებითი შრომისუნარობა წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს, მაგრამ იგი არ ავალდებულებს პირს, შეწყვიტოს სხვა სახის საქმიანობა, თუ ამის ობიექტური შესაძლებლობა მას აქვს.

შესაბამისად, მისი დაავადების ხასიათიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიაჩნია მოსარჩელის მიერ დროებითი შრომისუნარობის დროს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ შრომით ხანმოკლე ხანგრძლივობის ღონისძიებებზე დასწრების, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად და ზერელედ შეფასება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ზემოაღნიშნული შედარების ილუსტრაციას არ წარმოადგენს მტკიცებულების სახით საქმეზე თანდართული ნ. გ-შვილის მიერ შედგენილი სამსახურებრივი მნიშვნელობის წერილები. მათი უმრავლესობა ხელმოუწერელია და შეუძლებელია ავტორის დადგენა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ ნ. გ-შვილს დისციპლინური სასჯელი არ დასდებია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ტრენინგებზე მონაწილეობის გამო. ნ. გ-შვილი არაკეთილსინდისიერად ეკიდებოდა სამსახურში გამოცხადებას, რადგან, როგორც ფაქტობრივად დადასტურდა, მისი ჯანმრთელობის გაუარესება (რომელიც მან დაამტკიცა იმით, რომ წარმოადგინა საავადმყოფო ფურცელი), სრულიად არ უშლიდა ხელს ისეთივე გონების მობილიზების საჭიროების მქონე სამუშაოს შესრულებაში მიეღო მონაწილეობა სამინისტროში, როგორი წარმატებითაც ამას აკეთებდა ტრენინგებზე. თუმცა, ეს არ იყო არც ერთ-ერთი და არც ერთადერთი საფუძველი მის მიმართ დისციპლინური სასჯელის გამოყენებისა, ამის ვარაუდის საფუძველს არ იძლევა თვით გასაჩივრებული ბრძანების ტექსტი.

სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის #1007კ ბრძანების კანონიერება. ბრძანების კანონიერების შემოწმება შესაძლებელია შემდეგი გზით - შემოწმდეს რამდენად დაცულია მისი მომზადებისა და გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და რამდენად ამყარებს ბრძანებით მიღებულ გადაწყვეტილებას მასთან დაკავშირებული და მასში გადმოცემული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები, რაზედაც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია. სასამართლომ იმსჯელოს იმ გარემოებებზე, რომლებიც არ დასდებია საფუძველად ნ. გ-შვილის მიმართ დისციპლინური სასჯელის გამოყენებას და არ შეუფასებია ის მტკიცებულებები, რომლებიც გახდა მისი დასჯის საფუძველი.

კასატორის მითითებით, ნ. გ-შვილმა სასამართლოს ვერ წარუდგინა ვერც ერთი მტკიცებულება ან ახსნა-განმარტება მის მიერ შესრულებული სამუშაოების არაჯეროვნების გასაქარწყლებლად. ნ. გ-შვილის მიერ განხორციელებული ქმედებები მინისტრის ბრძანებით შეფასდა, როგორც «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება. სასამართლომ ვერ წარმოადგინა სათანადო მოტივაცია იმასთან დაკავშირებით, რატომ არ არის

აღნიშნული სამართლებრივი შეფასება - ნ. გ-შვილის ქმედების კვალიფიცირება სწორი და რით დასტურდება, რომ ნ. გ-შვილი ზემოაღნიშნული ქმედებების ჩადენით სამსახურებრივ მოვალეობებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებდა. ნ. გ-შვილი წარმოადგენდა მთავარ სპეციალისტს, რომლის უფლება-მოვალეობები განსაზღვრული იყო მისი სამუშაო აღწერილობით და სამინისტროს შინაგანაწესით. მის მიერ დაკისრებული მოვალეობების ხარისხიანად შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა მისი უშუალო უფროსი. მის მიერ შესრულებული სამუშაო იყო არასათანადო პასუხისმგებლობით შესრულებული, პერმანენტული შეცდომებით.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა ფაქტობრივად დადასტურებული გარემოებები სამინისტროს მხრიდან ნ. გ-შვილისათვის «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების საფუძველს, მან გადაწყვეტილებას საფუძველად დაუდო მხოლოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, სახეზეა ის შემთხვევა, როდესაც სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი) და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა («საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტი).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

2008 წლის 16 ივნისს ნ. გ-შვილმა შეგებებული საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ნ. გ-შვილი მუშაობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 10 დეკემბრის #1007-კ ბრძანებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ნ. გ-შვილი სამი თვის ვადით გადაყვანილ იქნა დავებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტის სპეციალისტის თანამდებობაზე. დაქვეითების საფუძველად მითითებულია ნ. გ-შვილის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაერთგზის უგულვებლყოფა, კერძოდ ნ. გ-შვილი ესწრებოდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული პროგრამის ყველა მეცადინეობას, მათ შორის იმ პერიოდში, როდესაც შრომისუუნარობის გამო არ ცხადდებოდა სამსახურში. ამასთან, ბრძანების შესაბამისად, ნ. გ-შვილი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა არაჯეროვნად და გააჩნდა ზერელე დამოკიდებულება.

დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია ძირითადად დაეფუძნა იმ მოსაზრებას, რომ სამედიცინო დოკუმენტით დადასტურებული მუშაკის დროებითი შრომისუუნარობა წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს, მაგრამ იგი არ ავალდებულებს პირს შეწყვიტოს სხვა სახის საქმიანობა, თუ ამის ობიექტური შესაძლებლობა მას აქვს.

საკასაციო სასამართლო კასატორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო პრეტენზიის საფუძველზე გაეცნო სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მოტივაცია ემყარება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 88-ე მუხლის არამართებულ განმარტებას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 89-ე მუხლის «გ» პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს წარმოადგენს მოხელის დროებით შრომისუუნარობაზე ყოფნის ფაქტი.

იმავე კანონის 88-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება ნიშნავს მოხელის დროებით გათავისუფლებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და შესაბამისი დაწესებულების გათავისუფლებას მოხელის სამსახურით უზრუნველყოფის მოვალეობისაგან.

აღნიშნული მუხლის შინაარსი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შეჩერების პერიოდში მოხელე არ არის უფლებამოსილი რაიმე ფორმით წარმოადგენდეს იმ დაწესებულებას სადაც ის მუშაობს, ანუ არ არის უფლებამოსილი რაიმე სახის ურთიერთობაში გამოვიდეს დაწესებულების სახელით.

უდავოა, რომ ნ. გ-შვილი, მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებოდა დროებითი შრომისუნარობის ფურცელზე, ესწრებოდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული პროგრამის მეცადინეობებს.

ასეთ ვითარებაში საკასაციო სასამართლო საქმის არსებითად მართებული გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოების დადგენა-გამოკვლევას, ნ. გ-შვილი მეცადინეობას ესწრებოდა როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელი და სემინარზე წარმოადგენდა მითითებულ სამინისტროს, თუ ის, როგორც კერძო პირი, მონაწილეობდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ მეცადინეობაში.

იმავდროულად საკასაციო სასამართლო იზიარებს მეორე კასატორის ნ. გ-შვილის არგუმენტაციას და აღნიშნავს, დროებითი შრომისუნარობის ფურცელზე ყოფნა, მართალია, აჩერებს მოხელის სამსახურებრივ ურთიერთობას, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ პირი ვალდებულია, შეწყვიტოს რაიმე სხვა სახის საქმიანობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, იმ შემთხვევაში, თუ ნ. გ-შვილი სემინარებზე არ წარმოადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ის გარემოება, რომ ის საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე მონაწილეობდა სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, მას არ შეიძლება შეერაცხოს გადაცდომად.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს კასატორ ნ. გ-შვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ბოლო სემინარებზე (პრეზენტაციაზე) დასწრების თხოვნა მომდინარეობდა თავად კასატორი მხარისაგან, რაც ასევე უნდა იქცეს სააპელაციო სასამართლოს გამოკვლევისა და შეფასების საგნად.

რაც შეეხება თანამდებობრივი ჩამოქვეითების შემდგომ საფუძველს - საქმისადმი ზერელე და არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას - აღნიშნული ასევე უნდა იქცეს სააპელაციო სასამართლოს შეფასების საგნად. კერძოდ, გამოკვლევული უნდა იყოს, ჰქონდა თუ არა ნ. გ-შვილის მხრიდან სამსახურის გაცდენას სისტემატიური (ან მრავალჯერადი) ხასიათი, სხვა თანამშრომლებთან შედარებით გამოირჩეოდა თუ არა ნაკლები შრომისნაყოფიერებით, მანამდე მის მუშაობასთან დაკავშირებით არსებობდა თუ არა რაიმე პრეტენზია.

საკასაციო სასამართლოს საქმეში დაცული დოკუმენტები აძლევს საფუძველს უდავოდ მიიჩნიოს ნ. გ-შვილის პროფესიონალიზმი და ამ თვალსაზრისით ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციის მართებულობას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საჯარო სამსახურში მიღებისა თუ მუშაობის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პირის პროფესიონალიზმს, მაგრამ როგორც სადავო ბრძანებით ირკვევა, მისი მიღების საფუძველია არა ნ. გ-შვილის არაპროფესიონალიზმი არამედ სამსახურისადმი ზერელე დამოკიდებულება, რომლის დადგენაც შეუძლებელია ზემოაღნიშნული გარემოებების გამოკვლევის გარეშე, რა მიზნითაც საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი და ნ. გ-შვილის შეგებებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმევე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **6. დისციპლინური სასჯელის დადება შევებულებაში ყოფნის დროს**

#### **განჩინება**

#ბს-406-390(კ-08)

15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. სხირტლაძე,**

**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 12 აპრილის #199 ბრძანებისა და 2006 წლის 31 მაისის #1017 პ/შ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. კ.-ავამ 2006 წლის 14 აგვისტოს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 12 აპრილის #199 ბრძანებისა და 2006 წლის 31 მაისის #1017 პ/შ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ იგი მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში 2003 წლის 30 იანვრიდან. სამსახურის პერიოდში დისციპლინური სასჯელი არ მიუღია, 2006 წლის 6 მარტს სამსახურში წასვამ მდგომარეობაში ყოფნის გამო გაატარეს ნარკოლოგიურ დისპანსერში შემოწმებაზე. ხელმძღვანელობის მიერ ჩამოერთვა ახსნა-განმარტება; ამის შემდეგ იგი აგრძელებდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და 2006 წლის 6 აპრილიდან პირადი პატაკის საფუძველზე მისი უშუალო უფროსის გ. მესხის თანხმობით გავიდა კუთვნილ შვებულებაში, ხოლო 6 მაისიდან კვლავ გააგრძელა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. 2006 წლის 20 მაისს სამსახურში გამოცხადების შემდეგ, მისთვის ცნობილი გახდა, რომ იგი დისციპლინური გადაცდომისათვის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის #199 ბრძანებით 2006 წლის 12 აპრილიდან გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან, ამავე დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის #1017 პ/შ 2006 წლის 31 მაისის ბრძანებით 12 აპრილიდან დათხოვნილი იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებიდან. მოსარჩელის მითითებით, საქართველოს პრეზდენტის 1997 წლის 16 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 45-ე მუხლის თანახმად, დისციპლინური სასჯელი დადებულ უნდა იქნეს 10 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა უფროსისათვის გახდა ცნობილი მომხდარი გადაცდომა, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ხდება სამსახურებრივი შემოწმება, აღიძრა სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევის საქმე, არა უგვიანეს ერთი თვისა, დამნაშავეს ვადამყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დროის ჩათვლელად. მოსარჩელე თვლის, რომ მის მიმართ მოპასუხემ დაარღვია ზემოაღნიშნული ნორმის მოთხოვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. კ.-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე საქართველოს შს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 12 აპრილის #199 ბრძანებით სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დარღვევისა და თანამშრომლისათვის შეუფერებელი ქმედებისათვის «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, დათხოვნილი იქნა სამსახურიდან.

საქართველოს შს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 31 მაისის #1017 პ/შ ბრძანებით საქართველოს კანონის «პოლიციის შესახებ» 22-ე მუხლის I პუნქტის ზ» ქვეპუნქტის, საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის I პუნქტის «ე» ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის «თ» პუნქტის, «საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-60 მუხლის «ლ» პუნქტის, 69-ე მუხლის და «საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის, თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის, სამხედრო და სპეციალური წოდებების მინიჭებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების შესახებ» საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 4 აპრილის #303 ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის მე-6 მუხლის შესაბამისად, ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს ზესტაფონის დაცვის სამსახურის უმცროსი ინსპექტორი ზ. კ.-ავა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილი იქნა შს ორგანოებიდან 2006 წლის 12 აპრილიდან. აღნიშნული ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს შს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის 2006 წლის 12 აპრილის #41/5-2072 წერილი და ასევე დასკვნა ზ.კ.-ავას სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს ზესტაფონის დაცვის სამსახურის უმცროსი ინსპექტორის ზ. კ.-ავას მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალებზე დამტკიცებული დასკვნის თანახმად, ზ. კ.-ავამ 2006 წლის 6 მარტს იმყოფებოდა რა განწესში და ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რამოდენიმე საათის განმავლობაში უნებართვოდ მიატოვა ობიექტი და სამსახურში დაბრუნდა არაფიზიკელ მდგომარეობაში, რითაც მან ჩაიდინა საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელთა

დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის «ა», «ვ» და «ე» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რის საფუძველზეც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ სამსახურეობრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დარღვევისა და თანამშრომლისათვის შეუფერებელი ქმედებისათვის, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტით, გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან.

სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. იმავე კანონის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პოლიციის თანამშრომელზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კატეგორიის მოსამსახურეთა სტატუსის შესახებ საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა რომ «საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების, 69-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ რიგითი და ოფიცერთა შემადგენლობის პირებმა, რომლებმაც ჩაიდინეს პოლიციის თანამშრომლისათვის უღირსი საქციელი, დათხოვნილ უნდა იქნენ რიგითი და ოფიცერთა წოდების დისკრედიტაციისათვის. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა «დისციპლინური წესდების» მე-4 მუხლში მოცემულია დისციპლინური სახდელების შეფარდებისა და გამოყენების წესი. «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის «ზ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულია სამსახურეობრივი დისციპლინის დარღვევისათვის პოლიციელის მიმართ დისციპლინური სახდელის - სამსახურიდან დათხოვნის გამოყენება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. კ-ავამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. კ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 12 აპრილის #199 ბრძანება და მისივე 2006 წლის 31 მაისის #10173/შ ბრძანება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტს დაევათ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა წინამდებარე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან ერთი თვის ვადაში; ზ. კ-ავას აუნაზღაურდა იძულებითი განაცდელი გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 30.3 «ზ» მუხლის თანახმად, სამსახურეობრივი დისციპლინის დარღვევისათვის პოლიციელის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელი - სამსახურიდან დათხოვნა. ამ მუხლის მე-4 პუნქტით დისციპლინური სახდელების შეფარდებისა და მოხსნის წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 24 ივნისის #217 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა «საქართველოს შს სამინისტროს დისციპლინური წესდება», რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო ბრძანებებით ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის მოსარჩელე ზ. კ-ავა დათხოვნილ იქნა ორჯერ, ასევე გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან. ამდენად, განსახილველი დაცვის შემთხვევაში დისციპლინური გადაცდომისათვის ორჯერ, სხვადასხვა დროს (2006 წლის 12 აპრილი და 2006 წლის 31 მაისი) გამოყენებულ იქნა ორი დისციპლინური სახდელი, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით არის კანონშეუსაბამო.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 3.1 მუხლის თანახმად, პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, საქართველოს კანონები, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტები, ხოლო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 11.2, «დ» მუხლის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება პოლიციის თანამშრომლებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციის, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. სააპელაციო პალატამ მიუთითა სარჩელში აღნიშნულ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე 2006 წლის 6 აპრილიდან, მისი უშუალო უფროსის თანხმობით იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში 6 მაისამდე, ხოლო 6 მაისიდან გააგრძელა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება; სასამართლომ ჩათვალა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 89 «ბ» მუხლის შესაბამისად, ზ. კ-ავასთან შვებულების დროს სამსახურეობრივი ურთიერთობები შეჩერდებოდა, რაც არ იქნა გათვალისწინებული სადავო ბრძანებების გამოცემისას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 12 აპრილის #199 და 31 მაისის #10173/შ ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «დ» პუნქტის

თანახმად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია და მათ მიმართ გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობისათვის დადგენილი ნორმები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.1 მუხლით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამ კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანებები გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე, მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებისას დადგენილი პროცედურული საკითხის უგულვებლყოფით, რაც, თავის მხრივ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.1 მუხლის შესაბამისად წარმოადგენს სადავო აქტების ბათილად ცნობის საფუძველს. ამავე დროს სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცილდება სასამართლო კომპეტენციის ფარგლებს, განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებას და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველით მიიჩნია, რომ სადავო საკითხის - მოსარჩელის სამსახურში აღდგენის საკითხის გადაწყვეტლად - ბათილად უნდა იქნას ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 12 აპრილის #199 ბრძანება და 2006 წლის 31 მაისის #10173/შ ბრძანება და უნდა დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ვინაიდან ამ მუხლის გამოყენების შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად სცნოს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო სასამართლომ ამ მუხლის შესაბამისად ბათილად სცნო სადავო ადმინისტრაციული აქტები და ამავდროულად დააკისრა განაცდურის ანაზღაურება. აღნიშნული მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. კასატორმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია, რომ მან მიატოვა განწყვი და სამსახურში დაბრუნდა გარკვეული დროის შემდეგ ნასვამ მდგომარეობაში და სასამართლოს აღნიშნულის შესახებ საერთოდ არ უმსჯელია, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ ასევე არასწორად გამოიყენა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდების მე-5 მუხლი, რომლითაც დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი. მართალია დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამოცემულია ორი ადმინისტრაციული აქტი, მაგრამ ორივეში გამოყენებულია ერთი და იგივე დისციპლინური სახდელი და სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია ამ ბრძანებების გამოცემას. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ ასევე არასწორად გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.1 მუხლი და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 112-ე მუხლი, ვინაიდან დაცვის პოლიციის დეპარტამენტს არ დაურღვევია ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადების და გამოცემის კანონით დადგენილი წესი. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ მიერ ასევე დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლი, რომლითაც სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, ვინაიდან სააპელაციო საჩივარში მოთხოვნილი იყო სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ხოლო ბრძანებების ბათილობა მხარის მიერ არ ყოფილა მოთხოვნილი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, რასაც საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ გამო ვერ გაიზიარებს. ზ. კ-ავა წარდგენილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მისი სარჩელის არდაკმაყოფილების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას მისი სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე 2008 წლის 19 თებერვალს ზ. კ-ავამ კიდევ ერთხელ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილებოდა მისი სარჩელი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის წარდგენილი სარჩელით ზ. კ-ავა ითხოვდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 12 აპრილის #199 და 2006 წლის 31 მაისის #10173/შ ბრძანებების გაუქმებას უკანონობის მოტივით. «უკანონობის» მოტივით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია კასატორის მიერ მითითებული საპროცესო ნორმის მოთხოვნა და საქმე განხილულ იქნა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

კასატორი მიუთითებს, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე გამოცემის თაობაზე, რადგან სადავო არ გამხდარა ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ თვითნებურად მიატოვა განწესი და სამსახურში დაბრუნდა გარკვეული დროის შემდეგ, ნასვამ მდგომარეობაში. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, სადავო არ არის ზ. კ-ავას მიერ განწესის თვითნებურად მიტოვებისა და სამსახურში ნასვამ მდგომარეობაში დაბრუნების გარემოება, მაგრამ კასატორის (მოპასუხის) მიერ გამოსაკვლევი და შესაფასებელია რამდენიმე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები:

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მეორე პუნქტის «დ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად პოლიციის თანამშრომელზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 45-ე მუხლის ბოლო აზნაგის თანახმად შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლისათვის დისციპლინური სასჯელის დადება არ შეიძლება მისი შვებულებაში ყოფნის დროს. მოსარჩელის ერთ-ერთი არგუმენტი იყო ის, რომ არ შეიძლებოდა მისი სამსახურიდან გათავისუფლება მისი შვებულებაში ყოფნის დროს. საქმის წარმოების მიმდინარეობისას ამ მნიშვნელოვან ფაქტორზე გარემოებას პირველად ყურადღება მიექცა სააპელაციო სასამართლოს მიერ, რომელმაც 2008 წლის 21 იანვრის სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელს გიორგი შემაბერიძეს დაავალა ზ. კ-ავას შვებულებაში გასვლის თაობაზე ბრძანების წარმოდგენა. სააპელაციო პალატის 2008 წლის 19 თებერვლის სხდომაზე გამოცხადებულმა გიორგი შემაბერიძემ განაცხადა, რომ ბრძანება ზ. კ-ავას შვებულებაში ყოფნის თაობაზე ვერ წარმოადგინა, თუმცა არ იქნა უარყოფილი შვებულებაში ყოფნის ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, მიუთითა სარჩელში აღნიშნულ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე 2006 წლის 6 აპრილიდან მისი უშუალო უფროსის თანხმობით იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში 6 მთვლიანი. ამდენად, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 89-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად ზ. კ-ავასთან სამსახურებრივი ურთიერთობები შეჩერებული იყო, რაც არ იქნა გათვალისწინებული სადავო ბრძანებების გამოცემის დროს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით მოპასუხის (კასატორის) მიერ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოკვლეული და შეფასებული უნდა იქნეს ზ. კ-ავას შვებულებაში ყოფნის ფაქტი, თავისი სამართლებრივი შედეგებითურთ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზ. კ-ავას ერთი და იგივე დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობა ფაქტიურად დაეკისრა მოპასუხის მიერ გამოცემული ორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 12 აპრილის #199 ბრძანებით ზ. კ-ავა დათხოვნილი იქნა სამსახურიდან; იმავე თანამდებობის პირის 2006 წლის 31 მაისის #10173/შ ბრძანებით კი ზ. კ-ავა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილი იქნა შინაგან საქმეთა ორგანოებიდან 2006 წლის 12 აპრილიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლზე, რომლითაც განისაზღვრება პოლიციელის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური სახდელების სახეები. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის შესაძლებელია პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნა (აღნიშნული ნორმა მითითებული

რედაქციით ჩამოყალიბდა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე» საქართველოს 2005 წლის 11 ნოემბრის #2103-II-ს კანონის შესაბამისად და მოქმედებდა სადავო ბრძანებების გამოცემის დროს). აღსანიშნავია, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია, კერძოდ - მე-8 ქვეპუნქტი ითვალისწინებდა სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის პოლიციელის შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო საკასაციო პალატა თვლის, რომ გაურკვეველია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა რატომ გამოსცა სხვადასხვა შინაარსის ბრძანება ერთი და იგივე დარღვევისათვის ზ. კ-ავას მიმართ. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სადავო ბრძანებების ბათილად ცნობის თაობაზე კანონიერია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული კასაციის მიზეზები არ ქმნის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ საფუძვლებს კასაციის განაცხადის დასაკმაყოფილებლად, რადგან კანონის მითითებულ დარღვევებს ადგილი არ აქვს, რის გამოც იმავე კოდექსის 410-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.